- Timely and purposeful counselling is important for the integration of third-country nationals into the local communities. The research findings show that the dominant counselling model is attributable to mentoring counselling when a counsellor analyses the situation together with his/her client, identifies the problem or need expressed by the individual receiving counselling, works together with the third-country national in order to specify the problem, gives recommendations on how to solve the problem, and helps the counselled person to follow the recommendations.
- The counselling services provided to third-country nationals can be divided into several areas relevant to the individuals receiving counselling: dealing with personal documents, searching for a job and/or setting up a business, obtaining a Lithuanian residence permit and/or citizenship; day-to-day problems, car purchase, and travel.
- The research data show that counselling as such is useful and facilitates successful integration into the local communities. However, differences emerge when counselling services are assessed by specific variables: men tend to prefer direct (face-to-face) counselling; those who receive counselling in a language other than their native tongue also express preference for direct counselling. The nature of counselling is often influenced by the length of residence in a foreign country: newcomers and those living in Lithuania for a few years usually wish to receive general advisory counselling, while those who have lived in the country for a longer time seek specific assistance, e.g. in setting up a business etc.
- The respondents aged 36-45 consider themselves to have most successfully integrated into the local community. Integration into the local community is directly related to the command of the local language.

### References

1. Annual Report on Immigration and Asylum (SEK(2011) 620 final). Available: [http://ec.europa.eu/home-affairs/doc\\_centre/immigration/docs/COM%202012%20250%20final%201\\_EN\\_ACT\\_part1\\_v5.pdf](http://ec.europa.eu/home-affairs/doc_centre/immigration/docs/COM%202012%20250%20final%201_EN_ACT_part1_v5.pdf) (accessed 08.11.2013).
2. Bitinas B. et al. (2008) *Kokybių tyrimų metodologija*. Klaipėda: S. Jokužio leidykla-spaustuvė.
3. Czerniawska F. (2006) *Management Consulting in Practice*. Kogan Page Ltd.
4. Indrašienė V. (2009) *Pedagoginė facilitacija ugdymo procese*. Vilnius: Vilniaus pedagoginio universiteto leidykla.
5. Jančaitytė R., Augutienė R., Prakapas R., Valavičienė N. (2009) *Tarptautinės kompetencijos didinimas bei įvairovės valdymo gebėjimų stiprinimas*. Vilnius: Tarptautinė migracijos organizacija.
6. Jung J. C., Cervero R. M. (2002) The social, economic and political contexts of adults' participation in undergraduate programmes: a state-level analysis. *International Journal of Lifelong Education*. Vol. 21 Issue 4, p. 305-320.
7. Kaner S., Lind L., Toldi S. (2007) *Facilitator's guide to participatory decision-making*. San Francisco: Jossey-Bass.
8. Kasnauskienė G. (2006) *Demografijos pagrindai*. Vilnius: Vilniaus universiteto leidykla.
9. King N. (2011) *Interviews in qualitative research*. London: Sage Publications.
10. Naujas Europos bendros imigracijos ir prieglobsčio politikos etapas. Available: [http://ec.europa.eu/lietuva/news\\_hp/news/17062008\\_imigracija\\_ir\\_prieglobstis\\_lt.htm](http://ec.europa.eu/lietuva/news_hp/news/17062008_imigracija_ir_prieglobstis_lt.htm) (accessed 08.11.2013).

11. Nedzinskas E., Janušauskas A. (2008) Didėjanti imigracija: galimas iššūkis viešajam saugumui. In *Verslo ir teisės aktualijos*. Vilnius: Vilniaus teisės ir verslo kolegija, pp. 78-84.
12. Panevėžio pedagogų švietimo centro projekto „Informacinis - konsultacinis ir tikslinių paslaugų centras „Ateik, klausk, pažink, bendradarbiauk““ paraiška dėl projekto finansavimo pagal Europos fondo trečiųjų šalių piliečių integracijai 2010 m. metinę programą. (2010) Panevėžys: Panevėžio švietimo centras.
13. Panevėžio pedagogų švietimo centro projekto „Informacinis - konsultacinis ir tikslinių paslaugų centras „Ateik, klausk, pažink, bendradarbiauk““ pažangos ataskaita. (2012) Panevėžys: Panevėžio švietimo centras.
14. Panevėžio pedagogų švietimo centro projekto „Informacinis - konsultacinis ir tikslinių paslaugų centras „Ateik, klausk, pažink, bendradarbiauk““ konsultacijų (2011-2012 m.) žurnalas. (2012) Panevėžys: Panevėžio švietimo centras.
15. Prakapas R., Malčiauskienė A. (2011) Trečiųjų šalių piliečių integracija Panevėžio regione. *Taikomieji tyrimai studijose ir praktikoje*. Nr. 5, pp. 16-22.
16. Silverman D. (2011) *Doing qualitative research*. London: Sage Publications.
17. Smaliukienė R., Korsakienė R., Prakapas R. The competencies of experts: the challenges in consulting business. *The 6th International scientific conference "Business and management' 2010": selected papers, May 13-14, 2010*. Vol. 2, pp. 1086-1091.
18. Smaliukienė R., Korsakienė R., Prakapas R. Žmogiškųjų išteklių gebėjimai: teorija ir kritika. *Viešasis administravimas*. Nr. 3-4(23-24), pp. 55-60.
19. Stoll L., Thomson, M. (1996) Moving Together: A Partnership Approach to Improvement. In Earley P., Fidler B., Ousten J., ed. *Improvement through Inspection? Complementary Approaches to School Development*. London: David Fulton.
20. Susnienė J., Minkevičienė A., Vilimavičius R. (2011) *Bendradarbiavimo veiklų programa: kvalifikacijos tobulinimo programa*. Panevėžys: Panevėžio švietimo centras.
21. Žydžiūnaitė V. (2010) Projektų rezultatų ir poveikio efektyvumo vertinimo metodika. Available: <http://www.epf-eif.lt/eif/node/40> (accessed 08.11.2013).

**Ромас Пракапас**

*Доктор педагогики, Ассоциированный профессор  
Института образовательных наук и социальной работы  
факультета социальных технологий Университета  
им. Миколаса Рёмериса, Литва*

**Далия Пракапиене**

*Доктор педагогики, Ассоциированный профессор  
департамента менеджмента Литовской военной Академии  
имени генерала Йонаса Жямайтиса, Литва*

**Владас Тумалавичус**

*Магистр правоведения, лектор департамента  
менеджмента Литовской военной Академии  
имени генерала Йонаса Жямайтиса, Литва*

## **КОНСУЛЬТИРОВАНИЕ ГРАЖДАН ТРЕТЬИХ СТРАН КАК ПРЕДПОСЫЛКА ИХ ИНТЕГРАЦИИ В ОБЩЕСТВО: СЛУЧАЙ РЕГИОНА ЛИТВЫ**

### **Аннотация**

В последние годы в Литве наблюдалось быстрое увеличение количества граждан из третьих стран (т.е. жителей других стран, кроме Европейского Союза или Европейской ассоциации свободной торговли (ЕАСТ) государств-членов) находящихся на территории Литвы. По данным отдела Миграционной службы по делам иностранцев и их регистрации, жители европейских стран составляют 77,8 процента от общего числа иностранцев, проживающих в Литве, однако, число жителей некоторых африканских и азиатских стран быстро растет. Поэтому, очень важно облегчить интеграцию иностранных граждан в общество, с целью уменьшения риска возникновения социального конфликта между иностранцами и местными общинами. В таком упрощении, целеустремленное и своевременное консультирование мигрантов является вопросом особой важности. Таким образом, целью данной статьи является представление примера региона г. Паневежис в Литве в области консультирования граждан третьих стран в целях их интеграции в местное сообщество.

Исследование включило в себя анализ данных, интервью с организаторами активностей по интеграции граждан третьих стран и специалистами, предоставлявшими консультации гражданам третьих стран, анкетирование всех граждан третьих стран (N = 49), которые пользовались услугами Консультационного центра, созданного Центром подготовки учителей г. Паневежиса.

Исследование показало, что целенаправленное и своевременное консультирование является важным фактором в интеграции граждан третьих стран в местные общины. Области консультирования, ставшими наиболее актуальными для граждан третьих стран явились дела связанные с оформлением документов личности, поиском работы и/или создания бизнеса, получение разрешения на проживание и/или гражданства, каждодневные житейские проблемы: покупка автомобиля, путешествование. Данные исследований показывают, что консультирование, как таковое, является полезным и облегчает интеграцию в местных общинах. Тем не менее, было отмечено, что важность прямых консультаций варьируется в зависимости от возраста человека, его пола и продолжительности проживания в Литве. Респонденты в возрасте от 36 до 45 лет считают себя теми, кто наиболее успешно интегрировались в местное сообщество. Интеграция в местное сообщество напрямую связана и с местным языком.

**რომას პრაკაპას**  
პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
მიკოლას რემერესის სახელობის საგანმანათლებლო  
მეცნიერებებისა და სოციალური მუშაობის ინსტიტუტი, ლიტვა

**დალია პრაკაპიენე**  
პედაგოგიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,  
გენერალ იონასა ჟამაიტისის სახელობის ლიტვის  
სამხედრო აკადემია, მენეჯმენტის დეპარტამენტი, ლიტვა

**ვლადას ტუმალავიჩუს**  
სამართალმცოდნეობის მაგისტრი,  
გენერალ იონასა ჟამაიტისის სახელობის ლიტვის  
სამხედრო აკადემია, მენეჯმენტის დეპარტამენტის ლექტორი, ლიტვა

**მესამე ქვეყნის მოაქლამეთა კონსულტირება როგორც მათი  
საზოგადოებაში ინტეგრირების წინაპირობა: ლიტვის რეგიონის მაბალითი  
ანოტაცია**

უკანასკნელ წლებში ლიტვაში შეიმჩნევა მოქალაქეების მკვეთრი ზრდა მესამე ქვეყნებიდან. უცხოელებისა და მათი რეგისტრაციის შესახებ საქმეში მიგრაციის სამსახურის მონაცემებით, ლიტვაში მცხოვრები უცხოელების საერთო რიცხოვნობაში, ევროპული ქვეყნების მცხოვრები შეადგენენ 77,8%-ს, თუმცა ზოგიერთი აფრიკული და აზიური ქვეყნების მცხოვრებთა რიცხვიც საკმაოდ მატულობს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია მოხდეს უცხოელი მოქალაქეების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, უცხოელ და ადგილობრივ თემებს შორის სოციალური კონფლიქტის წარმოშობის რისკის შემცირების მიზნით.

*თამილა არნანია-კეპულაძე*  
*ეკონომიკის დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი,*  
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი*

**შრომის ბაზრის სემინტაციის გერმანული მოდელი: გერმანული მეცნიერთა  
დისკუსიების ირგვლივ**

შრომის ბაზრის მოდელზე უკვე ნაკლებად საუბრობენ ქართულ ეკონომიკურ სივრცეში, მაშინ, როცა ეს მოდელი უცვლელი არ რჩება და სხვადასხვა ქვეყნებში ეროვნული შრომის ბაზრის მოდელის დინამიკა, მასში მიმდინარე ცვლილებები და ამ ცვლილებების ტენდენციები ეკონომისტების, სოციოლოგებისა, პოლიტიკოსების ყურადღების გარეშე არ რჩება და ხშირად მსურველ დისკუსიებს იწვევენ. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს გერმანიის შრომის ბაზრის სემინტაციის მოდელი და მისი ცვლილებების ირგვლივ მე-20 საუკუნის დამლევს დაწყებული და დღემდე მიმდინარე დებატები.

აღიარებულია, რომ შრომის ბაზრის მოდელის ჩამოყალიბება ამერიკელი მეცნიერების Peter B. Doeringer და Michael J. Piore სახელებთან არის დაკავშირებული. მათ მიერ მეოცე საუკუნის 70-ან წლების დამდეგს (Piore, Doeringer 1971) ჩამოყალიბებული ე.წ. შიდა შრომის ბაზრის კონცეფცია [6] და მის საფუძველზე 80-ან წლებში მ. პიორისა და ს. ბერგერის მიერ (Piore, Berger 1980) განვითარებული ე.წ. შრომის ბაზრის ვერტიკალური სემინტაციის მოდელი [7], რომელიც დღეს შრომის ბაზრის სემინტაციის კლასიკურ მოდელად არის აღიარებული, ეფუძნება შრომის ბაზრის პირველად და მეორად სექტორებად დაყოფის იდეას და აღიარებს ე.წ. „ცუდი“ და „კარგი“ სამუშაო ადგილების არსებობას.

ამავე პერიოდში ევროპაში, და კერძოდ გერმანიაში, მეცნიერები აგრეთვე ინტერესდებიან შრომის ბაზრის სემინტაციის პრობლემით და საკუთარ შეხედულებებს გამოთქვამენ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ბურკარტ ლუტცს (Burkart Lutz) და ვერნერ შენგენბერგერს (Werner Sengenberger). სწორედ ისინი ითვლებიან შრომის ბაზრის სემინტაციის გერმანული მოდელის ფუძემდებლებად. ამ მოდელის დამუშავება მათ მიერ იყო განხორციელებული 1970-ან წლებში. შრომის ბაზრის კონცეფტუალური მიდგომების სიღრმისეული ცოდნისა და გერმანიის პროფესიული განათლებისა და პროფესიული შრომის ბაზრის ემპირიული კვლევის საფუძველზე ბ. ლუტცმა და ვ. შენგენბერგერმა აღმოაჩინეს სტანდარტიზირებული პროფესიული უნარების მქონე მომუშავეთა შრომის ბაზრის სემინტაციის ჰორიზონტალური ღერძი და განსხვავებები პირველადი შიდა და პირველადი გარე შრომის ბაზრებს შორის. მათი შეხედულების თანახმად, სტაბილური შემოსავალი და დასაქმების გარანტია შეიძლება იქნას მიღწეული შრომის ბაზრის ორივე სემენტში.

ამგვარად, გერმანული მეცნიერების ც. კოჰლერის, ი. გოცელტისა და ტ. შროდერის თანახმად [2, გვ. 23], ბ. ლუტცისა და ვ. შენგენბერგერის მიერ ჩამოყალიბებული იქნა შრომის ბაზრის სემინტაციის გერმანული კლასიკური მოდელი.

გერმანული კლასიკური შრომის ბაზარი წარმოდგენილია სამი სემენტით: 1. შრომის შიდა ბაზარი სამუშაო ადგილზე კადრების მომზადება-გადამზადების ფართოდ გავრცელებული სისტემით ფირმის მოთხოვნათა შესაბამისად; 2. პროფესიული და გარე ბაზარი ინსტიტუციურად სტანდარტიზირებული და აღიარებული უნარების მქონე პერსონალით და ფირმათა შორის მობილურობით; 3. მეორადი გარე შრომის ბაზარი დაბალ კვალიფიცირებული სამუშაოებისათვის და მობილურობის მაღალი დონით.

თავისი მნიშვნელობით ბ. ლუტცისა და ვ. შენგენბერგერის მიერ შემოთავაზებული შრომის ბაზრის სემინტაციის ანალიზისადმი ინოვაციურმა მიდგომამ

გააფართოვა არა მხოლოდ გერმანიის შრომის ბაზრის თავისებურებების შესწავლის შესაძლებლობები, არამედ გადაიქცა შრომის ბაზრის სტრუქტურისადმი ნორმატიული მდგომარეობის შესწავლის თავისებურ საფუძველად. ამ თვალსაზრისით, ბ. ლუტცი და ვ. შენგენბერგერი მტკიცებით, შიდა შრომის ბაზრებთან შედარებით კარგე გარე შრომის ბაზრები ხშირ შემთხვევაში უფრო მეტი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის მომტანი არიან. ასეთი რწმენა გამომდინარებს იმ შეხედულებიდან, რომ გარე ბაზრები უზრუნველყოფენ პროფესიული უნარებისა და კვალიფიცირებული შრომის მუდმივ მიწოდებას, რაც ქმნის პირობებს მაღალი შიდა და გარე მობილურობისათვის, ზრდის ფორმათაშორისო დასაქმების გარანტიას და ამაგრებს მომუშავეთა პოზიციებს დამსაქმებელთან მოლაპარაკებებში. ამგვარად, ბ.ლუტცი და ვ. შენგენბერგერი საუბრობენ პროფესიულ შრომის ბაზრებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე.

შრომის ბაზრის სეგმენტაციის კლასიკური გერმანული კონცეფციის დანიშნულებაა შრომის ბაზრის ფუნქციონირების, ადამიანთა კარიერისა და მომუშავეთა მობილურობის ახსნა.

თანამედროვე პირობებში ბ. ლუტცისა და ვ. შენგენბერგერის მიერ შემოთავაზებული შრომის ბაზრის სეგმენტაციის მოდელი, მისი შიდა და გარე ბაზრებისა და კარგ და ცუდ სამუშაო ადგილებზე დაყოფით, გარკვეული კრიტიკის საგნად გადაიქცა და სწორედ ეს მოდელი ხშირად გამოიყენება დღეს გერმანიაში, როგორც შრომის ბაზრის სეგმენტაციის თაობაზე დისკუსიების საფუძველი. კრიტიკოსების თვალსაზრისით, სრულყოფილი გამოყენებისათვის ეს მოდელი უნდა იქნას მოდიფიცირებული. ივარაუდება, რომ ამგვარი მოდიფიცირება უნდა განხორციელდეს მინიმუმ ორი მიმართულებით: ერთის მხრივ გადახედვას ექვემდებარება შრომის ბაზრების შიდა და გარე ბაზრებად დაყოფისადმი მარტივი მიდგომა, მეორეს მხრივ, თვით შიდა შრომის ბაზარი ხდება გადასინჯვის საგანი. სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ შრომის ბაზრის სეგმენტაციის დისკუსიას გერმანიაში, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ამ დისკუსიას სხვა მიმართულებებიც გააჩნია.

შრომის ბაზრის სეგმენტაციასთან დაკავშირებულ თანამედროვე დისკუსიის ფარგლებში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად შიდა და გარე ბაზრებად დაყოფის მოდელის მოდიფიცირება უნდა მოხდეს მისი კონცეფტუალური, ანალიტიკური, თეორიული მიდგომებისა და ტიპოლოგიის თვალსაზრისით [2, ვ. 3-24]. რა იგულისხმება თითოეულ მათგანში?

*კონცეფტუალური მიდგომის თვალსაზრისით:* ბ.ლუტცისა და ვ. შენგენბერგერის მიერ შემოთავაზებული შრომის ბაზრის გერმანული კლასიკური კონცეფცია ითვალისწინებს ცალკეული ინდივიდებისა და ინდივიდთა ჯგუფების მობილურობას მხოლოდ სეგმენტის ფარგლებში, მაშინ როცა, ემპირიული კვლევებიდან გამომდინარე, მობილურობა სეგმენტებს შორის გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ამას შრომის ბაზრის ძველ (კლასიკურ) გერმანულ კონცეფციაში ვარაუდობდნენ. აქედან გამომდინარე, ქ. კოლერის (Köhler Ch.), კ. იუნგეს (Junge K.), ტ. შროდერისა (Schröder T.) და სხვების მიერ შემოთავაზებული იყო შრომის ბაზრის სეგმენტაციის არა როგორც მობილურობის ხელისშემშლელი მყარი ბარიერების, არამედ როგორც ანალოგიური სამუშაო ადგილების მქონე შრომის ბაზრების ერთობლიობის განხილვა.

*ანალიტიკური მიდგომის თვალსაზრისით:* აღიარებულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ შრომის ბაზრის გერმანული კლასიკური მოდელის მიერ შემუშავებული დაყოფა შიდა და გარე ბაზრეზე, ცუდ და კარგ სამუშაო ადგილებზე კვლავინდებურად ძალზე მნიშვნელოვანი რჩება, ეჭვის ქვეშ დგება სფეციფიკური უნარებისა და შრომის ბაზრის სეგმენტის ურთიერთდაკავშირების საკითხი, ვინაიდან შრომის შიდა ბაზრები ახორციელებენ არა მხოლოდ მაღალ პროფესიულ, არამედ დაბალი

დონის პროფესიულ-ტექნიკური უნარების ჩამოყალიბებას. რაც შეეხება „ცუდ“ შრომის გარე ბაზრებს დაბალი ხელფასითა და დასაქმების დაცვის მოშლილი სისტემით, რასაც აღიარებს ბ. ლუტცისა და ვ. შენგენბერგერის მიერ შემოთავაზებული შრომის ბაზრის სეგმენტაციის მოდელი, გარე ბაზარი მოიცავს არა მხოლოდ დაბალ და არაკვალიფიცირებულ უნარებს მქონე პერსონალს, არამედ ძალზე მაღალკვალიფიცირებულ კადრებსაც, რაც სრულად უგულებელყოფილია ძველ მოდელში.

*თეორიული დიდი თვალსაზრისით:* ის ცვლილებები, რომლებსაც ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქონდა ადგილი ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებაში და, კერძოდ, ნეონსტიტუციური ეკონომიკური მიდგომის განვითარების გამო, შრომის ბაზრის კვლევას ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ხდება არა მხოლოდ შრომის ბაზრის სეგმენტაციის, არამედ მისი სტრატეგიკაციის პრობლემის განხილვა. გარდა ამისა, დღის წესრიგში დადგა აგრეთვე არაფორმალური და გარდამავალი შრომის ბაზრების საკითხი, რაც ემპირიული და თეორიული კვლევებისგან ამ მოვლენების ადეკვატურ და სრულყოფილ ახსნას მოითხოვს.

*ტიპოლოგიის თვალსაზრისით:* აღიარებულია, რომ არსებობს ძალზე განსხვავებული შიდა და გარე ბაზრებისა და კარგი და ცუდი სამუშაო ადგილების ტიპები. უფრო მეტიც, შრომის ბაზრის სრულყოფილი ემპირიული კვლევების განხორციელებისათვის აუცილებელი ხდება ბაზრის სეგმენტების დაშლა და ორგანიზაციის დონეზე დაყვანა მასში არსებული დასაქმების სისტემის გათვალისწინებით. კომპანიები, როგორც წესი, განაწილებულნი არიან სხვადასხვა სეგმენტებს შორის, მაშინ როცა ეს კომპანიები თავად შედგებიან სხვადასხვა ქვე-განყოფილებებისა და განსხვავებული სამუშაო ადგილებისაგან, რომლებიც შეიძლება მიკუთვნილი იყოს სხვადასხვა შრომის ბაზრის სეგმენტებს. ასეთი თვალსაზრისით, შრომის ბაზრების სეგმენტაციის ძველი მოდელი ისევ პრობლემატურად გამოიყურება.

ამგვარი შეხედულებების პირობებში ყალიბდება შრომის ბაზრის სეგმენტაციის ახალი თეორია, რომელიც ბაზრის სეგმენტებად დაყოფის საფუძველად იყენებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლო პერიოდში პ.ოსტერმანის (Osterman, P.), ჯ. ბარონის (Baron, J.), მ. ჰანანისა (Hannan, M.) და მ. ბურტონის (Burton, M.) [1,5] მიერ შემოთავაზებული ფირმის დასაქმების სისტემის კონცეფციას. ფირმის დასაქმების სისტემა წარმოადგენს ორგანიზაციაში არსებულ ისეთ სამუშაოებს, რომელთა ფარგლებში შესაძლებელია მომუშავეთა გადაადგილება და რომლების ექვემდებარებიან განლაგების ანუ შესვლისა და გასვლის პორტების, შიდა მობილურობისა და შერჩევის, მომზადების და დაჯილდოვების (ანუ ხელფასების), სტიმულირებისა და ა.შ. მექანიზმებს.

ქ. კოლერი (Ch. Köhler), ი.გოეტცელტი (I. Goetzelt) და ტ.შროდერი (T. Schröder) გამოყოფენ ფირმის დასაქმების სისტემის ოთხ ტიპს: *დახურული სისტემა, ნაწილობრივად დახურული სისტემა, ღია სისტემა და ნაწილობრივად ღია სისტემა*. აქედან ორი - დახურული სისტემა (ანუ მუშაობის ხანგრძლივობასა და დასაქმების დაცვის მაღალი გარანტიებზე დაფუძნებული სისტემა) და ნაწილობრივად დახურული სისტემა (ანუ ინდივიდუალურ შედეგებზე დაფუძნებული და დასაქმების დაცვის საშუალო გარანტიების მქონე სისტემა) მიეკუთვნება ე.წ. *შიდა ფირმის დასაქმების სისტემას*, ხოლო დანარჩენი ორი - ღია სისტემა (ანუ დასაქმების მოკლევადიანი პერსპექტივის მქონე სამუშაო ადგილები) და ნაწილობრივად ღია სისტემა (ანუ საშუალო ვადიანი დასაქმება) მიეკუთვნება ე.წ. *გარე ფირმის დასაქმების სისტემას*.

ასეთი მიდგომა, ერთის მხრივ, შიდა და გარე ბაზრებად დაყოფით ეფუძნება შრომის ბაზრის სეგმენტაციის კლასიკურ მოდელს, ხოლო მეორეს მხრივ, ასეთმა



დაყოფამ მისცა შესაძლებლობა მის ავტორებს გამოეთქვა აზრი, რომ ამგვარი დასაქმების სისტემის ტიპების გამოყენებით შესაძლებელი ხდება სამუშაო ადგილების ისეთი ორგანიზება, რომელიც ეფუძნება მომუშავეთა უნარების განსხვავებულ ტიპებს, კერძოდ: ინსტიტუციურად განსაზღვრულ პროფესიულ უნარებს, საჭიროებასა და სამუშაო ადგილზე მიღებულ პროფესიულ უნარებსა და დაბალი დონის არასპეციფიკურ უნარებს. ამ მიდგომის ავტორთა შეხედულებით, იგი აყალიბებს სასარგებლო შესაძლებლობას შრომითი ურთიერთობების კლასიფიკაციის კვლევისა და შესაძლებლობას შრომითი ურთიერთობათა ახსნის მოდელების ჩამოყალიბებისათვის [2, გვ.26].

გარდა ამისა, XI საუკუნის პირველ ათწლეულში გერმანელი ეკონომისტები და სოციოლოგები უკვე ფართოდ დისკუტირებენ შიდა შრომის ბაზრის სტრუქტურის ეროზიაზე (დაშლაზე) და სტანდარტული და გრძელვადიანი დასაქმებაზე ორიენტირებული სისტემის ცვლილებებზე. ამ პერიოდში 80 წლის ბ.ლუტცმა [3, გვ. 11-12] გამოთქვა აზრი, რომ შრომის შიდა ბაზრის სტრუქტურულ ცვლილებებს გარკვეული სოციალური და ეკონომიკური წინაპირობები ახლავს და ამ წინაპირობებმა დამსაქმებლის მხრიდან შრომის ბაზრის ამ სტრუქტურულიდან მიღებული სარგებლიანობის შემცირების ტენდენცია განაპირობებს. შიდა შრომის ბაზრის დაშლის უმთავრეს წინაპირობებს შორის ბ. ლუტცი ასახელებს შემდეგს:

კომპანიის ძირითადი (სასაქონლო) ბაზრების მერყეობის უარყოფითი გავლენა შიდა ბაზრის სტრუქტურაზე, რომელიც მანამდე (ანუ შრომის ბაზრის სეგმენტაციის კლასიკურ მოდელში) უცვლელად იგულისხმებოდა;

ტექნიკური პროგრესისა და ორგანიზაციული ცვლილებების სწრაფი ტემპებით განვითარება, რაც მოითხოვს შრომის ორგანიზაციის, მომუშავეთა უნარებისა და კომპეტენციების სწრაფ ადაპტირებას ამ ცვლილებებისადმი;

მეცნიერთვადი სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდის პირობებში იზრდება მოთხოვნა მომუშავეთა მეცნიერულ და აბსტრაქტულ უნარ-ჩვევებზე, რის გამო შრომის შიდა ბაზრისათვის დამახასიათებელი სამუშაო ადგილზე მომუშავეთა მომზადება-გადამზადების პრაქტიკა არასაკმარისი ხდება;

შიდა ბაზრის იერარქიულ კიბეზე (თანამდებობრივი) ასვლა მაღალი დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რაც ამცირებს დაწინაურების შესაძლებლობებს და, მაშასადამე, მნიშვნელოვნად ზღუდავს შრომის სტიმულებს;

ხდება მცირე ბიზნესისა და მაღალი შემოსავლების მქონე კომპანიების აღორძინება, რომელთათვის დამახასიათებელია კადრების მაღალი დენადობა, რაც ეწინააღმდეგება შრომის შიდა ბაზრების ლოგიკას.

მაგრამ, ბ. ლუტცის შეხედულებით, ამ მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად ისტორიული წინაპირობების კონტექსტში შრომის შიდა ბაზრის დაშლის პროცესი ნელი ტემპითა და არაერთგვაროვნად მიმდინარეობს.

ამაზე ქ. კოლერმა (C.Köhler), ადამიანური კაპიტალისა და ტრანსაქციული ხარჯების თეორიებზე დაყრდნობით, გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ არსებობს განსხვავებები მომუშავეის ზოგად უნარებისა და სპეციფიკურ უნარებზე ფირმის მოთხოვნას შორის. ეს სპეციფიკური უნარები მეტ-ნაკლებად უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ითვალისწინებს კონკრეტული ფირმის თავისებურებებს. შესაბამისად, მომუშავეები, რომლებსაც მოცემული ფირმისთვის აუცილებელი უნარები გააჩნია, შეუძლებელია იქნან შენაცვლებულნი გარე ბაზრიდან და, შესაბამისად, ფირმები დაინტერესებულნი არიან პერსონალის გრძელვადიანი დაქირავებით.

როგორც ვხედავთ, შრომის ბაზრის სეგმენტაციის ერთ-ერთი ასპექტის - შიდა და გარე ბაზრებად მარტივი დაყოფისა და შრომის შიდა ბაზრის ეროზიის - თვალსაზრისით განხილული დისკუსია ნათლად გამოავლინა ამ საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა, რაც თანამედროვე პირობებში შრომითი ურთიერთობების გართულების ობიექტური პროცესის შედეგს წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. **Baron, J.N., Burton, M.D., Hannan, M.T.**, 1996, The Road Taken: The Origins and Evolution of Employment Systems in Emerging High-Technology Companies. In: Industrial and Corporate Change 5: 239-276.
2. **Köhler Christoph, Ina Goetzelt, Tim Schröder**, 2005, Firm-employment systems and labour market segmentation – An old approach to a new debate?, in Trends in employment stability and labour market segmentation, eds. Christoph Köhler, Kyra Junge, im Schröder, Olaf Struck.
3. **Lutz Burkart**, 2005, What follows the era of Internal Labour Markets? Preconditions for the (re)emergence of External Labour Markets. in Trends in employment stability and labour market segmentation, eds. Christoph Köhler, Kyra Junge, im Schröder, Olaf Struck.
4. **Lutz Burkart, Christoph Köhler, Holle Grünert, Olaf Strukt**; 2007, The German model of labour market segmentation - tendencies of change, in Economies et Societes, Serie "Socio-Economie du travail", AB, n° 28, 6\2007, p. 1057-1088.
5. **Osterman, P.**, 1987, Choice of Employment Systems in Internal Labour Markets; in: Industrial Relations 26: 46-67.
6. **Piore, Michael J., Peter Doeringer**, 1971, Internal Labor Markets and Manpower Adjustment. New York: D.C. Heath and Company.
7. **Piore, Michael J., Suzanne Berger**, 1980, Dualism and Discontinuity in Industrial Society. Cambridge, UK: Cambridge University Press.

*თამილა არნანია-კეპულაძე*

*ეკონომიკის დოქტორი, ფილოსოფიის დოქტორი,  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი*

**შრომის ბაზრის სემინტაციის გერმანული მოდელი: გერმანული მენეჯმენტი  
დისკუსიების ირგვლივ  
ანოტაცია**

შრომის ბაზრის მოდელზე უკვე ნაკლებად საუბრობენ ქართულ ეკონომიკურ სივრცეში, მაშინ, როცა ეს მოდელი უცვლელი არ რჩება და სხვადასხვა ქვეყნებში ეროვნული შრომის ბაზრის მოდელის დინამიკა, მასში მიმდინარე ცვლილებები და ამ ცვლილებების ტენდენციები ეკონომისტების, სოციოლოგებისა, პოლიტიკოსების ყურადღების გარეშე არ რჩება და ხშირად მხურვალე დისკუსიებს იწვევენ. ერთ-ერთ ასეთ მაგალითს წარმოადგენს გერმანიის შრომის ბაზრის სემინტაციის მოდელი და მისი ცვლილებების ირგვლივ მე-20 საუკუნის დამლევს დაწყებული და დღემდე მიმდინარე დებატები.

*Тамила Арнания-Кепуладзе*

*доктор экономики, доктор философии,*

*Университет им. Акакия Церетели, Кутаиси, Грузия*

**НЕМЕЦКАЯ МОДЕЛЬ СЕГМЕНТАЦИИ РЫНКА ТРУДА: ДОСКУССИЯ  
НЕМЕЦКИХ УЧЕНЫХ**

**Аннотация**

В статье рассматривается дискуссия немецких ученых об изменениях в классической немецкой модели сегментации рынка труда, разработанной Буркарт Лутцеми Вернер Шенгенбергером.

*Tamila Armania-Kepuladze*  
*Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*  
*CSc., PhD Full Prof.*

**THE GERMAN MODEL OF LABOUR MARKET SEGMENTATION: AROUND THE  
DISCUSSION OF GERMAN SCIENTISTS**

**Annotation**

The paper considers the classical German labour market segregation model developed by Burkart Lutz and Werner Sengenberger and reviews the discussion of German scientists about its changes.

**ბიზნესი**

*გურამ ჯოლია*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*  
*ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის*  
*ეკონომიკის დეპარტამენტის სრ. პროფესორი*  
*ირინე მამალაძე*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*  
*ასოც. პროფესორი*

**მცირე და საშუალო საინოვაციო ფირმების მხარდაჭერის მსოფლიო პრაქტიკა**

გლობალიზაციის ეპოქაში სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა ფირმების საინოვაციო სფეროს მხარდაჭერამ და მისმა სწრაფად განვითარებამ.

საინოვაციო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება, რომელთა შედეგია-ნობა საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზეა დამოკიდებული. ამ ინფრასტრუქტურაში შედის ტექნოლოგიური ინკუბატორები, ტექნოპარკები, საინფორმაციო ქსელები, ექსპერტ-კონსულტანტთა ბიუროები, საპატენტო სამსახურები, ფინანსური მხარდაჭერის ინსტიტუტები, საფონდო ბაზარი, რისკების დამზღვევი სისტემა და სხვა. მსოფლიო პრაქტიკაში ამგვარი სტრუქტურები საინოვაციო ქსელებად ერთიანდებიან და მცირე და საშუალო ფირმების საინოვაციო განვითარებას უწყობენ ხელს. მაგალითად, ევროპაში 1984 წლიდან ფუნქციონირებს არაკომერციული ორგანიზაცია **EBN (European Business & Innovation Centers Network)**, რომელიც სადღეისოდ 160 საქმიან ცენტრსა და 70 ასოცირებულ წევრს აერთიანებს და რომლის ფარგლებშიც აქტიურად თანამშრომლობენ ზემოხსენებული სტრუქტურები და კვლევითი დაწესებულებები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინოვაციო საქმიანობის ინტენსიფიკაციის ეფექტიანი და გავრცელებული ფორმაა მცირე ფირმების დიდრისკიანი პროექტების ვენჩურული დაფინანსება. მისი უპირატესობებია საგირავნო ვალდებულებათა უქონლობა და ფირმის სრული დამოუკიდებლობა პროექტის მონაწილეთა თანამშრომლობის ოპტიმიზაციის საქმეში. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს აშშ-ში, ევროპაში, იაპონიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში დაგროვილი მდიდარი გამოცდილება.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად **აშშ-ის ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროგრესის** ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა მცირე და საშუალო ფირმების სექტორი, სადაც დასაქმებულ ერთ მეცნიერ მუშაკზე 4-ჯერ უფრო მეტი შექმნილი სიახლე მოდის, ვიდრე მსხვილ ორგანიზაციებში. აშშ-ში ჯერ კიდევ 1984 წ. მიიღეს ფედერალური კანონი მცირე ფირმებში საინოვაციო საქმიანობის განვითარების შესახებ, რომელიც 10 წლის შემდეგ კიდევ უფრო დაზუსტდა და მისი ძირითადი ამოცანა ტექნოლოგიური სიახლეების სტიმულირება და ტალანტის მქონე ადამიანების წახალისება გახდა. ფედერალური მასშტაბის მქონე უაღრესად ეფექტიანი ღონისძიებებია ე.წ. **SBIR (The Small Business Innovation Research)** და **STTR (The Small Business Technology Transter Programm)**, რომლებსაც მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია უწევს კოორდინირებას.

**SBIR** არის მცირე ფირმების ისეთი საინოვაციო საქმიანობის დაფინანსების საკონკურსო პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო მნიშვნელობა და მნიშვნელოვანი კომერციული პოტენციალი აქვს. დაფინანსებას წინ უძღვის ფირმის კვალიფიკაციის, სიახლის ორიგინალურობისა და კომერციული პერსპექტივების შეფასება. ეს პროგრამა საინოვაციო პროექტების განვითარების 3 ფაზას ითვალისწინებს:

I - საწყისი ეტაპი (100 ათ.დოლარის სუბსიდია ან გრანტი), რომელიც 6 თვემდე გრძელდება და მიზნად ისახავს:

ფირმის მიერ კვლევების ჩატარების უნარის დადასტურებას;

საინოვაციო გადაწყვეტილებებისპერსპექტიულობის დადასტურებას;

საკმარისი შედეგების მიღებას კვლევებისა და მათი დაფინანსების გაგრძელებისათვის.

II ფაზის განმავლობაში გრძელდება წინა ეტაპზე მოწონებული სამუშაოები და მათმა დაფინანსებამ 750 ათ. დოლარს შეიძლება მიაღწიოს, ხანგრძლივობამ კი - 2 წელს;

III არის დანერგვის ფაზა, რომელიც სახელმწიფო დაფინანსების გარეშე მიმდინარეობს. აქ დაფინანსების მექანიზმებია:

ვენჩურული საწარმოების შექმნა;

დონორებისა და კერძო საინოვაციო ფონდების სახსრების მოზიდვა;

სახელმწიფო სააგენტოების ჩართვა;

**SBIR**-ის ადმინისტრაციის გააქტიურება სახსრების მოზიდვის საქმეში.

**STTR** - ისეთი პროგრამაა, რომელიც მცირე ფირმებს აძლევს არაკომერციულ კვლევით ინსტიტუტებთან სიახლეების შექმნაში თანამშრომლობის სტიმულს. ასეთია იმ ერთობლივი საწარმოების შექმნაში ფინანსური და ტექნიკური დახმარება, რომლებიც ორიენტირებულია ახალი ტექნოლოგიების შექმნაზე – თავდაპირველი იდეიდან მათ სრულ რეალიზებამდე. პროგრამით გათვალისწინებული კვლევების ძირითადი დამკვეთებია აშშ-ის უმსხვილესი სამთავრობო უწყებები და ბიუჯეტი აქ 1 მლრდ დოლარზე მეტია, თვით ხსენებულ კვლევებს კი დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ მთელი ქვეყნის ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარებისთვის. სახსრებს იმ მცირე ფირმებსა და არაკომერციულ კვლევით ინსტიტუტებს გადასცემენ, რომლებსაც საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდულად აქვთ გრძელვადიანი და ძვირადღირებული კვლევა-ძიებისათვის. ამასთან, მცირე ფირმებს დიდი მოგების გამოიმუშავებაც შეუძლიათ მიღებული შედეგების კომერციალიზაციით, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის შემდგომი განვითარების კარგი სტიმულია.

**STTR** - ისპროგრამაგარკვეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უყენებს მის მონაწილეებს. მცირე ფირმებისთვის ესაა, კერძოდ, ის, რომ:

ფირმა უნდა იყოს კერძო, კომერციული, ეკუთვნოდეს აშშ-ის მოქალაქეს და ჰქონდეს დამოუკიდებელი მმართველობა;

უნდა იყოს მომგებიანი;

მომუშავეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 500 კაცს;

წამყვანი სპეციალისტები შესაძლოა არ ირიცხებოდნენ ფირმის შტატში.

საინოვაციო პროექტების მონაწილეთა კონკურსის ჩატარების შემდეგ იმართება სუბსიდიების ან გრანტების მისაღები კონკურსი, არჩეული პროექტები კი **SBIR**-ის მსგავს ფაზებს გაივლიან.

მცირე ფირმების საინოვაციო საქმიანობის დაფინანსების სხვა მექანიზმია პროგრამა **SBIC (Small Business Innovation Company)**, რომელიც სარისკო და საინვესტიციო კაპიტალით უზრუნველყოფს მათ. ქვეყანაში 400-ზე მეტი ასეთი კომპანია მოქმედებს, რომლებიც საკუთარსა და მოზიდულ სახსრებს იყენებენ ინვესტირებისათვის. **SBIC**- პროგრამა ემსახურება ყველა ტიპის ფირმების დაფინანსებას. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ სწორედ მისი მეშვეობით აშშ-ში 75 ათასზე მეტი დამატებითი სამუშაო ადგილია შექმნილი. ამ გარემოებას დიდ სტიმულს აძლევს მცირე ფირმების მოგებაში წილის ქონის შესაძლებლობა.

მცირე ფირმების საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერის სხვა მექანიზმებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ **BIC (Business Information Center)** – საინფორმაციო და პროგრამული უზრუნველყოფის სისტემებითა და აპარატურით მომარა-

გება, უფასო კონსულტაციები და სწავლება); **SCORE** (ტექნიკური, ორგანიზაციული და ფინანსური სფეროს უფასო კონსულტაციები, მათ შორის - უშუალოდ მცირე ფირმებში) და ა.შ.

მცირე ინოვაციური ფირმების მხარდაჭერა **იაპონიაში** გამოირჩევა ქვეყნის ეკონომიკის რეფორმირების ძირითად პროცესებზე სახელმწიფოს დიდი გავლენით. ის, რომ ეს ქვეყანა მოკლე ისტორიულ პერიოდში და შეზღუდული რესურსების პირობებში იქცა მსოფლიო ეკონომიკის ლიდერად, სწორედ მცირე და საშუალო ფირმების მხარდაჭერის წარმატებული პოლიტიკით იყო განპირობებული.

მცირე და საშუალო საწარმოების ინოვაციურ განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა იაპონიაში 1999 წ. მიღებულმა სპეციალურმა კანონმა, რომელშიც ინოვაციური ბიზნესი ძირითადად განმარტებულია როგორც მცირე ფირმის საქმიანობის არსებითად გაუმჯობესება ახალი პროდუქტებისა და მათი შექმნის ახალი მეთოდების დანერგვის გზით. რაც შეეხება მცირე ფირმების საინოვაციო საქმიანობის წახალისებას, საამისოდ ფართოდ იყენებენ ისეთ დამატებით ზომებს, როგორცაა დასაბეგრი თანხიდან კვლევა-ძიებაზე გაწეული ხარჯების ამოღება, მათ შორის იმ ნაწილის, რომელიც მოწეობილობაზე, საცდელი ნიმუშების და სადემონსტრაციო მოდელების დამზადებაზე იხარჯება; სპეციალური საგადასახადო შედაგათები და პრეფერენციებია შემოღებული ერთობლივი საინოვაციო საწარმოების შექმნისას.

მცირე და საშუალო ფირმების მხარდაჭერისა და განვითარების ეროვნული ინფრასტრუქტურის საქმიანობას კოორდინირებას უწევს საგანგებოდ ქვეყანაში შექმნილი სააგენტო **SMEA (Small and Medium Enterprise Agency)**. გაერცელებული პრაქტიკაა ფირმების საკონსულტაციო დახმარება, რისთვისაც აქტიურად იყენებენ მაღალკვალიფიციურ პენსიონრებს; მაღალი შემოქმედებითი და ინტელექტუალური პოტენციალის მქონე მეტი და მეტი სპეციალისტების მოსაზიდად სახელმწიფო ქმნის შესაბამის ეკონომიკურ და სამართლებრივ პირობებს, რომლებიც გამორჩეულ ინდივიდუალურ მეწარმეებზეც ვრცელდება; იქმნება საინფორმაციო პროექტები იმ ინვესტორების მოსაძიებლად, რომლებიც ინდივიდუალური მეწარმეებისა თუ გამოგონებლების ინოვაციურ პროექტებსა და ორიგინალურ იდეებს შეასხამენ ხორცს.

ბოლო წლებში **ინდოეთშიც** თვალსაჩინო ცვლილებები განხორციელდა მეწარმეობის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის კუთხით. აქ 2007 წ. ჩამოყალიბდა მიკრო-, მცირე და საშუალო მეწარმეობის სამინისტრო, რომელიც განშტოებული ინფრასტრუქტურის მეშვეობით კოორდინაციას უწევს მეწარმეობის განვითარებას ყველა დიდ და საშუალო ქალაქში.

ქვეყანაში ახალი საწარმოების შექმნისა და მრეწველობის განვითარების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ორგანოა ხსენებულ სამინისტროში შემავალი მცირე მეწარმეობის ეროვნული კორპორაცია **NSIC**. იგი სამინისტროს ტექნოლოგიურ დახმარებას უწევს ტექნიკური სერვის-ცენტრების მეშვეობით და მისი ფილიალები, ლაბორატორიები და ადგილობრივი განყოფილებები მთელ ქვეყანაშია მოფენილი. ამ ცენტრებში ატარებენ ტექნიკურ კონსულტაციებს, ცდიან კვლევის შედეგებს, სთავაზობენ საწარმოო ფართობებს, მოწეობილობასა და ინსტრუმენტებს, ასწავლიან უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას, აწვდიან ტექნოლოგიურ განახლებასთან დაკავშირებულ უახლეს ინფორმაციას.

მცირე საინოვაციო მეწარმეობის პროგრესს ინდოეთში დიდწილად განსაზღვრავს მთავრობის პოლიტიკა, რომლის ძირითადი მიმართულებებია:

ინოვაციური პროცესების სტიმულირება და ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა გარანტირება;

მცირე ფირმების რეგიონულ გაერთიანებათა ჩამოყალიბება კლასტერებად;

მცირე საწარმოების ფინანსური და ტექნოლოგიური მხარდაჭერა, მომუშავეთა კლასიფიკაციის ამოღება და ა.შ.

მცირე საწარმოების ტექნოლოგიურ განვითარებაში უდიდეს როლს თამაშობენ კლასტერები, რომლებიც დიდძალ ასეთ საწარმოებს აერთიანებენ. ინდოეთში 2000-ზე მეტი კლასტერი მოქმედებს, რომელთა 80%-ზე მეტი სახელოსნოების თანამშრომლობაზეა ორიენტირებული. განსაკუთრებით ეფექტიანია ინდოეთის მთავრობის მიდგომა მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და მომსახურების (საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა, ფარმაცევტიკა და სხვა) განვითარებაში კლასტერების საექსპორტო შესაძლებლობათა ზრდის სტიმულირების საქმეში. შტატების ადმინისტრაციებთან ერთად ხორციელდება მიკრო-და მცირე საწარმოთა კლასტერების განვითარების პროგრამა, რომლის მიზანია ამ საწარმოთა ტექნოლოგიური განახლება, მათი მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ბოლო ათწლეულებში განხორციელებულმა საგრძნობმა სახელმწიფო ინვესტიციებმა სერიოზული ბიძგი მისცა ინდოეთის მრეწველობის არაერთ სექტორში ტექნიკურ-ტექნოლოგიური ინოვაციების მდგრად პროცესს.

**ჩინეთში** ჯერ კიდევ 1995 წ. შეიქმნა მცირე და საშუალო ფირმების მხარდაჭერი ცენტრების ეროვნული ასოციაცია, რომლებიც ეწევიან საკონსულტაციო და საინფორმაციო მომსახურებას, ნერგავენ უახლეს ტექნოლოგიებს, ახდენენ ახალი პროდუქციის გამოცდას, გადასცემენ ფართს მცირე საწარმოებს და სხვა. მათ დასაფინანსებლად სახელმწიფო ყოველწლიურად 12 მლრდ დოლარზე მეტს გამოჰყოფს ხოლმე. მნიშვნელოვანი იყო საინოვაციო საქმიანობის ეროვნული სისტემის შექმნა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი მცირე და საშუალო საწარმოების სექტორის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის გაფართოებას და რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა:

სექტორის მოდერნიზებული საწარმოებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესებას;

საინოვაციო განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სისტემის შექმნას;

სხენებულ სექტორის საწარმოებისთვის ვენჩურული ფონდების ორგანიზებაში დახმარებას და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ჩინეთში კარგადაა განვითარებული ვენჩურული კაპიტალის ბაზარი, რომელზეც მოქმედი საინვესტიციო კომპანიების დაბანდობათა მთლიანი მოცულობა 30 მლრდ დოლარს აღწევს. გარდა ამისა, მცირე და საშუალო ფირმები კომპენსაციას იღებენ შესაძლო რისკების დადგომის შემთხვევაში, მხარდაჭერის სპეციალური კანონის შესაბამისად კი მათ საბრუნავ კაპიტალსა და სუბსიდიებსაც აძლევენ. სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია მცირე საწარმოების განვითარების საგანგებო ფონდების შექმნის ხარჯები და მათი მომსახურე ფინანსური ინსტიტუტების დახმარება.

ბოლოს, მოკლედ ასე შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის ზომები, რომლებსაც მრავალ განვითარებულ და დინამიკურად განვითარებადქვეყანაში მიმართავენ მცირე და საშუალო ფირმების საინოვაციო განვითარების მხარდასაჭერად:

იმ ფირმების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც სამთავრობო სტრუქტურების თემატიკის შესაბამისად ეწევიან კვლევა-ძიებას (აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვები);

პირდაპირი უპროცენტო ან შეღავათიანი დაფინანსება (აშშ, საფრანგეთი და ა.შ.);

მეცნიერებასა და საცდელ სამუშაოებზე მიზნობრივი დოტაციების გაცემა (პრაქტიკულად ყველა განვითარებული ქვეყანა);

ინოვაციების დანერგვის ფონდების შექმნა კომერციული რისკების გათვალისწინებით (დიდი ბრიტანეთი, გერ, საფრანგეთი, შვედეთი, ნიდერლანდები);

დაბეგვრის ტვირთის შემსუბუქება საინოვაციო სფეროში მომუშავე ფირმებისთვის (ინდოეთი, ჩინეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია);

ვენჩურული კაპიტალის ფონდების შექმნა იმ ფორმებისთვის, რომლებიც საკუთარი ძალებით ახორციელებენ საინოვაციო პროექტებს (ყველა განვითარებული და განვითარებადი ქვეყანა) და ა.შ.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Бондаренко В.А. Зарубежный опыт государственной поддержки инновационных МСП. НП „Московский центр развития предпринимательства“, 2010
2. Инновации, специализация и сети. [www.innosys.spb.ru / ? id=508](http://www.innosys.spb.ru/?id=508)
3. Калятин В.О. и др. Опыт США, Европы и Индии в сфере государственной поддержки инноваций. Российский юридический журнал, №1 (76), 2011
4. Леонтьев Б. Базовая модель национальной инновационной системы // Интеллектуальная собственность, №8, 2009
5. Одретч Д. Значение малых предприятий в предании экономике США динамичного характера. [www.nisse.ru](http://www.nisse.ru)
6. Рекомендации по усилению роли МСП в странах СНГ

*გურამ ჯოლია*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*  
*ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის*  
*ეკონომიკის დეპარტამენტის სრ. პროფესორი,*  
*ირინე მამალაძე*  
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*  
*ასოცირებული პროფესორი*

### მცირე და საშუალო საინოვაციო ფირმების მხარდაჭერის მსოფლიო პრაქტიკა ანოტაცია

საინოვაციო პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება, რომელთა შედეგია საინოვაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონეზე და მოკიდებული. ამ ინფრასტრუქტურაში შედის ტექნოლოგიური ინკუბატორები, ტექნოპარკები, საინფორმაციო ქსელები, ექსპერტ-კონსულტანტთა ბიუროები, საპატენტო სამსახურები, ფინანსური მხარდაჭერის ინსტიტუტები, საფონდო ბაზარი, რისკების დამზღვევი სისტემა და სხვა. მსოფლიო პრაქტიკაში ამგვარი სტრუქტურები საინოვაციო ქსელებად ერთიანდებიან და მცირე და საშუალო ფირმების საინოვაციო განვითარებას უწყობენ ხელს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინოვაციო საქმიანობის ინტენსიფიკაციის ეფექტიანი და გაერცელებული ფორმაა მცირე ფირმების დიდრისკიანი პროექტების ვენჩურული დაფინანსება. მისი უპირატესობებია საგირაფნო ვალდებულებათა უქონლობა და ფირმის სრული დამოუკიდებლობა პროექტის მონაწილეთა თანამშრომლობის ოპტიმიზაციის საქმეში. ამ მხრივ დიდ ინტერესს იწვევს აშშ-ში, ევროპაში, იაპონიაში, ინდოეთში და სხვა ქვეყნებში დაგროვილი მდიდარი გამოცდილება, რომელზეც ამ სტატიაშია გამახვილებული ყურადღება.

ის ზომები, რომლებსაც მიმართავენ მცირე და საშუალო ფირმების საინოვაციო განვითარების მხარდასაჭერად, მრავალფეროვანია. ესაა იმ ფირმების ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც სამთავრობო სტრუქტურების თემატიკის შესაბამისად ეწევიან კვლევა-ძიებას (აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვები); პირდაპირი უპროცენტო ან შეღავათიანი დაფინანსება (აშშ,



საფრანგეთი და ა.შ.); მეცნიერებასა და საცდელ სამუშაოებზე მიზნობრივი დოტაციების გაცემა (პრაქტიკულად ყველა განვითარებული ქვეყანა); ინოვაციების დანერგვის ფონდების შექმნა კომერციული რისკების გათვალისწინებით (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი, ნიდერლანდები) და სხვა.

*Гурам Джолия*

*Технический университет Грузии, Профессор*

*Ирине Мамаладзе*

*Технический университет Грузии, Ассоциированный Профессор*

## **МИРОВАЯ ПРАКТИКА ПОДДЕРЖКИ МАЛЫХ И СРЕДНИХ ИННОВАЦИОННЫХ ФИРМ**

### **Аннотация**

Инновационный процесс состоит из нескольких этапов, результативность которых зависит от уровня развитости инновационной инфраструктуры. В такую инфраструктуру входят технологические инкубаторы, технопарки, информационные сети, бюро экспертов и консультантов, патентные службы, фондовый рынок, система страхования рисков и др. Подобные структуры в мировой практике объединяются в инновационные сети и способствуют инновационному развитию МСП.

В условиях рынка эффективной и распространенной формой интенсификации инновационной деятельности фирм является венчурное финансирование их проектов с высокими рисками. Его преимуществами можно назвать отсутствие залоговых обязательств и полная независимость фирм в оптимизации сотрудничества участников проекта. В этом отношении заслуживает внимания накопленный в США, Европе, Японии и других странах опыт, о котором и идет речь в данной статье.

Применяемые для содействия МСП меры многообразны. В частности, это финансовая помощь фирм, работающих в соответствии с тематикой правительственных структур (США, Япония, Великобритания, Индия, Китай), прямое беспроцентное или льготное финансирование (Франция, США), предоставление целевых дотаций на НИОКР (практически все развитые страны) и др.

*Guram Jolia*

*Georgian Technical University, Full Professor*

*Irine Mamaladze*

*Georgian Technical University, Associate Professor*

## **WORLD PRACTICE IN SUPPORTING SMALL AND MEDIUM INNOVATING COMPANIES**

### **Annotation**

Innovating process includes several steps, and the outcome of each step is highly dependent on the level of development of innovation infrastructure itself. The above mentioned infrastructure includes technological incubators, technoparks, IT networks, bureaus of expert-consultants, patent services, institutes of financial support, stock market, risk insurance system and etc. In the world practice it is common, these kind of structures tointegrate as innovating networks and support innovating development of small and medium companies.

In terms of market economy the most effective and prevalent form of intensification of innovation activity is venture capital financing of high risk projects of small companies. The advantages of this form of intensification include: lack of collateralized mortgage obligations

and full freedom for the company incollaborative optimization of project members. The rich experience of USA, Europe, Japan, India and other countries, mentioned in this article, is an issue of great interest.

There are variety of arrangements, supporting innovating development of small and medium companies. These arrangements include: financial support for the companies, performing research according to governmental institution requirements (the USA, Japan, the UK, India, China and others); immediate non-interest bearing or preferential financing (the USA, France and etc); issuing state subsidies for special purposes for scientific and experimental works (almost all developed countries); Establishment of innovation introduction funds considering commercial risks (the UK, FRG, France, Sweden, the Netherlands) and others.

**მაკროეკონომიკა**

*ნინო ქავთარაძე*  
*ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი*

**საქართველოს ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები**

საქართველოსთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს ქვეყნის პრიორიტეტების გამოკვეთა და დადგენა, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, არა მარტო გაზარდოს საგადასახადო შემოსავლები, არამედ ხელი შეუწყოს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აღმავლობას, დასაქმებას და ა.შ. საქართველოსთვის, როგორც უძველესი აგრარული ქვეყნისათვის, ასეთ პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა.

მრეწველობაში გარკვეული დადებითი ძვრები აშკარად შეიმჩნევა, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში. ეს შეეხება მრეწველობის ერთდროულად ყველა სფეროს, როგორც სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ, ასევე ელექტროენერჯის, აირისა და წყალმომარაგების სფეროებსაც.

ჩვენი აზრით, პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალოს მრეწველობის ძირითადი მიმართულებები და პარამეტრები, როგორ მოხერხდეს მისი მასშტაბების ზრდა და წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების უკეთ გამოყენება, ძირითადი უპირატესობების განსაზღვრა, საწარმოთა საფინანსო და ტექნოლოგიური გარდაქმნების დაჩქარებული ტემპით წარმართვა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, საჭიროა მოხდეს საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი ეფექტიანი სამამულო წარმოების ჩამოყალიბება, რათა მან შესძლოს დღევანდელ პირობებში მსოფლიო ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება.

საქართველოში მრეწველობის განვითარებისათვის მნიშვნელოვნად მიგვაჩნია: 1. სამრეწველო საქმიანობის განხორციელებისათვის დარგის საჭირო თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა; 2. მრეწველობის განვითარებისათვის უშუალოდ ადგილობრივი სანედლეულო პოტენციალის აქტიურად გამოყენება; 3. პროდუქციის ექსპორტისას ტრადიციული საქსპორტო საქონლისათვის უპირატესობის მინიჭება; 4. მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება; 5. სანედლეულო ბაზაში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის აქტიურად გამოყენება, რაც ხელშემწყობი პირობა გახდება სოფლის მეურნეობის განვითარებისთვისაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად აუცილებელია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს ეროვნული ინტერესების დაცვისათვის, გაატაროს ეფექტური ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო და საერთოდ სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს მრეწველობაში კაპიტალდაბანდებათა გაზრდას. მრეწველობის აღორძინება უზრუნველყოფს უმუშევართა მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმებას, რომელთა უმრავლესობა შრომისუნარიან ასაკში დაუსაქმებლობის გამო იძულებულია ხშირ შემთხვევაში ყველა შესაძლო (მათ შორის კანონით დაუშვებელი და დანაშაულებრივი) საშუალება გამოიყენოს, რათა თავი აარიდოს უსახსრობის შედეგად მოსალოდნელ კატასტროფებს.

ჩვენი აზრით, ამ ღონისძიებების გატარება საბოლოო ჯამში აზრს დაკარგავს, თუ ქვეყნის ხელისუფლება არ გამოიჩენს ძალისხმევას და არ მოახდენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას, სადაც

უპირატესობა მიენიჭება ჩვენი ქვეყნის პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე რეალიზაციის მხარდაჭერას, რაც გზას გაუკვალავს საქართველოს სამრეწველო პროდუქციისა და მთლიანად მრეწველობის განვითარებას. აგრეთვე საჭიროა გაჩერებულ საწარმოთა ამოქმედება, რომლებიც წლების მანძილზე უმოწყალოდ ნადგურდებოდა. საჭიროა მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად მიგვაჩნია სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვა. დღევანდელ დღეს იგი სახელმწიფოს მხრიდან ჯეროვანი მზრუნველობისა და მხარდაჭერის გარეშეა დარჩენილი. უფრო მეტიც, საქართველოში ამ ეტაპზე არც მკაფიო ეროვნული აგრარული პოლიტიკაა შემუშავებული და, შეიძლება ითქვას, არც სოფლის მეურნეობაა მიჩნეული ქვეყნის პრიორიტეტად.

ჩვენი აზრით, აგრარული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს კერძო სექტორზე და უშუალოდ ამ კუთხით ინვესტიციების წახალისებაზე, რათა სწორედ აღნიშნულ სექტორში მოხდეს მაქსიმალურად ეფექტიანი ბიზნეს გარემოს შექმნა. როდესაც საუბარია ქვეყანაში ზოგადად ექსპორტის ზრდის მიმართულებით გასაწვე დონისძიებებზე, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრარული პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებასაც.

აგრარული სექტორის განვითარებისათვის და ეფექტიანობისათვის მნიშვნელოვანია მისი აუცილებელი ინფრასტრუქტურით აღჭურვა, რადგან ექსპორტისათვის განკუთვნილი პროდუქციის საწარმოებლად სოფლის მეურნეობაში ამჟამად არსებული საწარმოო დანადგარები რბილად რომ ვთქვათ მოძველებულია და არ შეესაბამება საერთაშორისო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

აგრარულ სექტორში რეალური შედეგის მისაღწევად უმთავრეს პირობას წარმოადგენს სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთშეთანხმებული და კოორდინირებული ურთიერთობა. მთავრობის მიერ უნდა ჩამოყალიბდეს სწორი და ეფექტიანი სტრატეგია, რომელიც მიზნად დაისახავს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

ჩვენი აზრით, აღნიშნული საკითხისადმი გულგრილი მიდგომით საქართველოს ეკონომიკას წინსვლა ნამდვილად გაუჭირდება. ადგილობრივი ბაზარი უხვადაა გაჯერებული უცხოეთიდან შემოტანილი დაბალი ხარისხის, ხშირ შემთხვევაში ჯანმრთელობისათვის საშიში, საეჭვო წარმოებისა და შემადგენლობის მქონე პროდუქტებით. ეს კი საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს როგორც სოფლის მეურნეობას, ასევე მთლიანად აგრარულ სექტორს და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკას.

ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი აზრით, მეწარმეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს არა მხოლოდ გადასახადების განაკვეთების რეგულირება, არამედ თვით დასაბეგრი ობიექტების წრის გაფართოება და ხელსაყრელი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის შექმნა. ამიტომ აუცილებელ გამოსწორებას საჭიროებს აღრიცხვა- ანგარიშგებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. აუცილებელია კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა და ამავედროულად საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაფართოება. განსაზღვრულ პერიოდში, შედარებით დაბალი განაკვეთების საშუალებით, მკაცრი საგადასახადო დაბეგვრის განხორციელება გაცილებით უფრო დიდ ეფექტს გამოიღებს, ვიდრე საპირისპირო შემთხვევაში, თუმცა საგადასახადო სისტემის სტაბილიზაცია და საგადასახადო შემოსავლების ზრდა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთაგან უმთავრესია:

- დასაბეგრი ობიექტების მოცულობის გაფართოება და ამავდროულად გადამხდელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა;
- საგადასახადო სისტემის სრულყოფა;
- საგადასახადო განაკვეთების ოპტიმალური რეგულირება;
- საგადასახადო განაკვეთების სტაბილურობა;
- გადასახადების მოქნილობისა და სიმარტივის, კონკრეტულობის უზრუნველყოფა;
- გადასახადების ამოღების მექანიზმის (ფორმებისა და წესების) დახვეწა, გადასახადის დროულად გადახდის უზრუნველყოფა, რისი მიღწევაც შესაძლებელია მკაცრი საჯარიმო სანქციების შემოღების გზით;
- საგადასახადო სამსახურის მუშაკთა კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლება;
- კორუფციის შესაძლო მოცულობის წინასწარ განსაზღვრა მისი მასშტაბების შემდგომი შემცირების მიზნით;
- გადასახადების ამოღებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება;
- დაბოლოს, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების მინიმუმამდე დაყვანა.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს კომპლექსურად, რადგან მათი ერთდროულად ამოქმედება გააძლიერებს საგადასახადო სფეროს, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სახით მობილიზებული თანხების მოცულობის ზრდას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისთვის.
2. მიქელაშვილი მ.- სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის თეორიული ასპექტები, გამომცემლობა „სიტყვა“, თბ. 2011.
3. მესხია ი., გაბელაშვილი კ.- საქართველოს საბიუჯეტო სისტემა, თბ. 2010.
4. ჩიკვილაძე მ., კობალეიშვილი თ.- გადასახადები და დაბეგვრა, გამომცემლობა, თბ. 2011.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, თბ. 2010.
6. საქართველოს ფინანსთა დსამინისტრო- [www.mof.ge](http://www.mof.ge)
7. Налоги и налогообложение, под ред. М.В. Ромоновского, О.В. Врублевской, М. 2000.

*ნინო ქავთარაძე*  
*ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი*

### საქართველოს ეკონომიკის ორიენტირები და განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები ანოტაცია

სტატიაში განხილულია ქვეყნის პრიორიტეტების გამოკვეთის და დადგენის აუცილებლობასთან დაკავშირებული საკითხები, რაც საშუალებას იძლევა, არა მარტო გაზარდოს საგადასახადო შემოსავლები, არამედ ხელი შეუწყოს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ აღმავლობას, დასაქმებას. გამოკვეთილია საქართველოში ორი მნიშვნელოვანი სფეროს- მრეწველობის და სოფლის

მეურნეობის განვითარებისათვის გასატარებელი ღონისძიებები. ჩამოყალიბებულია მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი კონკრეტული წინადადებები.

*ნიო კავთარაძე*

*Академический доктор бизнес администрирования*

#### **ПРИОРИТЕТНЫЕ НАПРАВЛЕНИЯ ДЛЯ РАЗВИТИЯ ЭКОНОМИКИ ГРУЗИИ**

##### **Аннотация**

В статье рассмотрены вопросы связанные с определением приоритетов страны, что позволяет не только увеличить налоговые доходы а также помогает достиг экономического развития. Определены те действия, которые послужат усовершенствованию двух важных сфер- промышленность и сельского хозяйства. Определены конкретные предложения для развития промышленности.

*Nino Kavtaradze*

*Ph.D Degree in Business Administration*

#### **PRIORITY DIRECTION FOR DEVELOPMENT OF THE ECONOMY OF GEORGIA**

##### **Annotation**

This article discusses questions connected with the priorities of the country that will allow not only an increase in the tax income but also further economic development. It discusses proposals which will serve to improve two important spheres - the industry and agriculture sectors. Specific proposals for industry development are also defined.

**ეკონომიკური პრობლემატიკა**

*ლია ჩარეკიშვილი*  
*ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*  
*ასოცირებული პროფესორი,*  
*როლანდ სარჩიშვილი*  
*პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.*

**საშუალო არითმეტიკულის და საშუალო გეომეტრიკულის კომბინირებული  
გამოყენების სქემა ბრძანებითი პრობლემატიკაში**

ექსტრაპოლაციის პრინციპით "ბრმა სარგებლობა" და მასზე დამყარებული პედანტური სიზუსტით და კომპიუტერის გამოყენებით გათვლების წარმოება პროგნოზირების პროცესის შემოქმედებითობას ერთის მხრივ თითქოს ბუნდოვანს ხდის, მიუხედავად ამისა მას მაინც აქვს ეფექტი, განსაკუთრებით მაშინ როდესაც სხვა უკეთესი გამოსავალი ისედაც არ ჩანს.

თუ კი სუბიექტი მომავლის რეალურ განვითარებაში გარკვეული არ არის, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის წინაშე მაინც დგება, მაშინ რისკზე წასვლა ერთგვარი გამოსავალია, რაც არ შეიძლება პროგნოზირების და საერთოდ მეცნიერული ანალიზის გარეშე დარჩეს. ამაში შესაძლოა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული აზრობრივი ექსპერიმენტის საფუძველზე მეცნიერ-ექსპერტისაგან მიღებული ვარიანტების შეფასებები, რაც ეკონომიკურად არის, როგორც გამოთვლითი სამუშაოების ჩატარების მიხედვით, ასევე სხვადასხვა მიმართულებით მოვლენის განვითარების ვარიანტების შემოწმების და ასევე რისკზე წასვლის მიზანშეწონილობის ბოლომდე შეფასების გამოვლენის თვალსაზრისით. ექსპერტთა მოსაზრების საფუძველზე ყურადსაღებია მინიშნებული მომავლისკენ სვლა-გეზის დადგენა თუნდაც რისკის გამოყენებით, რაც მიზნობრივი მიდგომისაგან განსხვავებით შეიძლება მარტივად ჩატარდეს. ამასთან, ისეთის რომელიც არ მოითხოვს მიზნებისა და ამოცანების ხის აგებას. ისინი გრძელვადიანი პროგნოზირებისას ინფორმაციის განუზღვრელობის გამო ნაკლებად განხორციელებადია, ხოლო მათი სრული სახით მიღება თითქმის შეუძლებელიც არის.

ამასთან დაკავშირებით გამოყოფთ ნაშრომში [1, გვ. 32-36] მოცემული მიზნობრივ და ინერციულ მიდგომათა მეთოდოლოგიური ერთიანობის ელემენტების გათვალისწინებას, რომელიც გულისხმობს დარგობრივი პროგნოზირების შემთხვევაში ცალკეული დეტალების დროის შუალედებში თანმიმდევრულ დაზუსტებას, სადაც ძირითად ეტაპებთან ურთიერთკავშირებით ჩაირთვება მეცნიერულ-ტექნიკური პროგნოზირებისკენ მიმართული მინიშნებული მომავლისკენ სვლა-გეზის აღების სქემა, რომლის ანალიზს მცირედი მოდიფიკაციით წინამდებარე ნაშრომში წარმოვადგენთ.

ეკონომიკურ პროგნოზირებაში გამოყენებას პოულობს აზრობრივი დაშვებითა და შემოწმებით განპირობებული აპრიორით სარგებლობა, რასაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტ-ექსპერტების მიერ ჩატარებული კრიტიკის ცხადად გამოვლენის შემთხვევისას მიეცემა მეტი დამაჯერებლობა. ამის შედეგად პროგნოზი უფრო მეტად იხვეწება და სანდო ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ცდომილების დამაჯერებლობის ალბათობის რიცხვითი შეფასებები შეიძლება ცნობილი არ იყოს. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია სცენარის, ანალიზის და დელტის მეთოდებით სარგებლობა. თუმცა ისინი უფრო მეტად იხვეწებიან ექსტრაპოლაციის პრინციპისა და ინტერპოლაციის მეთოდების გამოყენების შედეგად. ამასთან დაკავშირებით წარმოვადგენთ მონაცემთა დამუშა-

ვებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მიმართულებით წარმართულ მარტივ სქემას, რომლის ერთ-ერთი ვარიანტია საშუალო არითმეტიკულის და საშუალო გეომეტრიულის კომბინირებული გამოყენება ეკონომიკური მაჩვენებლის პროგნოზირებისთვის. ამ სქემის საწყისი სახე მოცემულია [2, გვ. 81-84].

განვიხილოთ დინამიკური მწკრივი  $x_t > 0, t=0, 1, 2, \dots$ , რომლის წევრები მიმდევრობით ერთმანეთთან შემდეგნაირად დავაკავშიროთ

$$\underline{x}_{t+1}(\lambda) = 2x_t - \lambda x_{t-1}, \quad \overline{x}_{t+1}(\lambda) = \frac{x_t^2}{\lambda x_{t-1}}, \quad t=1, 2, \dots \quad (1)$$

$$\text{სადაც } \lambda \text{ პარამეტრია, ხოლო } \underline{x}_{t+1}(\lambda) \leq \overline{x}_{t+1}(\lambda) \quad t=0, 1, 2, \dots \quad (2)$$

ცხადია, რომ (2) მიიღება შემდეგი უტოლობიდან

$$(\lambda x_{t-1} - x_t)^2 \geq 0, \quad \lambda > 0, \quad x_{t-1} > 0, \quad t=1, 2, \dots$$

ვთქვათ  $x_t > 0, t=1, 2, \dots$ , ახასიათებს ეკონომიკური მაჩვენებლის დინამიკას, რომლის ცვლილების ინტენსიური ხასიათი შეაფასოთ ამ მაჩვენებლის მნიშვნელობების ნაზრდის ტემპის ზრდისა და ზრდის ტემპის შემცირების მიხედვით:

$$\Delta x_t = x_{t+1} - x_t \geq x_t \cdot x_{t-1}, \quad t=1, 2, \dots \quad (3)$$

$$\frac{x_{t+1}}{x_t} \leq \frac{x_t}{x_{t-1}} \quad t=1, 2, \dots \quad (4)$$

გამოვეთ შემთხვევა, როდესაც მოცემულია დინამიკური მწკრივის წევრები  $x_0 = a_0, x_s = a_s$ , ამასთან  $x_t > 0$ , დინამიკური მწკრივის წევრები აკმაყოფილებენ (3) და (4) პირობებს.

ამ შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა მწკრივის ნებისმიერი წევრი წარმოვადგინოთ ფორმულით:

$$x_t = \delta \underline{x}_t + (1 - \delta) \overline{x}_t, \quad t=2, 3, \dots$$

$$\underline{x}_t = a_0 + \frac{a_s - a_0}{s} t, \quad t=0, 1, 2, \dots$$

$$\overline{x}_t = a_0 q_s^t, \quad q_s = \sqrt[s]{\frac{a_s}{a_0}} \quad t=0, 1, 2, \dots$$

(5)

სადაც  $\delta$  პარამეტრი შეირჩევა ისე, რომ შესრულდეს პირობა:

$$x_1 = \delta \underline{x}_1 + (1 - \delta) \overline{x}_1 = a_1,$$

რადგან (5) საინტერპოლაციო ფორმულაა, მისი საშუალებით შეიძლება წარმოვადგინოთ მწკრივის წევრები  $x_{s+1}, x_{s+2}$ , და ა. შ., ხოლო  $w$  ცლობილება შემდეგნაირად შეფასდება

$$w \leq \left| \frac{x_s}{x_{s-1}} - q_s \right| \leq \left| \frac{a_1}{a_0} - q_s \right|.$$

შენიშნავთ, რომ (3) და (4) პირობებიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ  $0 \leq \delta \leq 1$ .



(5)-ის მსგავსი საინტერპოლაციო სქემა შეიძლება შემდეგნაირად გამოვიყენოთ: ავავოთ დინამიკური მწკრივის წევრები

$$x_0 = a_0, \quad x_1 = a_1, \quad \delta \overline{x_2(\lambda)} + \beta \overline{x_2(\lambda)} = a_2, \quad \delta \overline{x_3(\lambda)} + \beta \overline{x_3(\lambda)} = a_3$$

საიდანაც ვიპოვით  $\delta = \delta(\lambda)$  და  $\beta = \beta(\lambda)$ . აქედან შესარჩევი ხდება  $\lambda$ , რომლის საშუალებით ვცდილობთ დაცული იქნას პირობა  $x_s(\lambda) = a_s$ . ამის ჩატარება შეიძლება  $\lambda$ -ს ვარირებით. ვთქვათ  $\lambda = 1$ , თუ აღმოჩნდა  $x_s(1) < a_s$ , მაშინ ვამცირებთ  $\lambda$ -ს. მაგალითად,  $\lambda = 0,8$ , ხოლო როცა  $x_s(1) > a_s$ , მაშინ  $\lambda$ -ს ვზრდით. მაგალითად  $\lambda = 1,3$  და ა. შ. ასეთი გზით მოსალოდნელია, რომ გამოვლინდეს  $\lambda$ -ს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც დინამიკურ მწკრივს წარმართავს მინიშნებული მომავლისკენ [2, გვ. 81-84].

წარმოვადგინოთ  $x_t = a_t > 0, t = 0, n$  მიმდევრობა დინამიკური მწკრივისგან  $x_t > 0, t = 0, 1, 2, \dots, n, n+1, \dots$  მისი წევრებისთვის როცა  $t = n+1, n+2, \dots$  გამოვიყენებთ (1) ფორმულებს, სადაც დასაწყისში  $\lambda$ -ს ვაძლევთ მნიშვნელობას ვთქვათ  $\lambda = 1$ .  
სქემა 1.

		$\overline{x_2(\lambda)}$	$\overline{x_3(\lambda)}$	...	$\overline{x_n(\lambda)}$	
$a_0$	$a_1$	$a_2$	$a_3$	...	$a_n$	$x_{n+1}$
		$\overline{x_2(\lambda)}$	$\overline{x_3(\lambda)}$	...	$\overline{x_n(\lambda)}$	

დასაწყისში გამოითვლება  $\overline{x_2(1)} = 2a_1 - a_0, \overline{x_2(1)} = \frac{a_1^2}{a_0}$ , შემდეგ  $\overline{x_3(1)} = 2a_2 - a_0$

და ა. შ. შემდეგ მიმდინარეობს იმის შემოწმება კმაყოფილდება თუ არა პირობა

$$\overline{x_s(\lambda)} \leq a_s \leq x_s(\lambda), \quad s = 2, 3, \dots \quad (6)$$

თუ კი აღმოჩნდა, რომ (6) პირობა დარღვეულია, მაშინ საჭიროა ჩატარდეს  $\lambda$ -ს ცვლილებები. იგი შეიძლება აპრიორით შემოწმდეს. ქვემოთ წარმოვადგენთ  $\lambda$ -ს მოწესრიგებული პოვნისთვის შემდეგ განტოლებათა სისტემას:

$$2\delta - \delta \lambda \frac{a_{t-1}}{a_t} + \frac{\beta}{\lambda} \frac{a_t}{a_{t-1}} = \frac{a_{t+1}}{a_t}, \quad t = \overline{1, n-1} \quad (7)$$

რომელიც უცნობებით  $\delta, \beta, \lambda$  ამოიხსნება უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენებით, როცა  $n \geq 4$ . ხოლო (1) და (7)-ის თანახმად მივიღებთ:

$$x_{t+1} = 2\delta x_t - \delta \lambda x_{t-1} + \frac{\beta}{\lambda} \frac{x_t^2}{x_{t-1}}, \quad t = n, n+1, \dots$$

სადაც როცა  $t = \overline{0, n}$ , მაშინ  $x_t = a_t$ .

$a_t > 0, t = \overline{0, n}$ , მონაცემების მიხედვით დინამიკური მწკრივის წარსულის ცვლილებების ტენდენცია მის (7) წარმოდგენაში აისახება. ხოლო გამოვლენილი მნიშვნელოვანი ტენდენციების სამართლიანობა აწმყოში ზუსტდება თუმცა

მოსალოდნელია ისინი ნაწილობრივ სახეს იცვლიდნენ მინიშნებული მომავლისკენ მოძრაობის პროცესში, თვით ტენდენციები ვლინდებიან ზრდისა და ნაზრდის ტემპებით.

მნიშვნელოვანი ტენდენციების ცვლილებები შეიძლება ისე თავისუფლად არ მიმდინარეობდეს, როგორც ეს თავიდანვე იქნება მიჩნეული, მაშინ მიმდინარეობს სქემა 1-ის მიხედვით კორექტირება, ძირითადად  $\lambda$ -ს ვარირებით. თუმცა მაინც არ იცვლება აზრი იმის შესახებ, რომ სინამდვილეში ეკონომიკური პროცესი შეკრულია წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანი დინამიკით. მას შეიძლება ევრისტიკული შინაარსის გამოვლენისა და სინერგიული ეფექტით მოქმედების შესაძლებლობაც აღმოაჩნდეს, თუმცა მათი ამოქმედება იშვიათია ისევე ეკონომიკის იმ ძირითადი თვისებით, როგორიცაა მათი დამახასიათებელი თვისებების გრძელვადიან პერიოდში განფენის ხასიათი.

მოსალოდნელია ისიც, რომ შეუძლებელი გახდეს გრძელვადიან პერიოდში დინამიკური მწკრივის წარმოდგენა ერთიანი დინამიკითა და ერთგვაროვნობის პირობით. ამდენად წარმოდგენილი სქემის გამოყენება უფრო მეტად შესაძლებელი გახდება პროგნოზირების საშუალოვადიანი პერიოდისთვის. მაშინ სტატისტიკური პროგნოზირება შეიძლება მარტივი მოდელებიდან იქნეს დაწყებული შესაბამისი მეთოდოლოგიის გათვალისწინებით [3, გვ. 72-79], რაც შესაძლებლობას იძლევა გაიზარდოს სტატიაში წარმოდგენილი სქემის გამოყენების ეფექტიანობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. სანთელაძე, სახალხო მეურნეობის გრძელვადიანი დაგეგმვა, პროგნოზები და მიზნობრივი კომპლექსური პროგრამები, თბილისი, 1980
2. რ. სარჩიმელია, ეკონომიკური პროცესების მატემატიკური მოდელები შეზღუდვათა ცვლილებების პირობებში, თბ., "მეცნიერება", 1989
3. ს. გელაშვილი, ნ. ჩიხლაძე, სტატისტიკური მოდელებებისა და პროგნოზირების თეორიული საფუძვლები, თსუ, თბილისი, 2001

*ლია ჩარეჯიშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასოცირებული პროფესორი,*

*როლანდ სარჩიმელია*

*პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი.*

### საშუალო არითმეტიკულის და საშუალო გეომეტრიულის კომბინირებული გამოყენების სქემა ბრძელვადიან პროგნოზირებაში ანოტაცია

წარმოდგენილია საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიულის ურთიერთკავშირის საფუძველზე გამოყვანილი რეკურენტული დამოკიდებულება, რომელიც გამოყენებულია დინამიკური მწკრივის სრული სახით ასაგებად პროგნოზირებისათვის ეკონომიკაში, სადაც ჩართულია წარსულისა და აწმყოს მომავალთან შეჯერების პირობა.

მინიშნებული მომავლისკენ სვლა გეზის ადებით ინტენსიური განვითარების პროცესების და ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკის დასახასიათებლად, შერჩეულია საშუალო არითმეტიკულისა და საშუალო გეომეტრიუ-

ლის კომბინირებული გამოყენების სქემა, რომელიც ეყრდნობა: წარსულის მიხედვით მომზადებულ მონაცემთა მოსწორებას, ექსპერტის მიერ საწყის მონაცემთა მნიშვნელობების გააქტიურებას და შეჯერებას მომავლის განვითარების მინიმალური ვარიანტთან, სადაც მონაწილეებს საშუალოვადიანი პროგნოზის ცდომილების შეფასება.

*Лия Чарекишвили*

*Ассоциированный профессор,*

*Иване Джавахишвили Тбилисский Государственный университет*

*Роланд Сарчимелия*

*Профессор, Доктор экономических наук*

**СХЕМА КОМБИНИРОВАННОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ СРЕДНЕГО АРИФМЕТИЧЕСКОГО И СРЕДНЕГО ГЕОМЕТРИЧЕСКОГО В ДОЛГОСРОЧНОМ ПРОГНОЗИРОВАНИИ**

**Аннотация**

В статье представлена рекуррентная зависимость, выведенная из взаимосвязи среднего арифметического и среднего геометрического, которая использована для построения полного динамического ряда при прогнозировании в экономике, куда включено условие сопоставления прошлого и настоящего с будущим.

Для характеристики движения в направлении указанного будущего процессов интенсивного развития и динамизма экономических показателей избрана схема комбинированного использования средне арифметического и среднего геометрического, которая основывается на корректировании данных, подготовленных на основе прошлого опыта, активизации значений исходных данных экспертом и сопоставления развития будущего с указанным вариантом, с использованием оценки погрешностей среднесрочного прогноза.

*Lia Charekishvili*

*Associated Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*Roland Sarchimelia*

*Professor, Doctor of Economic Sciences*

**THE COMBINED UTILIZATION SCHEME OF ARITHMETIC AND GEOMETRICAL AVERAGE IN LONG-TERM FORECASTING**

**Annotation**

This article presented the recurrent dependence, obtained from correlation between the arithmetic and geometrical averages, which is used for construction of full dynamic series at forecasting in economy, where is inserted the past and the present trends comparison condition with the future trend.

For the characteristic of movement in a direction of the specified future of the economical values intensive development and dynamism, we have selected the arithmetic and geometrical average scheme. It based on the data corrections, which are prepared reasoning from the past experience, the energization of input data, given by the expert and comparison of future development to the special variant, using the medium-term forecast errors rating.

სოციალური ეკონომიკა

*ნათია კახნიაშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასისტენტ პროფესორი*

**ღარიბი მოსახლეობის პოტენციალის გამოყენების  
მდგომარეობა საქართველოში**

საქართველოში ეკონომიკურმა ზრდამ და ინფლაციის დაბალმა დონემ ჯერჯერობით ვერ გამოიწვია სიღარიბის შემცირება ან შენერება. ეჭვქვეშ დადგა ბიზნესის გადამწვეტი როლი ამ პრობლემის გადაჭრაში. რაშია საქმე? თუ მაგალითად, რუსეთში არც თუ ისე მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ ეკონომიკურ აქტიურობაში ჩართო ასეულ ათასობით ადამიანი, მ.შ. ღარიბები, რომელმაც ორჯერ შეამცირა სიღარიბის ინდექსი (ეს არსებითი შედეგია-ნ.კ), საქართველოში პირიქით რატომ მოხდა, ანუ ეკონომიკური ზრდის მაღალმა ტემპმა რატომ არ გამოიწვია დასაქმების ზრდა და სიღარიბის შემცირება? ამ ასპექტში მთავარია არა მშპ-ის ზრდის ტემპი, არამედ შექმნილი პროდუქტის განაწილების წესი. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პროგრესული გადასახადების და დაუბეგრავი მინიმუმის აღდგენა, რომელსაც არსებული პოტენციალის გამოუყენებლობა ემატება. გაეროს განვითარების პროგრამის მოხსენებაში (2008 წ.) **უპირატესობა ყველასათვის: ბიზნესის წარმართვის სტრატეგია და ღარიბი მოსახლეობის მოზიდვა**, ძირითადად ის აზრია გატარებული, რომ ღარიბ მოსახლეობას აქვს პოტენციალი არა მხოლოდ მოხმარების სახით, არამედ წარმოების ინოვაციის სამეწარმეო საქმიანობის თვალსაზრისით (რომელიც პრაქტიკულად გამოუყენებელია). თეორიულად ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის შემცირება ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია, მაგრამ ზრდის შედეგს თუ მოსახლეობის შეძლებული ჯგუფი ითვისებს და შემოსავლის განაწილების ძველი და უსამართლო განაწილება გამოიყენება, მაშინ რა თქმა უნდა, სიღარიბე ვერ შემცირდება. მოცემულ პრობლემას სხვა მხარეც აქვს: ოფიციალური სტატისტიკა ეკონომიკური ზრდის შესახებ, რამდენად შეესაბამება რეალურ სინამდვილეს? თუ სტატისტიკური მონაცემი პოლიტიკური შინაარსის მატარებელია, მაშინ აქ თეორია უძღვრება. საქართველოს ეკონომიკური ზრდა თუ უტყუარი ფაქტია, ხოლო სიღარიბე უცვლელია ან იგი მკვეთრად არ მცირდება, ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ არსებობს ღარიბი მოსახლეობის გამოუყენებელი შესაძლებლობის მნიშვნელოვანი პოტენციალი, მაგრამ ამ შესაძლებლობის რეალიზაციის გზაზე რამდენიმე ძირითადი ბარიერი არსებობს.

პირველი დაკავშირებულია საცხოვრებელ ადგილთან. ღარიბთა უმრავლესობა, რომელსაც თავისი შრომის უნარიანობის პოტენციალის რეალიზაცია არ შეუძლია (სამუშაოს პოვნა ან საკუთარი საქმის დაწყება) დეპრესიულ რაიონებში, უპირატესად სოფლად ცხოვრობენ, მაგრამ ბიზნესს ვერ აიძულებს ამ ადგილებში მისვლას, მანამდე, სანამ იქ არ მოხდება ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების და სატრანსპორტო მაგისტრალების მშენებლობა, არ შეიქმნება ბიზნესისათვის აუცილებელი განსაზღვრული პრეფერენციები. მრავალ ქვეყანაში არსებობს დეპრესიული რეგიონების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამები, რომლის აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ ბიზნესისათვის ასეთი ინვესტირება ძალზე დიდი დატვირთვაა. სიღარიბესთან ბრძოლა არაა ბიზნესის ამოცანა, მისი ძირითადი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია, რომელიც ობიექტურად იწვევს დასაქმებულთა რიცხოვნების ზრდასა და მათი

რეალური შემოსავლის დონის ამაღლებას. მაგრამ თუ ბიზნესი არ მიდის ღარიბი მოსახლეობის კონცენტრაციის ზონებში, ეს იმას ნიშნავს, რომ მისთვის არახელსაყრელია ამ დეპრესიულ რეგიონებში საქმიანობა ან მისთვის არსებობს ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული ბარიერები, მაგალითად, მსოფლიოში სასურსათო ფასების ამუამინდელი ზრდა ქმნის ქართული სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების წინაპირობას. პრობლემა ამ შემთხვევაში სახელმწიფომ ხარდაჭერას უნდა უზღუდოს. თუ ეს საკითხი (ინფრასტრუქტურის შექმნა) დადებითად გადაწყვედა ამ პროცესში ჩართული ყველა სუბიექტი (ღარიბი მოსახლეობა, ბიზნესი და სახელმწიფო) მოიგებს.

ჩნდება კითხვა, თუ სიღარიბის დაძლევის ეს სტრუქტურა არ ამუშავდა, მაშინ დეპრესიულ რაიონებს, ასეთები კი საქართველოში რაიონების დიდი უმრავლესობაა, წელი მაგრამ აუცილებელი კვლევა ემუქრება?

გაეროს (PPOHO) აღნიშნულ მოხსენებაში მითითებულია, რომ საბაზრო და ბიზნეს-მიდგომა თავისთავად პანაცეები არაა ღარიბებისათვის. სიღარიბის სხვადასხვა ასპექტები მოითხოვენ განსხვავებულ გადაწყვეტილებებს. ვილაცამ შეიძლება უპირატესობა მიიღოს ბაზარზე დაშვების გაუმჯობესების შემთხვევაში, თუ მის აქტივშია მიწა, ჯანმრთელობა და განათლება ანუ განვითარებისათვის მცირე შემოსავალი მაინც, მაგრამ საქართველოში, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობაში ღარიბები მოკლებულია ამ ფაქტორებს და მათ არ შეუძლიათ უპირატესობის გამოყენება. მათთვის აუცილებელია მიზნობრივი მხარდაჭერა მყარი შემოსავლის მისაღებად და საბაზრო ურთიერთობის გამოყენება. არსებობს ღარიბი მოსახლეობის კატეგორია, რომელიც ოჯახური მდგომარეობის გამო (ბავშვების აღზრდა, ოჯახში ხანდაზმულთა და ინვალიდების მოვლა) შრომის ბაზარზე არაკონკურენტული რჩება. მომსახურების სექტორის უქონლობა, რომელსაც შეეძლება ამ სტრუქტურაში საოჯახო მეურნეობის მხარდაჭერა (საბავშვო ბაგები და ბაღები, მოხუცებულთა თავშესაფარი, ინვალიდთა სახლები, მშობელთა ჯგუფები, სოციალური მუშაკები...) იქნებოდა მათი შესაძლებლობის რეალიზაციის სერიოზული წინაპირობა. არასტანდარტული დასაქმების შექმნა (მაგალითად, სახლში მუშაობა კომპიუტერის არსებობისა და ინტერნეტში დაშვება) აგრეთვე იძლევა მათი პოტენციალის რეალიზაციის შესაძლებლობას. სახელმწიფოს მხარდაჭერა კი მოსახლეობის ამ კატეგორიისათვის აბსოლუტურად აუცილებელია.

არსებობს მოსახლეობის დიდი კატეგორია, რომელიც თუმცა მუშაობს, მაგრამ მათი ხელფასი არასაკმარისია საკუთარი თავის და კმაყოფილება მყოფთა გამოსაკვებად. (საქართველოში ამ კატეგორიას მიეკუთვნება, მაგალითად, მასწავლებელთა უზარმაზარი არმია - ნ.კ), ღარიბი მოსახლეობის კიდევ ერთი კატეგორიაა ძალზე დაბალი პოტენციალის მქონე პირები. მეტწილად, მარგინალური ჯგუფები (ნარკომანები, ალკოჰოლიკები...), რომელთა ჩართვა შრომის ბაზარზე ძალზე რთულია. მოსახლეობის ეს კატეგორია საქართველოში ფართოდ და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. ჯერჯერობით სახელმწიფოს როლი ამ სფეროში მხოლოდ სასჯელით ამოიწურება, რომელიც, რა თქმა უნდა პრობლემას ვერ წყვეტს, იგი მხოლოდ მათი ოჯახის შემოსავლის და აქტივის დაკარგვას ემუქრება, ანუ კიდევ უფრო აფართოებს ღარიბთა არცხოვნებას, მოსახლეობის ეს კატეგორიაც ეკონომიკური ზრდისგან უკუგებას ვერ იღებს.

გაეროს აღნიშნულ მოხსენებაში მოხსენებულია ეგრეთ წოდებული **„ჯარიმა (გადასახადი) სიღარიბეზე“**, რომელსაც საქართველოშიც ვხვდებით (მაგალითად, კრედიტების აღებაში, ჯანდაცვა...). საქართველოში „ჯარიმას სიღარიბეზე“ იხდიან დეპრესიულ რაიონებში მცხოვრებნიც. ეს უმთავრესად ეხება საბინაო-კომუნალურ მომსახურებას, რომელიც თბილისთან შედარებით

უფრო მაღალია. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო დიდია მოსახლეობის სიმჭიდროვე, მით უფრო იაფია მომსახურების ღირებულება ანუ აქაც მოქმედებს წარმოების მასშტაბის ეფექტი.

ღარიბებზე ინფორმაციის უქონლობა მიხნეულია ინკლუზიური-ბიზნეს მოდელების შექმნის ერთ-ერთ სერიოზულ შემაფერსებელ ფაქტორად. რა სახის საქონელი და მოხმარება არის ღარიბებისთვის აუცილებელი? რამდენს გადაიხდიან მათზე? უეჭველია რომ ღარიბების მომსახურება და მათთვის საქონელის მიწოდება შეიძლება გახდეს პერსპექტიული ახალი ბიზნესის განვითარებისათვის, განსაკუთრებით მაშინ როცასხვა მიმართულებები უკვე ამოწურულია. ამ ასპექტში განვითარებული ბიზნეს-სტრუქტურის გასვლა ღარიბების ბაზარზე ახალი საქონლის რეალური მოდელია. ამის მაგალითად პოლონეთიც გამოდგება, სადაც ტრანსნაციონალურმა სასურსათო კორპორაციამ გააერთიანა ძალისხმევა ბავშვთა ჯანმრთელობასა და კვების საკითხებზე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან. სწრაფი მომზადების პროდუქტების უმსხვილესმა კორპორაციამ მომხმარებელს ბავშვებისათვის შეთავაზა იაფი ბურღულიანი რძის ნარევი, (ვიტამინებითა და მინერალებით გამდიდრებული). 2006 წლის ბოლოს ამ პროდუქტზე დანახარჯი გამოისყიდა და პოლონეთის მასშტაბით მისი ნაწარმით სარგებლობს დაახლოებით 33 ათასი პოლონური ოჯახი. საქონლისა და მომსახურების სეგრეგაცია სხვადასხვა შემოსავლის მქონე მოსახლეობისათვის ის მოდელია, რომელსაც უკვე მრავალი ფირმა იყენებს. ასეთია პარიზში - "ტატი", მოსკოვში - "копеечка", "азыкавка", "ლოლარსტორი" - თბილისში და ა.შ.

ამ ასპექტში უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკა. აქედან ერთერთია რუსეთის ფედერაცია, აქ შეიქმნა მიკრო დაკრედიტებაზე ორიენტირებული მსხვილი ბანკი წვრილი და საშუალო ბიზნესის მეწარმეებისათვის და ამით გააფართოვა მიკრო კრედიტებზე ღარიბი მოსახლეობის დაშვება. უნდა ითქვას, რომ მოთხოვნილება რესურსების დაშვებაზე უზარმაზარი პოტენციალის მქონე შრეა, რომელიც საქართველოში ნამდვილად არ გამოიყენება. მართალია წვრილი მეწარმეები სრულებითაც არაა ღარიბი მოსახლეობის კატეგორია, ისინი უმთავრესად დეპრესიულ რაიონებში მცხოვრებნი და შეზღუდული აქვთ რესურსებზე დაშვება. ჩვენი განვითარებული საბანკო სისტემა კი გვთავაზობს კლიენტებისათვის პროდუქტების ძალზე შეზღუდულ ნაკრებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **აბესაძე რ.** მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 10, გამომც. „სიახლე“, თბ, 2013;
2. **აბესაძე რ.** ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ. 2014;
3. **დათუნაშვილი ლ.** სიღარიბე და მისი გამომწვევი მიზეზები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ტ. V, თბ, 2012;
4. საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი. თბ.: 2001 წ;
5. საქართველოს რეგიონული განვითარება (დიაგნოსტიკური მოხსენება) თბ. 2010;

6. შემოსავლის განაწილება: უთანასწორობა და სიღარიბე. **ა. სილაგაძე, ჯ. კახნიაშვილი, ე. მექვაბიშვილი.** მიკროეკონომიქსი, თავი 14, თსუ-ს გამომცემლობა. თბ. 2006;
7. Доклад о развитии человека 2007/2008. Изд., "Вес Мир". 2007.

*ნათია კახნიაშვილი*

*ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ასისტენტ პროფესორი*

**ღარიბი მოსახლეობის პოტენციალის გამოყენების  
მდგომარეობა საქართველოში  
ანოტაცია**

საქართველოში ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპს არ გამოუწვევია დასაქმების ზრდა და სიღარიბის შემცირება. ეს პარადოქსი იმით აიხსნება, რომ ამ ასპექტში მთავარია არა მხოლოდ მშპ-ის ზრდის ტემპი, არამედ შექმნილი პროდუქტის განაწილების წესი, რომელსაც ქვეყნის ეკონომიკური და ადამიანისეული რესურსების სუსტი გამოყენებაც ემატება. გაეროს განვითარების პროგრამის მოხსენებაში (2008 წ) აღნიშნულია, რომ ღარიბ მოსახლეობას აქვს პოტენციალი არა მხოლოდ მოხმარების, არამედ სამეწარმეო საქმიანობის თვალსაზრისითაც, რომელიც საქართველოს მაგალითზე პრაქტიკულად გამოუყენებელია.

*ნათია კახნიაშვილი*

*Иване Джавахишвили Тбилисский Государственный университет  
Ассистент профессор*

**СОСТОЯНИЯ ИСПОЛЬЗОВАНИЯ ПОТЕНЦИАЛА БЕДНОГО НАСЕЛЕНИЯ В  
ГРУЗИИ  
Анотация**

Высокий экономический рост Грузии не вызвал рост занятости и уменьшение бедности. Этот парадокс можно объяснить тем, что в этом аспекте главное не только рост ВВП, а распределение созданной продукции, к каторам добавляется слабое распределение человеческих и экономических ресурсов. В докладе о человеческом развитии выпускаемый ООН (2008г), отмечено что у бедного населения есть потенциал не только потребления, но и в сфере производственной деятельности, которая на практике Грузии не использована.

*Natia kakhniashvili*

*Assistant Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**THE POTENTIAL OF THE POOR IS NOT BEING USED TO THE FULL IN  
GEORGIA  
Annotation**

Despite high economic growth, unemployment rate has not decreased and poverty has not reduced in the country. This means that the economic growth is enhanced not only by GDP rate increase but also by product distribution and lower consumption of economic and human resources. According to the UNDP Human Development Report (2008) the poor has potential not only to consume, but to produce, however, this is not the case in Georgia.

*Anna Trofymchuk*

*Ph.D. student of international economic department*

*Ivan Franko National University of L'viv*

### **GEOECONOMIC MECHANISMS FOR EFFECTIVE DEVELOPMENT OF AN OPEN ECONOMY**

**In the paper reviewed main approaches of defining open economy. Analysed factors which help to increase efficiency and competitiveness of economy and also which geoeconomic mechanisms will be most helpful to achieve this.**

**Key words: open economy, geo-economic, geo-economic mechanisms, competitiveness, efficient development.**

**В статье рассмотрены основные подходы к определению понятие открытая экономика. Проанализированы факторы способствующих переходу экономики к все большей эффективности и конкурентоспособности.**

**Ключевые слова: открытая экономика, геоэкономика, геоэкономические механизмы, конкурентоспособность, эффективное развитие.**

With the development of modern world economy and spreading all-embracing globalization , countries in order to stay competitiveness need to apply new methods of more effective economic management. These processes are directly related to the development of state national open economy concept, which is an integral part of implementation of well thought-out geo-economic strategy, which will respond quickly to changes in world economy.

The concept of open economy is in different dimensions peculiar for all states. However, the relationship of efficiency and openness, as well as an important element of foreign policy course as a geo-economic model is insufficiently explored in modern economic literature.

Scientists in publications gave different aspects of interpretation of these terms and factors of their formation. Many scientific researches of ukrainian and foreign scientists are dedicated to the problem of constructing an effective geo-economic strategy. Particularly researches of V. Novitsky, A. Filippenko, I. Pusanov, V. Bazylevych, K. Zhivago, V. Kochetov, M. Pומר, J. Sachs and others.

Economic development promoted substantial enrichment of economic science, improvement of tools of qualitative and quantitative study of economic processes and phenomena, deepening of understanding of their complex relationships. However in economic theory there still are many ambiguities in interpretation of many economic phenomena. One is concept of "open economy". Among Ukrainian and foreign scientists there are no consensus in definition of this term.

Under term "open economy" is understood national economy, development direction of which is determined by trends in global economy, foreign economic relations become enhanced, while foreign trade turnover reaches a level where it starts to stimulate overall economic growth [3].

V. Novytsky identifies the following key features of an open economy:



1. Presence in agents of market economy sufficiently extensive rights to enter foreign markets and to cooperate with foreign partners with minimal constraints on the state.

2. International contacts are relatively important for maintaining macroeconomic balance, the degree of GDP internationalization is quite high.

3. Market space is relatively efficient and economic agents are relatively competitive [6, p. 35].

Summing up V. Novitsky view open economy can be called national economy that is involved in international division of labor and mediate in international cooperation an important part of aggregate product, and macroeconomic balance of such economy provided by active role of international sector [6, p. 27].

Ukrainian economist G. Anilovska considered economy as open if there is free movement of goods, capital, human resources and information. Also identifies two main features of open economy it is openness of industrial relations in the country and liberalization of foreign trade, which includes a comprehensive use of external areas to stimulate economic growth and prosperity [2, p. 36].

Russian scientists also investigated and brought out a number of definitions of an open economy. S. Nosova treats open economy as a condition under which any economic entity has right to conduct foreign trade operations, that is foreign legal entities and individuals on equal terms with all producers operating in domestic market in accordance with national law and international standards. A. Bulatov gives such definition of open economy “it is national economy which is open to foreign investment access in most markets, industries and areas” [3].

The most common definition of open economy, which has already become conventional, is definition of E. Avdokushyn: “open economy - national economy with a high level of involvement in international economic relations” [1].

Traditionally the main indicator in scorecard of open economy is export quota, which is also called coefficient of openness. Export quota is generally accepted assessment of openness or closeness of economy. This approach is based on the fact that value of export quota is determined by country involvement in global economic system, and thus country's ability to compete globally.

Among scientists, who study problem of limit values of export and import quotas that indicate openness or closeness of economy, exist two approaches. One is based on the fact that the economy is open, if the value of export and import quotas exceeds of 10%.

After analyzing different approaches to the treatment of open economy we can make a generalized conclusion that open economy is primarily competitive, efficient mechanism involved in international economic relations.

The concept of open and effective economy albeit with differences, but mostly they are interrelated. As an example we can consider economy of South Korea which is based on idea of maximum transparency, main condition for which there is high competitiveness. This statement can be illustrated by relation between the dynamics of GDP and international trade, which in its growth show a connection. In 2009 and 2010 with positive trade balance of \$ 40,4 billion and 41,2 billion dollars, also growth of 0.3% and 6.3% respectively was observed.

In this period this trend of growth in trade balance and economic growth also was observed in Japan and China. So trade balance for Japan in 2009-2010 increased from 28,7 billion dollars to 75,7 billion dollars, economic growth in accordance from -5,5% to 4,7%. China trade balance during this period decreased 196,1 billion dollars in 2009 and 181,8 billion dollars in 2010. But this did not lead to negative value growth from 9,2% in 2009 to 10,4% in 2010 respectively[7].

V. Novitsky associates term "open economy" with notion "effective development". He indicates that with increase in openness increases economic efficiency on both macro and microeconomic levels, also increases interdependence of countries [6, p. 35]. This dependence can be positive, related with potential of international division of labor, phenomenon of internationalization, etc., but also negative, which occurs due to shortage of energy-raw materials, complexity of market transformation tasks.

Increase of economic openness, one criteria of which is wider entering into world economy and international economic relations, promotes development of market institutions, banking and credit sectors, stimulate innovation, research and development activities, information exchange with other participants of process, formation of economic freedom.

Liberal regime of economic activities including international, which is principal criterion of open economy also implies competitiveness of national economy. For comprehensive assessment of competitiveness of any national economy mainly use following approaches:

- 1) resource - assessment of technologies, availability of capital for inside and outside investment, number and qualifications of human resources, amount of natural resources and its economic and geographical position;
- 2) factorial - changes monitoring in country's position in international markets;
- 3) rating - integrated economy assessment by various system parameters [5].

On condition of openness, competitive should be considered national economy that in its development provides:

- 1) steady increase in living standards of population;
- 2) achieving and maintaining national companies in such positions in world economy when their products and services successfully implemented in international markets;
- 3) sustainability of socio-economic progress with ability to withstand crisis, preventing them or successfully neutralizing of negative effects.

Effective economic development achieved in countries, which are capable in increasing scale to accumulate and use domestic and international investment funds with a balanced ratio of foreign investment. The national economy, which has a one-sided focus investment on foreign sources without increasing the motivation of local investors in strategic context loses competitiveness and safe conditions of development.

Important for obtaining and maintaining leading economic position of country in world is transition to geo-economic models of foreign economic relations that will allow development of all above mentioned elements, namely transparency, efficiency and competitiveness of national economy.

The term "geo-economics" was introduced into science by Z.Ljuttvak. It means "discipline that studies those aspects of international competition where the protagonists are not industrial corporations or banks. From the standpoint of geoeconomics - state is a system that competes with another system, bringing emerging "national champions" (TNCs that internationalize its activity).

Since the end of twenty century such scientists E. Lyuttvak, K.Zhak, P. Savona, E. Kochetov, V. Derhayanov and others develop idea of international relations transition from geopolitical to geoeconomic paradigm. They believe that world is living by a new geoeconomic but not geopolitical laws.

Another definition is formulated by E. Kochetova: geo-economics - it's a concept of foreign economic strategy and formation of foreign doctrines, that fit into the theoretical panorama consisting of three interdependent and interrelated parts:

- 1) domestic economic "rules" of the state;
- 2) foreign economy macro model: genesis of national economic relations with foreign economic sphere;
- 3) strategic arsenal of implementation of national doctrine [4, p. 12].

An effective can be called economic strategy applied by China in 1978, since the beginning of economic reforms. Reducing an export quotas, gradual liberalization, increasing competitiveness and efficiency has led to the development of economy and establishing it as the largest in the world.

In summary, we can conclude about importance of building an open, competitive and efficient economy all over the world. Wich will lead to the formation of global economic system in its ideal sense.

### References

1. Авдокушин Е. Ф. Международные экономические отношения :Учеб. Пособие / Е.Ф. Авдокушин. – М. : ИВЦ "Маркетинг". – 1997, 194 с.
2. Аніловська Г.Я. Відкрита економіка: проблеми економічної безпеки / Г.Я Анігіловська // Науковий вісник Львівського державного університету внутрішніх справ. – 2009. - №1. – С. 36-47
3. Даниленко О.Л. Відкрита економіка як передумова взаємодії внутрішнього і зовнішнього ринків / О.Л. Даниленко. – Режим доступу: [http://www.rusnauka.com/ONG/Economics/2\\_danilenko%20o.l..doc.htm](http://www.rusnauka.com/ONG/Economics/2_danilenko%20o.l..doc.htm)
4. Кочетов Є.Г. Геоэкономика (Освоение мирового экономического пространства): учебник / Є.Г. Кочетов. – М. Издательство БЕК, 1999. – 480 с.
5. Лук'яненко Д.Г. Економічна інтеграція і глобальні проблеми сучасності: навч. посіб / Д.Г.Лук'яненко. – К.: КНЕУ, 2005. – 204 с.
6. Новицький В.Є. Міжнародна економічна діяльність України / В.Є. Новицький. – К.: КНЕУ, 2003. – 948 с.
7. OECD Statistical Profiles. - The Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), 2013.- <http://www.oecd.org>.

### *ანნა ტროფიუმჩუკი*

*ივან ფრანკოს სახელობის ლეოვის ნაციონალური ინსტიტუტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კათედრის ასპირანტი*

### **გეოეკონომიკური მუქანობები ღია ეკონომიკის უწყობური განვითარებისათვის**

#### **ანოტაცია**

სტატიაში განხილულია ძირითადი მიდგომები ცნება ღია ეკონომიკისადმი. გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ უფრო მეტად ეფექტიან და კონკურენტუნარიან ეკონომიკაზე გადასვლაზე.

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკური და  
ეკონომიკური ასპექტები**

ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-მსოფლიო პოლიტიკაში ურთულესი პრობლემაა არა თუ საქართველოსნაირი პატარა ქვეყნისთვის, არამედ დიდი და მაღალგანვითარებული ქვეყნებისთვისაც. მაგალითად, გერმანიას 45 წელი დასჭირდა, რომ თავისი ტერიტორიული მთლიანობა აღედგინა. მეორე დიდი სახელმწიფო-იაპონია თითქმის 70 წელია უშედეგოდ ცდილობს აღიდგინოს თავისი მთლიანობა. ასევე მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ქვეყანამ-ჩინეთმა, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით უახლოვდება მსოფლიოს ერთადერთ „ზესახელმწიფოს“-აშშ-ს /აშშ-ს მთლიანი შიდა პროდუქტი 15.2 ტრილიონი დოლარია, ჩინეთის-8.2 ტრილიონი<sup>2</sup>/, მხოლოდ 155 წლის შემდეგ - 1997 წელს შეძლო პონკონგის დაბრუნება, ტაივანს კი ვერა და ვერ იბრუნებს.

აფხაზეთში რუსეთის გავლენა ყოველთვის დიდი იყო. საბჭოთა პერიოდში აფხაზეთის საწარმო-ორგანიზაციათა უმეტესობას შეგნებულად ჰქონდა მინიჭებული საკავშირო სტატუსი, რაც მათში დასაქმებულ მოსახლეობას იძულებულს ხდიდა ესწავლა რუსული ენა, ამას თან ემატებოდა აფხაზთა და სომეხთა მიერ ქართული ენის უარყოფა, როგორც არასაჭიროსი-მათი ძირითადი ორიენტირი იყო რუსეთთან ეკონომიკური და კულტურული კავშირები. ელემენტარული ქართულის შესწავლით ასევე თავს არ იწუხებდა მთელი წლის განმავლობაში აფხაზეთში დასასვენებლად ჩამოსული რუსი ტურისტების უზარმაზარი არმია, რაც იძულებულს ხდიდა აფხაზეთის ყველა მცხოვრებს შეესწავლა თუნდაც სასაუბრო რუსული. ასეთ პირობებში ქართული ენა გამოდიოდა როგორც მეორეხარისხოვანი-გამოიყენებოდა მხოლოდ აფხაზეთის ქართულ მოსახლეობაში კომუნიკაციის საშუალებად. ასე შეგნებულად ხდებოდა საქართველოს ამ ნაწილში ქართული ენის დაკნინება რუსული ენის საყოველთაოობის ფონზე.

სამწუხაროდ, აფხაზმა ხალხმა მალე დაივიწყა 1867-1878 წლების „რუსული გაკვეთილი“ დამოცე საუკუნეში თავისი ნებით „ჩაბარდა რუსეთს“- გახდა მისი „პროტექტორატი“. არადა, სწორედ ამ წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, რუსეთმა ნამდვილი გენოციდი მოუწყო აფხაზებს მუჰაჯირობის სახით-100000 აფხაზი გაასახლა თურქეთში, აფხაზური მოდგმის უბიხები და ჯიქები, რომლებიც ადღერი-ხოსტის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, დედაბუდიანად ამოხოცა, ხოლო აფხაზეთის ნაწილი გაგრიდან ხოსტამდე მთლიანად დაცალა აფხაზებისა და ქართველებისაგან<sup>3</sup>. ასე აღმოჩნდა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე და აფხაზეთის ულამაზესი ნაწილი რუსეთის შემადგენლობაში. დაცარიელებულ ტერიტორიაზე რუსეთმა დაიწყო კაზაკების ჩამოსახლება. შემდგომში მეფის მთავრობა ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების მცდელობას და ამის საპირისპიროდ, ხელს უწყობდა მუჰაჯირთა მიწებზე რუსების, სომეხების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების დასახლებას. გარდა ქართველებისა, რაც ქართველი და აფხაზი ერის სოციალურ-კულტურული და პოლიტიკური გათიშვის გეგმაზომიერი პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. ქართული ინტელიგენცია, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, არ იშურებდა

<sup>2</sup>Рейтинг стран мира по уровню Валового Внутреннего Продукта 2012- <http://www.gmarket.ru.../rating-countries-gdp-info-ივლისი,2013>, მოძიებულია 4 ნოემბერი, 2013,

<sup>3</sup>გ. ხორავა. აფხაზთა მუჰაჯირობა. თბილისი, არტანუჯი, 2004, გვ.14,22

ძალას მუჰაჯირობის შესაჩერებლად და მხარში ედგა აფხაზ ხალხს ამ ძნელ-ბედობის ჟამს. უფრო მეტიც, 1920 წელს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ მუჰაჯირობა აფხაზეთში დაბრუნების საკითხი განსახილველად შეიტანა ანტანტის საბჭოს სხდომაზე, თუმცა უშედეგოდ<sup>4</sup>.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წარმოქმნასა და გაღვივებაში რუსული ძალოვანი სტრუქტურების და აფხაზური ელიტის გავლენიანი ნაწილის ინტერესთა თანხვედრაზე უფრო დიდი უარყოფითი როლი იქონია საქართველოს ხელისუფლების ანტირუსული ისტერიკის პოლიტიკამ, რომელიც საქართველოს ხელისუფლების მიერ არასწორად აღიქმებოდა „როგორც დასავლეთთან ინტეგრაციის ყველაზე სწრაფი და ყველაზე საიმედო საფუძველი“.

თითქმის იგივე მიზეზები აქვს ქართულ-ოსურ კონფლიქტსაც - „რუსული კვალი“ და პოლიტიკური ქაოსი საქართველოში.

საქართველოს ტერიტორიების მიტაცება-ეს იყო „სასჯელი“ საქართველოს მიერ სსრკ-ის დაშლის ინიციატივისა და მისი დასავლური ორიენტაციისათვის. ეს ჯერ კიდევ 1989 წელს საჯაროდ განაცხადა მ.ს. გორბაჩოვმა: „საქართველოს შეუძლია დატოვოს სსრკ, მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე“<sup>5</sup>.

კონფლიქტის საწყის ეტაპზე საქართველომ დაკარგა ამ ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ-აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მთელი ტერიტორია-ქვეყნის ტერიტორიის 20 %.

წარსულს ვერ დავიბრუნებთ! ახლა მთავარია პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.მთავარი გზა, რა თქმა უნდა, რუსეთზე გადის, ვინაიდან ამ კონფლიქტებში „მთავარი მოთამაშე“ ისაა.რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს აქვს ორი არჩევანი: პირველი ნიშნავს ევროკავშირში შესვლას და თან რუსეთთან ურთიერთობების იდათობას“, მეორე კი-ნეიტრალიტეტის პოლიტიკის მეშვეობით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას.ევროარჩევანის უპირატესობა იმაშია, რომ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ საიმედოდ იქნება დაცული როგორც ნებისმიერი სამხედრო კონფლიქტისაგან, ისე მეზობლების მხრიდან პრეტენზიებისაგან,რისი დადასტურებაცაა რუსეთის პრეზიდენტის დამედვედვის საჯარო განცხადება, რომ „...არის რეგიონები, სადაც რუსეთს პრივილეგირებული ინტერესები აქვს“<sup>6</sup>.

გარდა ამისა, საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრება შეიარაღებული გადატრიალების ან არჩევნების ტოტალური გაყალბების გზით ხელისუფლებაში მოსვლის, ხოლო შემდეგ-მისი შენარჩუნების მანკიერი პრაქტიკა. ის, რომ ევროინტეგრაციის გზით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უტოპია არაა, მიუთითებს ნატო-ს წევრი გერმანიის მაგალითიც.

ევროინტეგრაცია და დემოკრატიის გაღრმავება საქართველოში გახდის მას უფრო მიმზიდველს აფხაზების და ოსებისთვის-შესაძლებელი გახდება პირდაპირი მოლაპარაკების დაწყება რუსეთის შუამავლობის გარეშე. ასეთი პირდაპირი კავშირები და მხარეებს შორის ნდობის აღდგენა კი ყველაზე უმოკლესი გზაა ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად .

აფხაზებს და ოსებს უნდა ვუჩვენოთ პრაქტიკული მაგალითი იმისა, რომ დემოკრატიული, აღმშენებლობის გზაზე შემდგარი და განვითარებული ქვეყნების

<sup>4</sup>მ. ლორთქიფანიძე. აფხაზეთი და აფხაზები. თბილისი, განათლება,1990, გვ.31

<sup>5</sup>Лежава Г. Абхазия: Анатомия межнациональной напряженности . Москва , ЦИМО ,с.155

<sup>6</sup>ვ. ყოლბაია და სხვა.საერთაშორისო მონაწილეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში. თბილისი, მწიგნობარი, 2010, გვ.8

რიგში მდგომი საქართველო მათი ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოებისათვის ყველაზე საიმედო გარანტი იქნება.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში დიდია საერთაშორისო ორგანიზაციების როლიც. მართალია, დღევანდლამდე ეს როლი შედარებით მოკრძალებული გამოდგა, მაგრამ ამას აქვს თავისი რეალური მიზეზებიც; 1. ძირითადი ორგანოს-გაეროს ეფექტიანობას ბლოკავს რუსეთი უშიშროების საბჭოში თავისი ვეტოს უფლებით. სწორედ ამის შედეგია ის, რომ კონფლიქტის წარმოშობიდან დღემდე გაეროს მიერ მიღებული 90 დოკუმენტის რეალური შედეგი მიზეზულია. 2. უნდა გააქტიურდეს ევროსაბჭოს და ევროკავშირის როლი, რომლებშიც რუსეთს ვეტოს უფლება არა აქვს. დღესდღეობით, ისინი აღექვამურად ვერ აღიქვამენ ტერიტორიულ კონფლიქტებს საქართველოში და „პირურგიული ჩარევის“ ნაცვლად კმაყოფილდებიან „თერაპიული პროცედურებით“. ამას გარკვეულწილად განაპირობებს მწვავე ეკონომიკური პრობლემები თავად ევროკავშირში, რის გამოც ისინი უფრო მეტად კონცენტრირდებიან შიდა პრობლემებზე, ვიდრე საქართველოს პრობლემების გადაჭრაზე. გარდა ამისა, ევროპის რიგი ქვეყნები რუსეთთან მიმართებაში წინ აყენებენ პრაგმატიზმს, ვიდრე სამართლიანობას. შედეგად, ევროსაბჭოს მიერ მიღებული 97 დოკუმენტის ეფექტიც, მიზეზულია<sup>7</sup>.

საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში ხშირად უფრო პრიორიტეტული ხდება უმწვავესი გლობალური პრობლემები/ერაყი, ავღანეთი, ირანი და სხვა/, ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

გარკვეული როლის შესრულება კონფლიქტის მოგვარებაში ასევე შეუძლია არასამთავრობო სექტორს. 21-ე საუკუნე გამოცხადებულია სახალხო დიპლომატიის ანუ „რბილი ძალის“ ეპოქად, რადგან თანამედროვე მსოფლიოში ესაა წარმატების მიღწევის ყველაზე სწრაფი და ეფექტური გზა. განვიხილო პერიოდში სწორედ მათი აქტიური ქმედებით გაეწია დიდი მატერიალური დახმარება დევნილებს, აცილებულ იქნა ჰუმანიტარული კატასტროფა, დაიწყო პროცესი ორ მხარეს შორის ნდობის აღსადგენად. მართალია, ეს ორგანიზაციები ძირითადად დაკავებული არიან დევნილთა პრობლემებით, მაგრამ ამ პრობლემების გადაწყვეტაში ხელშეწყობა-ესაა საიმედო საფუძველი მომავალში ტერიტორიული საკითხის გადასაჭრელად.

კონფლიქტის გადაწყვეტაში პოზიტიური როლის შესრულება შეუძლიათ ცალკეულ სახელმწიფოებსაც. განვიხილო პერიოდში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ აშშ, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი. სწორედ ამ სახელმწიფოების მეშვეობით განხორციელდა მრავალი პროექტი, რომელთა მიზანი იყო მხარეთა შორის არაფორმალური კონტაქტების ხელშეწყობა და ჰუმანიტარული პროგრამების რეალიზება. სწორედ მათი ელჩები ჩადიდნენ რეგულარულად სოხუმსა და ცხინვალში, ჩაჰქონდათ კონფლიქტის

საერთო მოგვარების თავიანთი ხედვები.რად ღირს თუნდაც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის „შტაინმაიერის გეგმა“, რომელიც ამ კონფლიქტის გადაჭრის ყველაზე რეალური გეგმა იყო, აფხაზური და ოსური მხარის ლიდერთა სეპარატიზმის გამო, გეგმა გეგმადვე დარჩა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სახელმწიფოთა მცდელობა დიდად განაპირობა მ. სააკაშვილის ხელისუფლების უკიდურესმა ანტირუსულმა რიტორიკამ, ხოლო შემდგომში 2008 წლის აგვისტოს ომმა. რომ არა ეს ფაქტორები, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფ

<sup>7</sup>ე.კოლბაია და სხვა.საერთაშორისო მონაწილეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში. თბილისი, მწიგნობარი, 2010, გვ.11

საფრანგეთსა და გერმანიას, ალბათ, შეეძლოთ უფრო მეტი სარგებლობა მოეტანათ პრობლემის გადაჭრაში.

კონფლიქტის მოგვარებაში სრული უუნარობა გამოიჩინა დსთ-მ, რომლის წევრიც იმ დროს იყო საქართველო. დსთ-ის წევრი ქვეყნების მეთაურთა საბჭოზე და სხვა ფორუმებზე მიღებულ იქნა ათეულობით გადაწყვეტილება ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტის თაობაზე, მაგრამ რეალურად არაფერი გაკეთებულა<sup>8</sup>.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტი პოლიტიკური ინსტრუმენტიცაა. მსოფლიო პოლიტიკაში არსებობს პოლიტიკური კრიზისების გადაწყვეტის ეკონომიკური ინსტრუმენტებიც. საქართველოს რეალობაში ასეთი შეიძლება გახდეს ორგანიზებული საზღვრისპირა ბაზრობები და თეზ-ები<sup>9</sup>. საბაზრო ეკონომიკა, რომელიც ადამ სმიტის აზრით, მარადიულია, ეფუძნება

ეკონომიკურ ინტერესს, მოგებისადმი სწრაფვას. ეს ისეთი ინსტრუმენტიცაა, რომელიც მოსისხლე მტრებსაც კი ერთმანეთთან შეარიგებს. ამის ნათელი დადასტურებაა ომის შემდგომი გერმანია და საფრანგეთი.

ჩვენს შემთხვევაშიც, გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის წაყვლით, შესაძლებელია ინსტრუმენტი ყველაზე ქმედითი გამოდგეს. მით უფრო, რომ ადამიანთა მისწრაფებას კეთილდღეობისაკენ საზღვარი არა აქვს. საჭიროა სახელმწიფომ თავის ხელში აიღოს საზღვრისპირა ბაზრობების ორგანიზება თეზ-ების სახით, მისი ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, უბაჟო ვაჭრობის შემოღება. ზონების ხელმძღვანელობა უნდა დაეკისროს შერეულ ადმინისტრაციას, ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ერთობლივი საწარმოები, აგრეთვე უცხოელი ინვესტორები 3-5 წლით უნდა გათავისუფლდნენ ყველა სახის გადასახადისაგან, ხოლო შემდგომ მათ უნდა დაეკისროთ მხოლოდ 10%-იანი მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის გადახდა, გარდა ამისა, ერთობლივ საწარმოებს უნდა მიეცეთ შეღავათიანი საბანკო კრედიტები.

თეზ-ები, გამომდინარე რეგიონის ბუნებრივი პირობებიდან, ორიენტირებული უნდა იქნან აგროინდუსტრიასა და კვების პროდუქტების წარმოებაზე, რომლის დიდი ნაწილი ექსპორტზე გავა. ასეთი მიმართულება განსაკუთრებით პერსპექტიულია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უახლოეს პერიოდში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა თავისი სიმწვავეთ თითქმის გაუტოლდება ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

ენერგეტიკული უსაფრთხოების და პოლიტიკური დაახლოების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია რუსული ნავთობ და გაზსადენების საქართველოს ტერიტორიის გავლით აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის და ირანის ნავთობსადენებთან მიერთება, რაც ამასთანავე საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

ანალოგიური დატვირთვა /პოლიტიკური და ეკონომიკური/ ექნება რუსეთ-სომხეთის და რუსეთ-აზერბაიჯანის რკინიგზების და საავტომობილო გზების ამოქმედებას საქართველოს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე გავლით, რომელიც შემდგომში ირანამდე გაგრძელდება, მით უფრო, რომ ირანი თანახმაა თავის თავზე აიღოს საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობის გადიდება ირანული ტვირთების ევროპაში ტრანსპორტირების სანაცვლოდ. გამომდინარე იქიდან, რომ ესაა უმოკლესი და შესაბამისად, ყველაზე ეფექტური გზა ტვირთების

<sup>8</sup>გ. ყოლბაია და სხვა. საერთაშორისო მონაწილეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების პროცესში. თბილისი, მწიგნობარი, 2010, გვ.13

<sup>9</sup>მ. ჯიბუტი. აფხაზეთში /საქართველო / კონფლიქტის გადაწყვეტის ხელშეწყობა ეკონომიკური ფაქტორების გამოყენებით. თბილისი, 2007

და მგზავრების ევროპიდან აზიაში გადასაადგილებლად /მანძილი მცირდება, მინიმუმ, 1500 კმ-ით /, ნათელია, რომ ამ გზების ტვირთბრუნვა და მგზავრთბრუნვა კიდევ უფრო გაიზრდება მასში სხვა აზიური ქვეყნების ჩართვით, რაც დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო გახდება.

ასეთი ქმედითი ეკონომიკური ინსტრუმენტების სისტემა გამოიწვევს მხარეებს შორის ნდობის ამაღლებას, სახალხო დიპლომატიის გაძლიერებას, დასაქმებულთა ზრდას,

სეპარატიზმის შემცირების ტენდენციას, ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლებას საზღვრისპირა ზონაში და ა.შ. საბოლოო ჯამში, მხარეებს შორის ეკონომიკური დაახლოება უცილობლად მიგვიყვანს პოლიტიკურ დაახლოებამდე, ერთ ჭერქვეშ ცხოვრების მიზანშეწონილობამდე-მთავარია, ქვეყანა იყოს წელში გამართული, ცხოვრების მაღალი დონით, კანონის უზენაესობით და ყველაზე მთავარი-ურყევი დემოკრატით. ასეთ ყვეყანაში ცხოვრებაზე კიარც ერთი ერი და ეთნიკური ჯგუფი არ იტყვის უარს-ეს აქსიომაა.

*მერაბ ცომაია*

*თსუ-ს ბაკალავრი*

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები ანოტაცია**

სტატიაში განხილულია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების წარმოშობის რეალური მიზეზები-სეპარატიზმი ორი რეგიონის მმართველ ელიტაში, რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების იმპერიული ზრახვები და რაც მთავარია, საქართველოს ყოფილი ხელისუფლებების პერმანენტული ანტირუსული ისტერიკის პოლიტიკა, მოცემულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტრუმენტები: საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა, სახალხო დიპლომატია, მოლაპარაკებები რუსეთთან და უშუალოდ სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელობასთან, საზღვრისპირა ვაჭრობის განვითარება ბაზრობების სახით, თეზ-ების ჩამოყალიბება, საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა.

*Мераб Цомаиа*

*Бакалавр ТГУ*

**ПОЛИТИЧЕСКИЕ И ЭКОНОМИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ТЕРРИТОРИАЛЬНОГО ВОССТАНОВЛЕНИЯ ГРУЗИИ**

**Аннотация**

В работе рассмотрены реальные причины Грузино-Абхазского и Грузино-Осетинского конфликтов-сепаратизм управляющей элиты двух регионов, имперские намерения российских силовых структур и самая главная, перманентная антироссийская и стерическая политика бывших грузинских властей, даны политические и экономические инструменты восстановления грузинской территориальной целостности: усилие международных организаций, народная дипломатия, переговоры с Россией и непосредственно с руководителями сепаратистских регионов, развитие приграничной торговли в виде ярмарок, сзз, восстановление автомобильного и железнодорожного сообщения.



*Merab Tsomaia*

*Bachelor TSU*

**POLITICAL AND ECONOMICASPECTS OF RE-ESTABLISH OF GEORGIA,S  
TERRITORIAL INTEGRITY**

**Annotation**

In this article considered real causes arise of Georgian-Abkhazian and Georgian-Ossetic conflicts-separatism in the two region,s ruller elite ,the impirical intends of the Russian mighty structuresmain cause-antirussian hysterics policy of Georgian ex-power, gave the political and economic instruments Georgian,s territorial completeness re-establish: the try international organizations, the national diplomacy, negotiate with Russia and immediately at guidance separate regions, develop borderland trade with fairs variety, establish Free Economical Zones, motor-car and railway plyrestore

**რეზიონულ ბაზრებზე ლოგისტიკური თავისებურებები**

ბოლო წლებში მსოფლიო ეკონომიკაში ფართოდ გამოიყენება ლოგისტიკური პრინციპები: დაგეგმვაში, კონტროლსა და მართვაში; ტრანსპორტში, ნედლეულის, მასალების და ნახევარფაბრიკატების გადაზიდვაში; მომხმარებლის ინტერესების თანხვედრით მზა პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანაში; გადაცემის, შენახვის და გადამუშავების პროცესის შესაბამისი ინფორმაციით [3]. მეცნიერები თვლიან, რომ ლოგისტიკა – ეს არის დაგეგმარების სტრუქტურა. სხვა სიტყვებით, ლოგისტიკური მართვის ამოცანას წარმოადგენს ნაკადების მართვას, უზრუნველყოფს ამოცანების გადაწყვეტის და სტრატეგიის დამუშავების მექანიზმს, - ყოველდღიური მართვის პროცესში.

ახალი მომწოდებლების ძიების აუცილებლობა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, ამოწურული შესაძლებლობების ფონზე, ფირმებს იძულებულს ხდის გააფართოვოს შესაძლებლობის საზღვრები ახალი რეზერვების მოძიების გზით, მათ შემადგენლობაში და მის საზღვრებს გარეთ, გარდა ამისა ჩნდება იდეა საწარმო-კომერციული საქმიანობის ცალკეული კომპონენტების ოპტიმიზირების, მათი ერთობლიობის, სადაც დაისმება ფირმის პოტენციური რესურსების ოპტიმალური გამოყენების ამოცანა. სწორედ ეს გახდა ლოგისტიკური თეორიის შესწავლის საგანი შემდეგი პროცესების: მატერიალური, ფინანსური, სამუშაო ძალის, ენერგეტიკული, ინფორმაციული ნაკადების დაგეგმვაში, მართვაში და კონტროლის დროს - ადამიანურ თუ ტექნოლოგიურ სისტემაში.

ლოგისტიკა მენეჯერებს ეფექტური პოლიტიკური სტრატეგიის ფორმირების საშუალებას აძლევს, რათა უზრუნველყონ თავიანთი კონკურენტული უპირატესობა, გამომდინარე არა მხოლოდ განყენებული მდგომარეობით ბაზარზე, არამედ მომხმარებელთა მოთხოვნისადმი ძირეული მიდგომით. ამასთან ლოგისტიკური აზროვნება ერთვება კითხვების უფრო ფართო წრეში, რითაც საქონლის განაწილების მართვა უფრო ადვილდება, რთულია კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღება ფირმის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად ბაზრის წინააღმდეგობრივ პირობებში. აუცილებელია ქმედებების მაღალ დონეზე გამოკვლევა. მიღებული გადაწყვეტილების ფორმირება შესაძლებელია, როგორც ფირმაში ასევე მის გარეთ არსებული საშუალებების მეტი მასობრივი ინფორმაციის ადეკვატური აღწერით.

მაკროეკონომიკურ სისტემაში, მათი ქვესისტემების შემადგენლობაში ლოგისტიკური მოდელის განხორციელება გვაძლევს სავსებით გამართულ სისტემას, ამასთან გვაძლევს საშუალებას აღვწეროთ ლოგისტიკური ნაკადები მათში და მათ ფუნქციონირებაში. [2].

მართვა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სისტემის მდგომარეობისა და ქმედებების ერთობლიობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივალწიოთ მიზანს და მივიღოთ შედეგი, სისტემის უკეთ ფუნქციონირებისათვის.

ლოგისტიკური მოდელის დანერგვა მაკროეკონომიკურ სისტემაში, ნაწილია თანამედროვე ლოგისტიკის. ნაწილობრივ აქამდეც გადაიხედებოდა მიკროეკონომიკაში, მაგალითად: ფულადი მიმოქცევა ან პროდუქციის მოგების წრებზე; საქონლისა და მომსახურების ნაკადი, რომლითაც საქმიან კავშირს ამყარებენ ფირმები და საწარმოები შესაბამისი ფულადი ნაკადებით. მაკროეკონომიკურ სისტემაში ლოგისტიკური მიდგომა ითხოვს პროგნოზირებას, მართვა-

სა და კონტროლს, ამასთან ფინანსური, სამუშაო ძალის, ენერგეტიკული, ინფორმაციული ნაკადების მოძრაობის პროცესის გადახედვას.

საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგის კონკურენტული ბიზნესგარემო მნიშვნელოვანია არა მარტო კომპანიებისთვის, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობისათვის. [1]


ამ ეტაპზე მიკროეკონომიკურ სისტემაში, ძირითად როლს თამაშობს ინფორმაციული ნაკადი და მისი შემსწავლელი ინფორმაციული ლოგისტიკა. მწარმოებელურ ეკონომიკაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ინფორმაცია წარმოადგენს იმით, რომ ის არის ნაწილი წარმოების საშუალებებისა, აუცილებელი საყრდენი ფორმის ფუნქციონირების, ისეთი როგორც არის ნედლეული, მასალები, სამუშაო ძალა, კაპიტალი და სხვა გამოსაყენებელი რესურსები.

მატერიალური, ადამიანური, ფინანსური და ინფორმაციული ნაკადების მართვაში პრობლემებს წარმოადგენს ავტომატიზირებული სისტემის დანერგვა. აქამდე არსებულ მბრძანებელურ-ადმინისტრირებული სისტემის ყველა მმართველობითი პროცესები იდენტიფიცირდებოდა ადმინისტრაციული სტრუქტურების დაქვემდებარებაში, ბრძანების გაცემის უფლებით, რესურსების ცენტრალიზებული გადანაწილებით, ვადლებულებების გადამისამართებით და სხვ. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, ამ მხრივ ურთიერთობები ეტაპობრივად გადაიყვანეს საბაზრო პროცესების დარეგულირების სრულიად გააზრებულ ელემენტებზე. ამიტომაც შესყიდვები საოპერაციო ძიების ნაწილში ატარებს თანმდევ პრობლემებს, რითაც იზრდება ცოდნა მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური ნაკადების მართვაში, რომელსაც აღნიშნავს სიტყვა ლოგისტიკა.

საწყისი ლოგისტიკისა არის - მოთხოვნის შესწავლაში, რესურსების მობარაგების მართვაში, პირველად ტექნოლოგიურ პროცესში და მათ მართვაში; ეკონომიკური კომპრომისის კრიტერიუმთა ჩარჩოში ყველა მონაწილის მატერიალური ნაკადის მიხედვით, მიწოდების პროცესის რეგულირებაში, გამოცდილების დაგროვებაში იმისთვის, რომ შევიმუშაოთ სამომავლო სტრატეგია, რათა ვმართოდ ნაკადები და პროგნოზები.

ნათელია, რომ ნებისმიერი მატერიალური ნაკადის გადაადგილება დამოკიდებულია ტრანსპორტზე, დატვირთვა-ჩამოტვირთვა-გადატვირთვის ოპერაციაზე, რომელიც დაკავშირებულია ლოგისტიკის საწყის ნაწილთან. ამ საშუალებით რესურსების მობარაგების სისტემური აღწერის პროცესის კომპლექსიდან ამოღება, ორგანიზაციულ-ფუნქციონალური მოდელის მუშაობის შემოსახლდრა მართვაში გვაძლევს წარმოდგენას ტექნოლოგიური მართვისა. ამ თვალსაზრისით ლოგისტიკური გაგება არ ატარებს განსაკუთრებულ ნოვაციას, აქამდე არსებული კვლევები გვევლინება როგორც მატერიალურ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის სისტემის ანალიზი და დაგეგმვა.

ლოგისტიკაში ნაკადების მართვისთვის, დაკვირვება ხდება შემდეგი ფუნქციების შესრულებაზე: ანალიზი, დაგეგმვა, ოპერატიული რეგულირება და კონტროლი. ეს ფუნქციები მოცემულია სქემაზე.



**ნახაზი 1. მმართველობითი სისტემის ძირითადი ფუნქციების კავშირი.**

მთლიანობაში მმართველობითი სისტემის ცალკეული ფუნქცია შეიძლება დავხასიათოთ შემდეგი სახით:

ანალიზის ფუნქციაში კითხვების მთელი კომპლექსი ერთეობა იმის გადახედვით, რომ დადგინდეს: კვლევებში მიღწეული შედეგისადმი და დახარჯული საშუალებებისადმი კავშირი, გამოვლინდეს განსხვავებული ფაქტორების გავლენა ნაკადების მნიშვნელობის პარამეტრებზე, შეფასდეს მართვის ეფექტურობის ხარისხი და სისტემის ფუნქციონირება მთლიანობაში. ანალიტიკური ინფორმაციის მიღება გამოიყენება ახლებურად დაგეგმვისათვის და არა მმართველობითი ციკლისათვის.

დაგეგმვის ფუნქციაა, იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომელიც დაკავშირებულია ნაკადების მოძრაობის ოპტიმალურ ტერიტორიაში მოქცევა, ნაკადების ფორმირება, მისი ინტენსივობის დადგენა, ნაკადების აღწერა და სხვ.

ოპტიმალური რეგულირების ფუნქციაა, იმ გეგმების რეალიზება, რომელიც ნაკადების მოძრაობასთანაა დაკავშირებული. მმართველობითი ზემოქმედების განხორციელება შესაძლებელია შემდეგი ღონისძიებებით: [4]

მატერიალური რესურსების მოძრაობის დაჩქარება მიმწოდებლიდან მომხმარებელამდე;

ნაკადების მოძრაობის, მის ბოლო წერტილამდე არსებული ტრანექტორიის შეცვლა;

ერთი მატერიალური რესურსის სხვით ჩანაცვლება;

საბითუმო-სავაჭრო საწარმოების რეზერვების გამოყენება, მიწოდების დაზღვევა მარაგების გამოყენებით;

მაღალწონობითი, ზედმეტი და გამოყენებული მატერიალური რესურსების გადამუშავების ჩართვა სასაქონლო ბრუნვაში;

მატერიალური რესურსების მარაგების ერთიანი მართვა;

მატერიალური ნაკადების დანაწილება მცირე მარაგებად;

მარაგების სიხშირის ჩანაცვლებები;

მატერიალური რესურსების მარაგის შექმნა მაღალტექნოლოგიური მზადებისათვის;

მეორადი მატერიალური რესურსების ჩართვა წარმოებით ბრუნვაში და ა.შ.

კონტროლის ფუნქცია უზრუნველყოფს ნაკადებთან დაკავშირებულ მოძრაობების შესაბამისობას.

ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურა მიმართული უნდა იყოს თავდაპირველად ფირმის ქვედანაყოფთა შორის ურთიერთკავშირის დამყარებით, მათ შორის არსებული უფლებებისა და პასუხისმგებლობის დანაწილებით. ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურა განასხვავებს მისი შემადგენლობისა და სისტემის დაქვემდებარებას მთლიანი მართვის სიტემაში. ის იცვლება ფირმის საშუალებების ცვლილებების შესაბამისად.

მმართველობითი აპარატი მსხვილ მრავალდარგოვან კომპანიებში შეიძლება დაფიქსირდეს სამ ძირითად მმართველობად: მაღალი დონე (Top Management), რომელიც რჩევას აძლევს დირექტორებს; მმართველობითი კომიტეტები საშუალო დონე (Middle Management), წარმოდგენილი ცენტრალურ სამსახურთან; დაბალი დონე (Lower Management) ოპერატიულ სამეურნეო ქვედანაყოფი (წარმოებითი დანაყოფები, მეურნეობრივი სტრატეგიული ცენტრები). დიდი მნიშვნელობა აქვს მიზნებისა და ფუნქციების სწორად განაწილებას მოცემულ სამ მმართველობით დონეს შორის. მიზნები შეიძლება დაფიქსირდეს შემდეგადა:

მოგება: მდგრადი და მზარდი მოგების მიღება დაბანდებული კაპიტალიდან;

გაყიდვები: გაყიდვების მოცულობის ზრდა;

საბაზრო: ბაზრის წილის ზრდა;

შრომითი მწარმოებლურობა: გაყიდვების მოცულობის ზრდა ანაზღაურების მოცულობასთან შედარებით;

ახალი ინვესტიციები: ახალი კაპიტალდაბანდების მოგება პროცენტულად უნდა იყოს არანაკლებ არსებული მოგების მაჩვენებლის;

ახალი პროდუქცია: ახალი პროდუქცია პროცენტულად უნდა იძლეოდეს მეტ მოგებას ვიდრე მთლიანი წარმოების მოგების პროცენტული მაჩვენებელი;

მდგომარეობა: ეკონომიკური მაჩვენებლებით ფირმა უნდა შედიოდეს წამყვანი ფირმების მაჩვენებლების სიაში;

კლასიკური გაგებით ძირითადი მიზანი ნებისმიერი კომერციული წარმოებისა არის მაქსიმალური მოგების მიღება. მიზნის წარმატებული ფორმულირება არის მაქსიმალური უკუგება ჩადებული კაპიტალიდან. ასეთი გააზრება საშუალებას გვაძლევს ანალიტიკურად შევაფასოთ მოგების მაჩვენებლები ჩადებული კაპიტალის ბრუნვასთან.

დაგეგმვა და მართვა წარმოებებში, ფირმებში და ადმინისტრაციულ სამსახურებში არის რთული პროცესი. წლების მანძილზე ის გვევლინებოდა, როგორც ადამიანზე ზემოქმედების მექანიზმი. მეცნიერების და ტექნიკის განვითარებამ შრომის დანაწილებამ უფრო გაართულა გადაწყვეტილებების მიღება, დაგეგმვისა და მართვის პროცესი.

გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებელია გვექონდეს და გადავამუშაოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. გადაწყვეტილების მიღება, როგორც წესი დაკავშირებულია დიდ მატერიალურ ფასეულობებთან. თანამედროვე პერიოდში არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი მიმართულების ცოდნა, რომელსაც მიზნის მისაღწევად მივყავართ, არამედ აუცილებელია ყველა შესაძლო მიმართულებიდან ავირჩიოთ მეტნაკლებად ეკონომიური, რომელიც მეტწილად შესადაგება არსებული ამოცანის გადაჭრას.

ციფრული მანქანებისა და პერსონალური კომპიუტერების გამოჩენამ შექმნა მეცნიერების განვითარების, დაგეგმვის სრულყოფილი მეთოდების შემუშავების და წარმოების მართვის დიდი შესაძლებლობები. თუმცა ამოცანების მკაცრი ფორმირების გარეშე, პროცესების მათემატიკური აღწერის გარეშე დაგეგმვა და მართვა შეუძლებელია იყოს სრულყოფილად შესაძლებელი.

საბაზრო პირობებში ლოგისტიკური ამოცანები არსებითად ფართოვდება. ლოგისტიკური სისტემა უნდა იყოს კომპლექსურად აღჭურვილი სპეციალური

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელებით. ძირითადი განსაკუთრებულობა ტექნოლოგიურობაა, ამასთან უნდა არსებობდეს რთული ამოცანების ოპერატიულად გადაჭრის შესაძლებლობა ტექნოლოგიური პროცესების მართვისას. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ მოდელების ძირითადი როლი კომპრომისის მიგნებაშია. ამ მხრივ ჯერ კიდევ მცირეა გამოცდილება, მაგრამ ეს შეიძლება დაგროვდეს საბაზრო მექანიზმების ამოქმედების და განვითარების პროცესში.

ცხადია, აუცილებელი ელემენტია ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით სამუშაო ადგილების ავტომატიზირება: მომუშავეთა და მათ მენეჯერებთან კომუნიკაციის ფართო შესაძლებლობები, სრულყოფილი მონაცემთა ბაზების ფორმირება და მენეჯერთა მიერ მათი ეფექტიანი გამოყენება მართვის პროცესში, მართვის თანამედროვე საშუალებების შემოღება, ბაზრის რეალური კომერციულ-ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ფორმირება. ჩვენი მოსაზრებით ტექნოლოგიური სისტემის სრულყოფა ლოგისტიკის პერსპექტიული პრობლემების მარტივად გადაწყვეტის და ახლებურად მართვის შესაძლებლობას მოგვცემს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ნანა ადვიშვილი. საქართველოს ეკონომიკა. "დარგობრივი კონკურენტუნარიანობის პოლიტიკა" გამომცემლობა "სიახლე". 2012 წ. 308 – გვ. 289.
2. Новиков О.А., Щербаков В.В. Оптовая торговля средствами производства.Л.:ЛФЭИ, 1990.
3. Санамов Ю.А., Белявский. Применение маркетинга в планировании и организации производства на предприятии. - СПб.: Изд-во СПбУЭФ, 1994.
4. Плоткина Б.К. "Введение в коммерцию и коммерческую логистику" 1998.

*დავით ხაჯომია*

*საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი*

### რეგიონულ ბაზრებზე ლოგისტიკური თავისებურებები ანოტაცია

ნაშრომში გამოკვეთილია ლოგისტიკური ნაკადების მართვის მნიშვნელობა. აღნიშნულია ლოგისტიკური ხედვის როლი რეგიონულ მართვაში, ინფორმაციული ნაკადების წვლილი კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში, მმართველობით სისტემაში და მის ფუნქციებში.

*დავით ხაჯომია*  
*დოქტორანტი*

### ЛОГИСТИЧЕСКИЕ ОСОБЕННОСТИ РЕГИОНАЛЬНЫХ РЫНКОВ

#### Аннотация

В работе подчеркивается важность управления логистическими потоками. Рассматривается роль логистического видения в региональном управлении, вклад информационных потоков в улучшение конкурентоспособности, в системы управления и его функции.

*David Khazhomia*  
*Doctorant*

**LOGISTICAL FEATURES OF REGIONAL MARKETS**

**Annotation**

The work highlights the importance of logistical flow management. The role of the logistical vision on regional management, contribution of information flows into the improvement of competitiveness in governance system and its functions.

*ონისე ალფენიძე*

*ოსუ დოქტორანტი*

*ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, ვრონინგენის ჰანზეს  
უნივერსიტეტი (ნიდერლანდები)*

*მენეჯმენტის ინსტრუქტორი, ახლო აღმოსავლეთის ამერიკული კოლეჯი  
(ელ-ჟუვეითი)*

**უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის  
ეპოქაში**

თანამედროვე სამყაროში უმაღლესი განათლების მიღება ასოცირდება როგორც სპეციალობის დაუფლებასთან, ასევე გლობალური მოქალაქის აღზრდასთან. მეოცე საუკუნის ბოლოს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, მნიშვნელოვანი გახდა ისეთი კურსდამთავრებულების გამოშვება, რომლებიც არა მხოლოდ ლოკალური, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ღირსეული წევრები იქნებიან. გლობალიზაციამ, რომელიც თანდათან ქვეყნებს შორის ყველა სფეროში შლის საზღვრებს, გაამძაფრა კონკურენცია როგორც კლასიკურ ბიზნეს-ორგანიზაციებს, ასევე უნივერსიტეტებს შორისაც, რომლებსაც, ისევე როგორც მათ კურსდამთავრებულებს, მზარდი კონკურენციის პირობებში უწევთ საერთაშორისო ბაზარზე თვითდამკვიდრება.

სწორედაც რომ გლობალიზაციის პროცესია ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იმისა, რომ უმაღლესი განათლების დაწესებულებებს საკუთარი თავის სხვა ჭრილში დანახვა უწევთ. კერძოდ, ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ მხოლოდ საუნივერსიტეტო განათლების მომწოდებელ ლოკალურ ორგანიზაციებს, არამედ ბიზნეს-დაწესებულებებს, რომლებიც ჩართული არიან გლობალურ საქმიანობაში. თავის მხრივ გაზრდილი კონკურენცია და გლობალურ სამყაროში წარმატების მიღწევა მეტ ყურადღებას ითხოვს უმაღლესი განათლების დაწესებულებებისაგან, რათა მათ ადეკვატურად შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, ისევე როგორც შესაძლებლობები და საფრთხეები, რომლებსაც აღნიშნული დინამიური გარემო წარმოშობს.

დღეს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის მაღალი დონე მიხნეულია ერთერთ ძლიერ კონკურენტულ უპირატესობად. მიხნეულია, რომ საერთაშორისო პროგრამებსა და აქტივობებში ჩართულ უნივერსიტეტს მეტი საშუალება აქვს მოიხილოს უფრო მეტიადგილობრივი და უცხოელი სტუდენტი, ჩართული ჰყავდეს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო კვლევით პროექტებში და შესაბამისად მიიღოს მეტი სარგებელი თავისი სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებისათვის და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებები სულ რაღაც ორი ათეული წელია რაც ჩაებნენ საბაზრო ეკონომიკის ფერხულში. ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით კერძო უმაღლესი განათლების დაწესებულებები, მხოლოდ 1990-იანი წლების შემდეგ დაფუძნდა. შესაბამისად, ამ ორგანიზაციებს მანამდე არ ჰქონიათ უცხოური უნივერსიტეტებისათვის სრულყოფილი კონკურენციის გაწვევის შესაძლებლობა და გამოცდილება. მიზეზი რატომ უნდა მდგომარეობს საერთაშორისო კონკურენციაში მათ გვიან ჩართვაში. მათ ასევე მწირი გამოცდილება აქვთ ამ პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების. შესაბამისად, მნიშვნელოვანია არსებული სიტუაციის შეფასება, თანამედროვე ტრენდებისა და მიმართულებების ცოდნა, მათი საქართველოს რეალობისთვის მისადაგება და იმ პროექტების განხორციელება, რაც მათ კონკურენტუნარიანობას გაზრდის და სარგებელს მოუტანს როგორც მათ, ასევე მთლიანობაში



ქვეყანას. ამ თვალსაზრისით ეფიქრობ პირველ როგში საინტერესო იქნება დავინახოთ თუ რას წარმოადგენს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ტანამედროვე ეტაპზე. მით უმეტეს, ეს საკითხი და მისი მენეჯმენტი, შედარებით ახალი საკითხია სამეცნიერო სფეროსთვის მთელს მსოფლიოში.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი შედარებით ახალი კვლევის საგანია, ის მეცნიერთა სულ უფრო მზარდ ინტერესს იწვევს. საკითხის სიახლიდან გამომდინარე, ბუნებრივია ჯერ კიდევ მიმდინარეობს კვლევა-ძიება და აზრთა შეჯერება თვით ინტერნაციონალიზაციის განსაზღვრების ჩამოსაყალიბებლად. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვა ასპექტიდან გამომდინარე ცდილობს მოახდინოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დეფინიციების ჩამოყალიბება. ქვემოთ მოყვანილია მეცნიერთა მიერ ჩამოყალიბებული დეფინიციები, რომლებიც უდაოდ გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის კონცეპტუალური მოდელების ჩამოყალიბებისა და შემდგომი ემპირიული კვლევებისათვის.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის განსაზღვრებაზე საუბრისას, აიობი და ალ-ჰაბაიბი აღნიშნავენ, რომ 1990-იანი წლებიდან მოყოლებული უნივერსიტეტების საერთაშორისო აქტივობა საგრძნობლად გაზრდილია, რაც გამოიხატება სტუდენტთა მობილობის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლებისა და სასწავლო პროგრამებში ცვლილებების მატებაში [1]. გლობალიზაცია და უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია თანამდევ პროცესებს წარმოადგენენ. როგორც მანინგი წერს, გლობალიზაციამ ზეგავლენა იქონია სწავლებასა და კვლევებზე ისევე როგორც ამ უკანასკნელებმა მოახდინეს გლობალიზაციის დაჩქარება. ავტორი აღწერს ინტერნაციონალიზაციას, როგორც გლობალიზაციის ერთერთ ასპექტს: ეს არის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთაშორისო კომპონენტების ინტეგრირება, რაც გულისხმობს გლობალური კულტურათაშორისი საკითხების წინ წამოწევას და მათ ინტეგრირებას ძირითად საუნივერსიტეტო ფუნქციებსა და ქმედებებში [2].

ამავე აზრს ავითარებს ელინგბოე. მეცნიერი ინტერნაციონალიზაციას აღწერს, როგორც საერთაშორისო პერსპექტივების ინტეგრაციას კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სისტემაში. ავტორის აზრით, ინტერნაციონალიზაცია არის აქტიურად მიმდინარე პროცესი, რომელიც ორიენტირებულია მომავალზე და რომელსაც გააჩნია მულტიგანზომილებიანი და ინტერდისციპლინარული ელემენტები. ავტორი აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულია სხვადასხვა სტეიკჰოლდერი, რათა შეიცვალოს უნივერსიტეტების შიდა დინამიკა და შესაბამისი ადაპტირება მოახდინოს მუდმივად ცვალებად გარემოში [3].

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხების კვლევაზე მუშაობს კანადელი მეცნიერი ნაითი. ინტერნაციონალიზაციის ნაითისეული განსაზღვრება გულისხმობს ინტერკულტურული და საერთაშორისო ელემენტების ინტეგრაციას უნივერსიტეტების სასწავლო პროცესში და კვლევების მიმართულებებში [4].

ვან დერ ვერდე საუბრობს შედეგობრივ მიდგომაზე. კერძოდ, მეცნიერი ინტერნაციონალიზაციას ხედავს, როგორც სისტემატურ მცდელობას უპასუხოს გლობალიზაციის თანამედროვე გამოწვევებს როგორებიცაა ეკონომიკების, საზოგადოებებისა და მუშახელის გლობალიზაცია/ინტერნაციონალიზაცია [5].

ქიანგი ინტერნაციონალიზაციას ხედავს, როგორც უმაღლესი განათლების დაწესებულებების პასუხს მზარდ გლობალიზაციაზე. იღებს რა მხედველობაში სხვადასხვა მკვლევარის მიერ ჩამოყალიბებულ ინტერნაციონალიზა-

ციის კომპლექსურ განსაზღვრებებს, მეცნიერი ხაზს უსვამს ეროვნულ იდენტობას და კულტურას, როგორც უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მთავარ ელემენტს. სხვადასხვა ქვეყანაში ინტერნაციონალიზაციაზე სხვადასხვა სახის ზეგავლენას ახდენენ ისტორია, კულტურა, რესურსები და სხვადასხვა კონცეფციები. შესაბამისად, არ არის შესაძლებელი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ერთნაირად განვსაზღვროთ და აღვწეროთ ყველა ქვეყნისათვის [6]. მიუხედავად ამისა, სტრომქვისტი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ საუნივერსიტეტო დონეზე გლობალიზაცია დაყვანილია ინტერნაციონალიზაციის კონცეფციაზე, რომელიც ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ აკადემიურ პროგრამებზე, აკადემიურ პერსონალზე და სტუდენტებზე, არამედ ქმნის ახალ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს და პრივილეგიებს [7]. ელკინის მიხედვით, გლობალიზაციის ზეგავლენით უმაღლესი განათლების ინსტიტუტები უკვე აღარ არიან მხოლოდ ადგილობრივი ‘საწარმოები’, არამედ ისინი ჩართული არიან საერთაშორისო ცვლილებების პროცესში, რაც მიმდინარეობს ქვეყნების უმრავლესობაში [8].

მკვლევარების განსაზღვრებებს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის შესახებ იზიარებენ საერთაშორისო გაერთიანებებიც. საერთაშორისო განათლების ევროპული ასოციაცია განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციას, როგორც პროცესების ერთობლიობას, რომლის შედეგადაც უმაღლესი განათლება ხდება ნაკლებად ლოკალური და უფრო მეტად საერთაშორისოდ ორიენტირებული [9]. ამ დეფინიციის მიხედვით ინტერნაციონალიზაცია დანახულია, როგორც სტრატეგიული პროცესი, რომელსაც მიჰყავართ წინასწარ დასახულ სტრატეგიულ მიზნამდე.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის განსაზღვრება გვეხმარება დაინახოთ უმაღლესი განათლების ეს მიმართულება პრაქტიკაში და შევაფასოთ მისი მნიშვნელობაც. გლობალური ცოდნისა და ტექნოლოგიების თანამედროვე ერაში, ურთიერთდაკავშირებული კომპანიები და ბაზრები კურსდამდართვებისაგან მოითხოვენ საერთაშორისო, უცხო ენის ცოდნისა და ინტერკულტურული ურთიერთობების გამოცდილებას, იმისათვის რომ მათ თანამშრომლებს ჰქონდეთ უნარი იმოქმედონ საერთაშორისო არენაზე. შესაბამისად უნივერსიტეტები უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ ინტერნაციონალიზაციას. სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მთელი მსოფლიოს მასშტაბით 2000-დან 2010 წლამდე გაორმაგდა და ეს ტენდენცია მზარდია. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობა ყველაზე თვალში საცემი ფენომენია, ის უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია. გლობალიზაცია ახდენს უზარმაზარ ზეგავლენას სტუდენტებისა და პერსონალის ვირტუალურ და ფიზიკურ მობილობაზე, განათლების პოლიტიკისა და პრაქტიკის გაზიარებაზე [10].

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის აღწერისას, გასელავილა ხაზს უსვამს, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს კაცობრიობა შევიდა მრავალგანზომილებიანი ცვლილებების ეპოქაში, რომელმაც მოიცვა ეკონომიკა, ფინანსები, მეცნიერება, ტექნოლოგიები, კომინიკაციის საშუალებები, განათლება და პოლიტიკა. ეპოქის ახალი კონტექსტრი გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნის სულ უფრო მზარდ ურთიერთდამოკიდებულებაში და კონკურენციაში ზემოთ ჩამოთვლილ ყველა სფეროში. ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო ამ პროცესისთვის გვერდის აგლა, შესაბამისად ისინი იძულებული შეიქმნენ მიეღოთ პარადიგმების მოდიფიცირება და გაზრდილი ურთიერთობები საერთაშორისო პარტნიორებთან. ამ ახალ რეალობაში, უნივერსიტეტების როლი განისაზღვრება, როგორც სტუდენტებისათვის გლობალური თვალსაწიერის მიმცემი

საშუალება, რათა მათ უკეთ გაიგონ ერებისა და ქვეყნების ურთიერთ-დამოკიდებულება, კულტურული განსხვავებებისა და პლურალიზმის მიმართ ტოლერანტობა. ამ კონტექსტში, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიზანი უნდა იყოს აკადემიის იმგვარი განახლება, რომ არსებული გლობალური ფენომენი უფრო გასაგებად იყოს გამოხატული ინტერკულტურული ურთიერთობებისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მეშვეობით [11].

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობაზე საუბრობენ ნაითი და დე ვითი. ისინი აღწერენ ინტერნაციონალიზაციის პროცესის სხვადასხვა მიზეზს, არგუმენტს და მასტიმულირებელ ფაქტორს [12]. ავტორები გამოყოფენ არგუმენტებს, მიზეზებს და მოლოდინს, რომლებითაც აიხსნება უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის სურვილი. ნაშრომში აღწერილია სხვადასხვა სტეიკჰოლდერის არგუმენტები, როგორებიცაა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები, ასევე კულტურული და საგანმანათლებლო მიზეზები. ეკონომიკურ-პოლიტიკურ არგუმენტებზე საუბრისას გამოიყოფა არგუმენტები და მიმართულებები, როგორებიცაა ეკონომიკური ზრდა და მომავლის ეკონომიკაში ინვესტიცია, დასაქმების ბაზარი, საგარეო პოლიტიკა, ფინანსური მოლოდინი, ეროვნული საგანმანათლებლო მოთხოვნა. კულტურულ-საგანმანათლებლო მიზეზები და არგუმენტები მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: კულტურული ფუნქცია, პიროვნების განვითარება, კვლევასა და სწავლებაში საერთაშორისო მიმართულებების ჩართვა, ინსტიტუციონალური ზრდა, კვლევებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. [12]. აქვე ავტორებს მოჰყავთ მკვლევარ სმიტის ხედვა, რომ ეს ასპექტი შეიძლება განვიხილოთ ორი ურთიერთდაკავშირებული მიმართულებით: საერთაშორისო განათლების მიწოდების ხარისხი და არსებული ხარისხის გაუმჯობესება ინტერნაციონალიზაციის გზით. [13]

საყურადღებოა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხები ევროპაში, სადაც მსოფლიოს სხვა რეგიონებთან შედარებით ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობას და სისტემის ჰარმონიზაციას დიდი ყურადღება ეთმობა. საინტერესოა ადამის ნაშრომი, რომელიც ეხება ევროპაში საერთაშორისო უმაღლესი განათლების საკითხებს. ევროპული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის აღწერისას, მკვლევარი იყენებს ტერმინს ტრანსნაციონალური, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში განათლების ინტერნაციონალიზაციის კონტექსტშია განხილული. ავტორი აღნიშნავს, რომ ტრანსნაციონალური განათლება მჭიდრო ურთიერთკავშირშია ბოლონიის დეკლარაციასთან, მის შესრულებასთან და შესაბამის მიზნებთან. მეცნიერის აზრით, “ევროპული უმაღლესი განათლების სივრცე” პირდაპირ კავშირშია ტრანსნაციონალურ განათლებასთან თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ტრანსნაციონალურ განათლებას უნივერსიტეტებისათვის მოაქვს შესაძლებლობები, ისევე როგორც საფრთხეები. ამის უპირველესი მიზეზი ის გახლავთ, რომ ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებს არ შეუძლიათ იზოლაცია მოახდინონ სხვა არაევროპული უმაღლესი განათლების დაწესებულებებისაგან. კონკურენცია თვით ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის, ისევე როგორც არაევროპულ უმაღლეს სასწავლებლებთან სავარაუდოდ გაიზრდება. უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნა დაფუძნებულია უმაღლესი განათლების ერთიანი არქიტექტურის ხედვაზე. პროცესი მიზნად ისახავს გააძლიეროს ევროპული ეროვნული საგანმანათლებლო სისტემები, ამავე დროს ემსახურება ურთიერთკავშირების გაძლიერებას, ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას. ევროპულ უმაღლესი განათლების დაწესებულებებს მართებთ იყენენ უფრო მოქნილები, რათა არაევროპელი სტუდენტებიც მოიზიდონ. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ისინი კულტივირებას გაუკეთებენ ახალ იდეებს. მეცნიერის აზრით, ტრანსნაციონალური

განათლება უნდა იყოს მიზნული პოზიტიურ შესაძლებლობად, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული. ამავე დროს, აღნიშნავს მკვლევარი, შესაბამისი საფრთხეებიც სწორად უნდა იყოს გაანალიზებული და სტრატეგიები შემუშავებული[14].

სხვადასხვა ლიტერატურის განხილვის შემდეგ გასელ-ავილა აკეთებს დასკვნებს, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია აღქმული უნდა იყოს როგორც ყოველმომცველი სტრატეგია, რომელიც რელევანტური იქნება საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებთან სამ ძირითად ფაქტორზე კონცენტრირებით: ის უნდა იყოს მიღებული, როგორც საგანმანათლებლო პოლიტიკის ცენტრალური, ფუნდამენტური შემადგენელი ნაწილი, რომელსაც შეუძლია განათლების ხარისხის გაუმჯობესება და საგანმანათლებლო სისტემის იმგვარი ტრანსფორმირება, რომელიც უპასუხებს გლობალურ მოთხოვნებს; დანახული უნდა იყოს საერთაშორისო კოოპერაციის სტრატეგიული როლი მსოფლიო მოქალაქის აღზრდის საქმეში; მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ინტერნაციონალიზაციის საკითხების განათლების კვლევებში[11].

ამრიგად, სტატიაში განხილული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დეფინიციები, ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა და არგუმენტები მკაფიოდ გვიჩვენებენ, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტების ცხოვრებაში ჩამოყალიბდა როგორც მისი ერთერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც მიუხედავად გარკვეული საშიშროებებისა, უფრო დიდი სარგებელი მოაქვს მათთვის. შესაბამისად ეს საკითხები ითხოვენ მეტ ყურადღებას და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ მენეჯერულ მიდგომებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიმაჩნია დამუშავდეს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მოდელები, მათი მენეჯმენტის თეორიები, ჩატარდეს შესაბამისი ემპირიული კვლევები და შემუშავდეს გამოყენებითი სტრატეგიები, რაც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებს დაეხმარება წარმატებულ ფუნქციონირებაში გლობალიზაციის თანამედროვე დინამიურ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ სტატია დამუშავდა ავტორის სადოქტორო სადისერტაციო კვლევის მიმდინარეობისას. ავტორი განაგრძობს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე ინტენსიურ კვლევით სამუშაოებს. შესაბამისად, მისასაღმებელი იქნება ნებისმიერი გამოხმაურება სტატიაზე, ერთობლივი კვლევის სურვილი თუ კონსტრუქციული შენიშვნები, რომლებიც უდაოდ დიდ დახმარებას გაუწევენ აღნიშნული საკითხის სრულფასოვან კვლევას საქართველოში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Ayoubi, R.M. & Al-Habaibeh, A., 2006. An investigation into international Business collaboration in higher education organisations: A case study of international partnerships in four UK leading universities. *International Journal of Educational Management*, 20(5), pp. 380-396.
2. Manning, K., 1999. Internationalising universities: a strategic framework. *Symposium 2001: The University in the New Corporate World, Critical Perspectives on Accounting Journal and School of Accounting and Information Systems Conference*. University of South Australia, Adelaide, 18 July 2001.
3. Ellingboe, B. J., 1998. Divisional strategies to internationalise a campus portrait: Results, resistance and recommendations from a case study at US universities. In: J. A. Mestenhauer

- & B. J. Ellingboe , eds. 1998. *Reforming the higher education curriculum: Internationalising the campus*, pp.198-228.
- 4.Knight, J., 1993. Internationalisation: management strategies and issues. *International Education Magazine*, 9, pp.6, 21-22.
5. van der Wende, M. (1997). Missing links: the relationship between national policies for internationalization and those for higher education in general. In T. Kalvemark & van der Wende (Eds.), *National policies for the internationalization of higher education in Europe* (pp. 10-38). Stockholm: National Agency for Higher Education.
- 6.Qiang, Z., 2003. Internationalisation of higher education: towards a conceptual framework. *Policy Futures in Education*, 1(2), pp. 248-270.
- 7.Stromquist, N.P., 2007. Internationalisation as a response to globalization: radical shifts in university environments. *Higher Education*, 53, pp. 81–105.
- 8.Elkin, G. Devjee, F. & Farnsworth, J., 2005. Visualizing the ‘internationalisation’ of universities. *International Journal of Management Education*, 19(4), pp. 318-329.
9. De Wit, H. ,2002. Internationalization of higher education on the United States of America and Europe. Westport, CT: Greenwood Publishing Group.
10. Henard F., Diamond L. & Roseveare D. 2012. Approaches to Internationalization and Their Implications for Strategic Management and Institution Practice. OECD Higher Education Programme.
11. Gacel-Avila, J., 2005. The Internationalization of Higher Education: A Paradigm for Global Citizenry. *Journal Of International Education.*, 9(2). pp. 121-136
12. Knight, J., Wit, H. 1995. Strategies for internationalization of higher education: Historical and conceptual perspectives. In: Wit, H. eds. *Strategies for Internationalization of Higher Education: A Comparative Study of Australia, Canada, Europe and the United States of America*. EAIE, Amsterdam
13. Smith, A., 1994. Quality and International Higher Education, EAIE, Amsterdam, 13, pg.17
14. Adams, S.,2001. Transnational education project report and recommendations. Confederation of European Rectors’ Conferences. March 2001

**ონისე ალფენიძე**

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, გრონინგენის ჰანზეს უნივერსიტეტი (ნიდერლანდები)  
მენეჯმენტის ინსტრუქტორი, ახლო აღმოსავლეთის ამერიკული კოლეჯი (ელ-ქვეითი)

**უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია გლობალიზაციის ეპოქაში ანოტაცია**

სტატია ეხება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტის საკითხებს. მასში განხილულია სხვადასხვა დეფინიცია, ხედავ და უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის მნიშვნელობა. თანამედროვე ეტაპზე უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს მათი საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ინტერნაციონალიზაციის სრულყოფილი მოდელები და სტრატეგიები რათა უნივერსიტეტებს მიეცეთ თანამედროვე გლობალურ გარემოში წარმატებული კონკურენციის შესაძლებლობა. რადგანაც საკითხი არის შედარებით ახალი ქართული რეალობისთვის, ავტორი იკვლევს მას მისი სადოქტორო თემის ფარგლებში ქართული უმაღლესი განათლების დაწესებულებებისათვის ინტერნაციონალიზაციის შესაბამისი კონცეპტუალური მოდელებისა და პრაქტი-

კული სტრატეგიების დასამუშავებლად. სტატიაში განხილული საკითხები შეიძლება ჩაითვალოს საბაზისო ეტაპად ამ საკითხზე შემდგომი კვლევების განხორციელებისათვის.

**ონისე ალენიძე**

*MBA, Университет Ханзе Гронинген(Нидерланды)*

*Инструктор менеджмента, Американский Колледж на Ближнем Востоке (Эль-Кувейт)*

## **ИНТЕРНАЦИОНАЛИЗАЦИЯ ВЫСШЕГО ОБРАЗОВАНИЯ В ЭПОХЕ ГЛОБАЛИЗАЦИИ**

### **Аннотация**

Статья затрагивает вопросы интернационализации высшего образования: в частности, в ней рассмотрены различные определения, виды и важность интернационализации университетов. Интернационализация в настоящее время рассматривается в качестве одной из основных аспектов университета. Таким образом, важно определить теоретические модели и практические стратегии интернационализации для университетов, которые помогут им конкурировать в условиях глобализации. Все эти вопросы являются новыми для грузинской реальности. Именно поэтому, автор изучает их в рамках его докторской диссертации. Темы рассмотрены в данной статье, могут быть использованы для дальнейших исследований.

**ონისე ალენიძე**

*MBA, Hanze University Groningen (The Netherlands)*

*Instructor of management, American College of the Middle East (Al Kuwait)*

## **INTERNATIONALIZATION OF HIGHER EDUCATION IN THE ERA OF GLOBALIZATION**

### **Annotation**

The article touches issues of higher education internationalization management. Particularly, various definitions, views, and importance of internationalization of universities are explored. Internationalization nowadays is seen as one of the major dimensions of a university. Hence, it is important to define comprehensive models and strategies of internationalization for universities to compete in the global environment successfully. As the issues are relatively new for Georgia's reality, the researcher is exploring the subject in the framework of his doctoral research topic to come up with proper conceptual models and practical strategies of for Georgian higher education institutions. The topics reviewed in this article are the essential start-up points for the further research.

**სასწავლო პროგრამა ბაკალავრების, მაგისტრებისა და  
დოქტორანტიანებისათვის**

ინსტიტუტის მეცნიერ-კონსულტანტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის,  
პროფესორ როზეტა ასთიანის მიერ მომზადდა სასწავლო  
პროგრამა დისციპლინაში –

**საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა**

(მეცნიერ-რედაქტორი: **რამაზ აბესაძე** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, რეცენზენტები: **ალფრედ კურატაშვილი** – ეკონომიკურ მეცნიერე-  
ბათა დოქტორი, პროფესორი, **რევაზ ჯავახიშვილი** – ეკონომიკის აკადემიური  
დოქტორი).

**პროგრამა განხილული და მოწონებული იქნა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს  
სხდომაზე**

**1. დისციპლინის მიზნები და ამოცანები**

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმო-  
შობა ინტენსიურად, საბაზრო ეკონომიკის ფორმირების კვალდაკვალ, XX  
საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი, 60-იანი წლებიდან დაიწყო.  
ამასთან, იგი, როგორც სასწავლო დისციპლინა, ფართოდ დაინერგა მრავალი  
ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში (გამოვიდა ცნობილ მეცნიერთა – ჟ. სტიგ-  
ლიცის, ა. ატკინსონის, მ. რინგკვისტის, ლ. იაკობსონის, ე. უილცივისა და ა.შ.  
სახელმძღვანელოები), მათ შორის პოსტკომუნისტურ ქვეყნებშიც, საქართველოში  
კი, მიუხედავად წინამდებარე პროგრამის ავტორის მცდელობისა, მხოლოდ ახლა  
იდგამს ფეხს.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობას წინ უძღოდა ობი-  
ექტური წინამძღვრები, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური მეცნიერების  
ამ შედარებით ახალი დარგის განვითარებას. ეს საკითხი არ არის ვიწრო  
ჩარჩოებში მოქცეული ლოკალური საკითხი, ამასთან, იგი ორგანულ კავშირშია  
სხვა გლობალურ საკითხებთან. ამ პროცესს ხელი შეუწყო, ერთი მხრივ,  
ეკონომიკური მიმდინარეობებისა და თეორიების განვითარებამ, ხოლო, მეორე  
მხრივ, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის საფუძველზე საზოგადოებრივ  
წარმოებაში მიმდინარე პროგრესულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მეცნიერების, წარმო-  
შობა საზოგადოებრივი პროგრესითაა განპირობებული და იგი დროის მოთ-  
ხოვნაა.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ეკონომიკური თეორიის ახალი  
განშტოებაა. მაკროეკონომიკურმა თეორიამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური  
მეცნიერების ამ დარგის განვითარებას. ამასთან, იგი ორგანულ კავშირშია  
სახელმწიფო ფინანსების თეორიასთან, ეკონომიკური პოლიტიკის მართვასთან,  
მომსახურების ეკონომიკასთან და ა.შ.

კაპიტალიზმის ტრანსფორმაციის შედეგად კერძო კაპიტალისტური სა-  
კუთრების ბატონობაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ახალ თვისებ-  
რიობაში გადაზრდამ ტრექტორია შეუცვალა მსოფლიო განვითარებას. საკუთ-  
რების პლურალიზმზე დაფუძნებული საბაზრო სისტემის ძირითად მახასიათებ-  
ლად, ბაზრის პრინციპების რეალიზაციასთან ერთად, სოციალური ორიენტაცია  
იქნა აღიარებული, რამაც, თავის მხრივ, დაადასტურა ეკონომიკის სახელმწიფო

რეგულირების აუცილებლობის შესახებ კეინზიანური თეორიის სისწორე. სახელმწიფომ თავის თავზე აიღო ბაზრის „შეცდომების“ გამოსწორება, რაც ჰუმანიზაციის მსოფლიო პროცესის საფუძველი გახდა. სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფორმირება დროის მოთხოვნად შეფასდა, მეტიც, იგი თანამედროვე მსოფლიოს განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციად იქცა და მსოფლიოს ახალი წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების გარანტიად იქნა აღიარებული. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო ზნეობრივი ფასეულობების წინა პლანზე წამოწევას, რომელმაც ჩამოიტოვა მანამდე ფესვებგადგმული, სოციალური ინსტიტუტებით განპირობებული მოთხოვნილებები და მათზე მადლა დადგა. ჩამოყალიბდა ორი ტიპის საზოგადოება – ჩაკეტილი და ღია. ჩაკეტილი – ტოტალიტარული საზოგადოება, რომლის პირობებში პიროვნება კოლექტივის მსხვერპლად იქცა და ღია – ჰუმანური საზოგადოება, რომელიც დემოკრატიული ფასეულობების განვითარების საწინდარია. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში სოციალურობის ტენდენციის გაძლიერებამ კანონზომიერი ხასიათი მიიღო, მეტიც, **სოციალურმა ორიენტაციამ საბაზრო ეკონომიკა პოლიტიკურად სიცოცხლისუნარიანი გახდა.**

ეკონომიკისათვის სიცოცხლისუნარიანობის მინიჭებაში უდიდესი როლი 50-იან წლებში დაწყებულმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ შეასრულა, რომელმაც გამოიწვია საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, მომსახურების მწარმოებელი დარგების დაჩქარებული განვითარება და მოამზადა პირობები ინდუსტრიული საზოგადოების პოსტინდუსტრიულში გადაზრდისათვის. მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების ახალ ისტორიაში რევოლუციურ მახასიათებლად წარმოჩნდა მომსახურების სექტორის წილის უპირატესი ზრდა დანარჩენ ორ სექტორთან შედარებით. ეს მნიშვნელოვანი თეორიული პარადიგმები რეალურად აისახა ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებში და საფუძველად დაედო გაეროს საერთაშორისო სტანდარტულ დარგობრივ კლასიფიკაციასა და ეროვნულ ანგარიშთა სისტემას. **პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში. ეს ახალი მსოფლიო წესრიგისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის დასაწყისი იყო.**

ამ ობიექტურმა წანამძღვრებმა საფუძველი ჩაუყარეს **საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობასა და განვითარებას.** ეკონომიკური მეცნიერების არც ერთი დარგისთვის არ არის ნიშანდობლივი ისეთი ძლიერი ინტეგრირებული საწყისი, როგორც ეკონომიკური თეორიის (კერძოდ, მაკროეკონომიკური თეორიის) ამ ახალი განშტოების – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკისთვისაა. ეკონომიკისთვის სოციალური ორიენტაციის მინიჭებით წინა პლანზე საზოგადოებრივი ინტერესები წამოიწია. მან გაზარდა სახელმწიფოს როლი ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში. იმ ფუნდამენტური პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც საბაზრო ეკონომიკის ცნობილი ტრედიტ – „რა“? „როგორ“? „ვისთვის“? გამოიხატება, საკმარისი არ არის მხოლოდ მოთხოვნით გამოხატული ინდივიდუალური მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინება. აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, რაშიც გადამწყვეტ როლს სახელმწიფო ასრულებს (ამიტომაცაა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა ზოგჯერ გაიგივებულია სახელმწიფო სექტორის ეკონომიკასთან).

**საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა შეისწავლის საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფო სექტორში არსებული შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზებსა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემას.** ამ რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა,



განსაკუთრებით ის, თუ რამდენად არის იგი სოციალურად ორიენტირებული. ამიტომ შეუზღუდავი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დამყოფილების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეზღუდული რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზების ძიებასა და ოპტიმალური არჩევანის პრობლემას.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროშია მოქცეული ეკონომიკის არასაბაზრო სექტორი, რაც, ბაზრის ნაკლოვანებებიდან გამომდინარე, უშუალოდ უკავშირდება საზოგადოებრივი საქონლის წარმოებას, გარე ეფექტების გაზომვასა და ბუნებრივი მონოპოლიების არსებობის აუცილებლობის დასაბუთებას, რომელთა გარეშე ხედმეტია საუბარი სოციალურ რეფორმებზე. სახელმწიფოსადმი ერთ-ერთი მკაცრი მოთხოვნაა ალოკაციური ფუნქციის შესრულება, რაც უკავშირდება განსაზღვრული სახის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, ანუ დასავლეთში საკმაოდ აპრობირებული საზოგადოებრივი საქონლის წარმოებას, რომელიც არ შეიძლება საბაზრო ფასით მიეწოდოს მოსახლეობას. ჭეშმარიტი სოციალური რეფორმები იწყება მაშინ, როდესაც სახელმწიფო შემუშავებს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კანონმდებლობას (მათ შორის, ანტიმონოპოლიურსაც), მოქნილი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით, კონკურენციის დაცვით, ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნით, მცირე ბიზნესის წახალისებით და, საერთოდ, მოსახლეობის საქმიანი აქტიურობის გაზრდით მოახდენს საბაზრო უწონასწორობის მინიმიზაციას, ისეთ მიმართულებას მისცემს ბაზარს, რომელიც განაპირობებს პიროვნების შესაძლებლობათა რეალიზაციას. ეს პრობლემებიც, რომელთა გადაჭრასაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკისაკენ მივყავართ, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის სფეროა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ეს უკანასკნელი საკითხთა ფართო წრეს მოიცავს, ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და მისი მატერიალური საფუძველია. ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმებისა და პარამეტრების შემუშავებას, რაც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის პრეროგატივაა.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებს უჭირავს. ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ჯგუფების მხარდამჭერი სოციალური პროგრამების დაფინანსებასთან ერთად, საბიუჯეტო სახსრების გარკვეული ნაწილი გამოიყოფა სოციალურ-კულტურული დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამებისათვის. სოციალურ სფეროში აქტიური როლის შესრულებით სახელმწიფო სოციალურად ორიენტირებული, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ნიშნებს იძენს. მოსახლეობის საშუალო ფენის გაძლიერებით სახელმწიფო აპარატი კარგავს კონსერვატიულ-ბიუროკრატიულ ხასიათს, ძლიერდება კერძო სტრუქტურების სოციალური პასუხისმგებლობა. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და ჰუმანიზაციის პროცესების გაძლიერებით წარმოშობილი ახალი პრობლემები ამდიდრებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შინაარსს.

გადასახადები როგორც სახელმწიფოს მიერ საზოგადოებისათვის გაწეული მომსახურების საფასური, ეკონომიკის სტიმულირებისა და რეგულირების უმნიშვნელოვანესი ბერკეტი და საბიუჯეტო შემოსავლების ძირითადი წყარო, წინა პლანზე აყენებს დაბეგვრის თეორიის საკითხებს გადასახადებისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ურთიერთქმედების ჭრილში და სახელმწიფოს

როლს ოპტიმალური დაბეგვრის ფუნქციონირებაში. ამ კუთხითაც გადასახადების მრავალწახნაგოვანი ფენომენიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის საგანია.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გლობალური პრობლემა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო ხარჯების ოპტიმალური განაწილების საკითხს. ამასთან დაკავშირებით მეტად აქტუალური ხდება საბიუჯეტო ფედერალიზმის საკითხების კვლევა, რომელიც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის შესწავლის ერთ-ერთი სფეროა.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პრობლემები კიდევ უფრო აფართოებს საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევის არეალს. საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების სწორი წარმართვისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური მეცნიერების ამ დარგის კვლევასა და ამ სპეციალობით კადრების მომზადებას. ამას გვავალებს დღევანდელი საქართველოს ფინანსური დილემა და ის მწვავე მაკროეკონომიკური პრობლემები, რომელთა თუნდაც ნაწილობრივი გადაჭრა დღეს, ასეთ სიტუაციაში შეუძლებელია. ბაზრის “უხილავი ხელისა” და სახელმწიფოს “ხილული ხელის” ოპტიმალური შესამება სოციალურად ორიენტირებული ეფექტიანი ეკონომიკის შექმნის აუცილებელი პირობაა.

საქართველო XXI საუკუნეში შევიდა ღრმა სისტემური კრიზისის პირობებში. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ თითქოს სახელმწიფომ მოიხსნა პასუხისმგებლობის ტვირთი ეკონომიკის სფეროში და “უხილავ ხელს” დააკისრა. სამწუხაროდ როგორც მისადაგება საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური მოვლენები და პროცესები კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარების ადრეულ პერიოდს. მსოფლიოში აპრობირებული პოზიტიური ცვლილებების ფონზე, როდესაც ჩვენ შეგვეძლო მეურნეობის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვა და „ველური კაპიტალიზმის“ გვერდის ავლით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, მეტად დასანანია რომ აღმოჩნდით ასეთ სიტუაციაში და დავადექით იმ გრძელ გზას, რომელიც ძალზე მტკივნეულად განვლო ცივილიზებულმა სამყარომ.

პოსტვაშინგტონის კონსენსუსამაც კი უარყოფითად შეაფასა „შოკური თერაპიის“ შედეგები საქართველოში. ქართველივით მოვარდნილმა პროცესებმა და ფასების ლიბერალიზაციამ, რომელიც ეკონომიკის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მართვის უკიდურეს ფორმად მოგვევლინა, ეჭვქვეშ დააყენა ადამიანის ბიოლოგიური არსებობა და მისი კვლავწარმოება.

საქართველოსთვის ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში აუცილებელია შევიმუშაოთ მეცნიერული პარადიგმა, რომელიც გაითვალისწინებს საზოგადოებრივ, კოლექტიურ და ინდივიდუალურ მოთხოვნილებათა ბალანსს. ამისათვის კი საჭიროა არა ზედაპირული შეფასებები, არამედ ღრმა ანალიზი, რომელიც დაეფუძნება ფუნდამენტურ კონცეფციებს და დაამყარებს კავშირს მიზეზებსა და შედეგებს შორის. ეს საშუალებას მოგვცემს განვასხვავოთ მიღწეული სასურველისაგან, თავი დავადწიოთ ილუზიებსა და ზედმეტ დანაკარგებს. ამ თვალსაზრისით, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის კვლევა და შესაბამისი კადრების მომზადება გარკვეულ წვლილს შეიტანს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

წინამდებარე პროგრამა, რომელიც პირველი ცდაა ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში (თუმცა, იგი მეორე გამოცემაა, პირველი კი 2000 წელს გამოვიდა), საზღვარგარეთ არსებული პროგრამების იდენტური არ არის. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, ორიგინალურიცაა.

მკითხველთა ყველა ობიექტურ შენიშვნას ავტორი მაღლიერების გრძნობით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდეგ გამოცემაში.

საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება: 2000 წლის 2-3 ივნისს სანკტ-პეტერბურგში საზოგადოებრივი სექტორის რეფორმირებისადმი მიძღვნილ მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე დაფუძნდა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის მკვლევართა ასოციაცია (ASPE), რომლის მიზანია საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკური პრობლემების შესწავლა. იგი არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს სტოკ-ჰოლმის უნივერსიტეტისა და სანკტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტის ჩარჩოებში და ითვალისწინებს: ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას, ასოციაციის სამეცნიერო მოხსენებების გამოქვეყნებას, სემინარების მოწოდებას, უცხოელი სპეციალისტების ლექციების ორგანიზებასა და ა.შ. ეს აპრობირებული პრაქტიკა, ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია საქართველოს სინამდვილეშიც.

ამჯერად წარმოგიდგინებთ საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის პროგრამას საუნივერსიტეტო სწავლებისათვის. თემების სხვადასხვა სიღრმით განხილვის საფუძველზე შესაძლებელია წინამდებარე პროგრამის გამოყენება ბაკალავრიატის მაღალ კურსებზე, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

## II. ღისციალინის უინაარსი

### I თავი. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის როგორც მენეჯერების საგანი და ამოცანები

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მენეჯერების, წარმოშობის ობიექტური წინამძღვრები. მიკროეკონომიკური პარადიგმებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ინდივიდუალური კონცეფციის ბატონობის ეპოქა – სახელმწიფო როგორც „ღამის დარაჯი“. „Laisser faire“-ის ტიპის ეკონომიკა.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება – „კეინზიანური რევილუციის“ კრედი. მაკროეკონომიკური თეორიის განვითარება – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის წარმოშობის საფუძველი. „სახელმწიფო ინტერვენცია“. „სახელმწიფო მინიმუმის“ კლასიკური თეორიის აღორძინების მცდელობა. „ნეოკლასიკური სინთეზი“. მონეტარულ თეორიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საზოგადოებრივი სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა როგორც ცივილიზაციის ნაყოფი. საზოგადოებრივი წარმოებაში პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნების გავლენა საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მენეჯერების, განვითარებაზე, ახალი საზოგადოების, ახალი სოციალური ფორმირება. უფრო მაღალი სოციალური წესრიგის დამყარება. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება და სახელმწიფოს ახალი ეკონომიკური როლის გამოკვეთა.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მენეჯერების, საგანი. შეუზღუდავი საზოგადოებრივი მოთხოვნილებები და სახელმწიფო სექტორის განკარგულებაში არსებული შეზღუდული რესურსები. ბაზრის „უხილავი ხელისა“ და სახელმწიფოს „ხილული ხელის“ ოპტიმალური შეხამება.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, როგორც მენეჯერების, სტრუქტურა. სახელმწიფო სექტორი და საზოგადოებრივი სექტორი: ერთიანობა და განსხვავება.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და ფუნდამენტური ეკონომიკური პრობლემები.

## II თავი. სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც ცივილიზაციის თანამედროვე ფორმა

საბაზრო ეკონომიკის არასტაბილურობა. გათანაბრების შეუთავსებლობა. ძალაუფლება როგორც საზოგადოებასა და ეკონომიკაში უსამართლობის წარმომქმნელი.

საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანად ფუნქციონირების წინამდებრები. ორიენტაცია ეფექტიანობაზე. წინააღმდეგობა ალოკაციურ-ეფექტიან და ადაპტაციურ-ეფექტიან სისტემებს შორის. “სოციალურობა” – მშვიდობის გამომხატველი.

საზოგადოებრივი სექტორის ორგანული კავშირი ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციასთან. ცნებების – “სოციალურისა” და “საბაზროს” სინთეზი და მათ შორის წინააღმდეგობის დაძლევა. სოციალური საბაზრო ეკონომიკა როგორც საბაზრო სისტემის განსაკუთრებული ტიპი. სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეპტუალური საფუძვლები. განსხვავება სოციალურ საბაზრო ეკონომიკასა და სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკას (საბაზრო ეკონომიკა პლუს სოციალური პოლიტიკა) შორის. გაუმჭვირვალე, ჩაკეტილი, ინტერვენციული სოციალური პოლიტიკის შეცვლა სახელმწიფო სოციალური პოლიტიკით.

კონკურენციული პოლიტიკა – საუკეთესო სოციალური პოლიტიკა. კანონი კონკურენციის დაცვის შესახებ – სოციალური საბაზრო ეკონომიკის ძირითადი კანონი.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის მოდელები, მათი კლასიფიცირების კრიტერიუმები. კონტინენტალური ანუ გერმანული მოდელი. ანგლოსაქსური მოდელი. სკანდინავიური მოდელი.

ფრაიბურგის სკოლის (ვ.ოიკენი, ვ. რიობკე, ა. მიულერ-არმარკი, ლ. ერჰარდი, ფ. ბიომა და სხვ.) „წესრიგის“ ორდოლიბერალური კონცეფცია. „მესამე გზის“ თეორია.

## III თავი. ბაზრის ნაკოლოვანებათა თეორია და საზოგადოებრივი სექტორის არსებობის აუცილებლობა

ბაზრის არასრულყოფილება და საზოგადოებრივი (არასაბაზრო) სექტორის არსებობის აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკაში. საზოგადოებრივი სექტორის განვითარების მასშტაბები, დინამიკა და ფაქტორები. ეკონომიკის “მესამეული სექტორი” და საზოგადოებრივი სექტორი.

საზოგადოებრივი საქონლის არსი და ძირითადი ნიშნები. წმინდა და შერეული საზოგადოებრივი საქონელი. კვაზისაზოგადოებრივი საქონელი. მოთხოვნა საზოგადოებრივ საქონელზე. ეფექტიანი სახელმწიფო როგორც საზოგადოებრივი საქონელი. სახელმწიფო სექტორის როლი საზოგადოებრივი საქონლის წარმოებაში (ალოკაციური ფუნქცია).

გარე ეფექტების (ექსტერნალიების) არსი. დადებითი და უარყოფითი გარე ეფექტები. გარე ეფექტების გაზომვისა და რეგულირების მაკროეკონომიკური მექანიზმები. ჯარიმები.

გარე ეფექტები და ტრანსაქციური ხარჯები. კოუზის თეორემა. საზოგადოებრივი სანქციები.

ბუნებრივი მონოპოლიების არსი და მათი არსებობის აუცილებლობა

საბაზრო სისტემაში. ბუნებრივი მონოპოლიების სახელმწიფო რეგულირების ღონისძიებები. ინფორმაციული ასიმეტრია: წარმოშობის მიზეზები, ნეიტრალიზაციის მეთოდები.

#### IV თავი. კეთილდღეობის სახელმწიფო თეორია

„კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ცნება. კეთილდღეობის თეორია და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის საზღვრები. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემის ევოლუცია. სახელმწიფოს პოზიცია და ეკონომიკური ფუნქციები. საკუთრების უფლების დაცვა. სახელმწიფოს ტიპოლოგია.

სახელმწიფოს და ეკონომიკის ერთიანობა. სახელმწიფო როგორც წარმოების ფაქტორი და ბაზრის დამოუკიდებელი სუბიექტი. სახელმწიფოს როლი კერძო სექტორის განვითარებაში. კონკურენტული გარემოს შექმნა. სახელმწიფო როგორც კონკურენტული პოლიტიკის გამტარებელი. კავშირი კონკურენციასა და სოციალურ კეთილდღეობას შორის.

სახელმწიფოს და ბაზრის ურთიერთკავშირის ფორმები და მეთოდები. შერეული, კერძო-სახელმწიფო მეწარმეობა. მისი როლი საინვესტიციო სფეროში.

სახელმწიფო ქონების არენდა, კონცესია, ტრასტი. კორპორატივიზმი და ტრიპატიზმი. ახალი ტექნოლოგიების როლი. სახელმწიფოსა და ბაზრის სიმბიოზი.

#### V თავი. წონასწორობა საზოგადოებრივ საქმეებში

საზოგადოებრივ სექტორში წონასწორობის განსხვავება საბაზრო წონასწორობისაგან. საზოგადოებრივ საქონელზე მოთხოვნისა და მიწოდების ფორმირების თავისებურებები. საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენება შერეულ საზოგადოებრივ სექტორში. ინდივიდუალური და აგრეგირებული მოთხოვნა საზოგადოებრივ საქონელზე.

საყოველთაო და ნაწილობრივი წონასწორობა საზოგადოებრივ სექტორში. შიდა და გარე წონასწორობის უზრუნველყოფის პრობლემა.

#### VI თავი. ფასწარმოქმნა საზოგადოებრივ საქმეებში

ფასწარმოქმნის თავისებურებები საზოგადოებრივ სექტორში. ლინდალის ფასები. შეღავათიანი ფასები და ჭარბი მოთხოვნის შეზღუდვა შერეულ საზოგადოებრივ საქონელზე. ფასისმიერი დისკრიმინაცია. სუფსიდიების როლი საზოგადოებრივ საქონლის ფასწარმოქმნაში.

ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში ფასების სახელმწიფო რეგულირების მეთოდები. ფასისმიერი რეგულირების თავისებურებები სახელმწიფო და კერძო ბუნებრივ მონოპოლიებში. კონკურენციისა და საბაზრო ფასების გამოყენების შესაძლებლობა ბუნებრივი მონოპოლიების სფეროში.

შერეული საზოგადოებრივი საქონლის ფასებში გარეგანი ეფექტების ასახვის მეთოდები. საზოგადოებრივი საქონლის ფასწარმოქმნაში სუფსიდი-

ბისა და გადასახადების მაკორექტირებელი როლი.

### VII თავი. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია

სახელმწიფოს როლი ბაზრის ფუნქციონირების სამართლებრივ უზრუნველყოფაში. ეკონომიკური თამაშის წესები და მათი როლი სოციალური საბაზრო ეკონომიკის ფორმირება-ფუნქციონირებაში. ეკონომიკური თამაშის წესების დადგენა და განხორციელება – სახელმწიფოს უპირველესი ფუნქცია. კანონმდებლობის დაცვა და პრაქტიკაში გატარებისადმი კონტროლი. “კონტროლიორების” მიმართ კონტროლის მექანიზმები. საკუთრების უფლებისა და მატერიალური პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონები. კონტრაქტების განხორციელებისათვის სამართლებრივი იძულება.

ეკონომიკური თამაშის წესების განხორციელების სახელმწიფო ინსტრუმენტები. ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ურთიერთკავშირი. სახელმწიფო მეწარმეობა.

პირდაპირი კონტროლის განხორციელების გარდუვალობა. ნორმირება. ცენტრალიზებული დაგეგმვა. ლიცენზირება. კანონმდებლობის მაკონტროლებელი კავშირები და დაწესებულებები. ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავება და დაცვა. გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა. ქვეყნის ეკონომიკური უშიშროების დაცვა. მონეტარული და სავალსე პოლიტიკა. საფინანსო ინსტიტუტების რეგულირება.

სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ანალიზი. ენდოგენური და არა ეგოზენური გზით გადაწყვეტილებების მიღება.

### VIII თავი. სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციის ინსტიტუციური ფორმები

სახელმწიფო სექტორის ძირითადი ინსტიტუტები. სახელმწიფო მეწარმეობის თავისებურებები. სახელმწიფოს მიერ კერძო საქონლის მიწოდება. სახელმწიფო საწარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები. სახელმწიფო პოლიტიკები.

განსახელმწიფოებრივება და პრივატიზაციის სახელები სახელმწიფო სექტორში. კონტრაქტაციები და კვაზიბაზრები. კონტრაქტების სახეები. ორგანიზაციის ტიპები.

სახელმწიფო სექტორში არაეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები. ორგანიზაციული მოტივაცია.

სახელმწიფო პოლიტიკა და ფარული ეკონომიკა.

სახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციები. მათი ურთიერთობა საზოგადოებრივ და კერძო არაკომერციულ ორგანიზაციებთან.

ქველმოქმედება და მეცენატობა საბაზრო ეკონომიკაში.

არაკომერციული ორგანიზაციებისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები.

### IX თავი. სახელმწიფო სექტორის შემოსავლები

შემოსავლების წყაროები. საემისიო შემოსავლები. საგადასახადო შემოსავლები. არასაგადასახადო შემოსავლები. თვითდაფინანსება და სახელმწიფო მეწარმეობიდან შემოსავლები. სახელმწიფო ვალის პრობლემა.

საგადასახადო სისტემის მოდელები. მარკირებული და არამარკირებული

გადასახადები. საგადასახადო მექანიზმის შეფასების კრიტერიუმები. ვალდებულებათა თანასწორობა. ეკონომიკური ნეიტრალურობა. ორგანიზაციული სიმარტივე. გადასახადების მოქნილობა. საგადასახადო სისტემის კონტროლირებადობა. კრიტერიუმების ურთიერთკავშირი და წინააღმდეგობრიობა. პოლიტიკური პასუხისმგებლობა. სამართლიანობა და ეფექტიანობა.

საგადასახადო ტვირთის განაწილება კონკურენციულ ეკონომიკაში. საგადასახადო ტვირთის განაწილება მონოპოლიურ ეკონომიკაში. გადახდისუნარიანობის კონცეფცია.

დაბეგვრის ეფექტები: შემოსავლის ეფექტი, შენაცვლების ეფექტი, ფინანსური ეფექტი.

ოპტიმალური დაბეგვრა. ეფექტიანობა და სამართლიანობა საგადასახადო პოლიტიკაში.

### **X თავი. საზოგადოებრივი ხარჯები: სტრუქტურა და ტენდენციები**

ხარჯების პოლიტიკის ანალიზი. პროგრამების აუცილებლობა. ბაზრის არასრულყოფილება და სახელმწიფოს ჩარევის ალტერნატიული ფორმები. საზოგადოებრივი ხარჯების ძირითადი მიმართულებები. საზოგადოებრივი ხარჯების ზრდის ფაქტორები. საზოგადოებრივი ხარჯების ნეგატიური შედეგები. საზოგადოებრივი ხარჯების ეფექტიანობის შეფასება. კერძო სექტორის რეაქცია სახელმწიფო პროგრამებზე. შემოსავლებისა და შენაცვლების ეფექტიანობა. სამართლიანობა და განაწილება. სახელმწიფო პროგრამების გავლენა უთანაბრობის მასშტაბებზე.

თავდაცვის ხარჯები და მათი ოპტიმალური განაწილება.

სახელმწიფო სამედიცინო პროგრამები. სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისა და რეგულირების ძირითადი მოტივები.

სახელმწიფო და სადაზღვევო მომსახურების ბაზარი. რეგულირების მიზანი. რეგულირების ორგანიზაციული სტრუქტურა.

სამედიცინო დაზღვევის არსი და მნიშვნელობა. სამედიცინო დაზღვევის შედეგები.

სამედიცინო დაზღვევის სექტორი და მისი ევოლუცია. სოციალური დაცვის სისტემის მოცულობა და სტრუქტურა. სოციალური სტრატეგიის პრიორიტეტები. სოციალური დაზღვევა და სოლიდარობის კულტურა. კერძო დაზღვევა და ბაზრის არასრულყოფილება. მაღალი ტრანსაქციული ხარჯები. სელექციური სოციალური დაცვა. სოციალური რისკების დაზღვევის საბაზრო სტრუქტურების უუნარობა. დიფერენცირებული რისკები და დაზღვევის ხარჯები.

საპენსიო დაზღვევა როგორც საზოგადოებრივი საქონელი. სახელმწიფო საპენსიო ფონდი. სახელმწიფო საპენსიო სისტემის კომერციალიზაცია.

საზოგადოებრივი სოციალური პროგრამები განვითარებულ ქვეყნებში.

### **XI თავი. საზოგადოებრივი სექტორი და საბიუჯეტო ფედერალიზმი**

საბიუჯეტო ფედერალიზმის თეორიული საფუძვლები. ფედერალური და უნიტარული სახელმწიფო – ფედერაციის ძირითადი ამოცანები. პასუხი-

მგებლობის განაწილება ხელისუფლების დონეებს შორის.

საზოგადოებრივი საქონლის თეორია და საზოგადოებრივი სექტორის მართვის თვალსაზრისით უფლებამოსილების განაწილება ხელისუფლების ფედერალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს შორის. ფისკალური ეკვივალენტობის პრინციპი. საბიუჯეტო ფედერალიზმის ფუნქციები. საბიუჯეტო ფედერალიზმის მოდელები (აშშ, გერმანია, რუსეთი და ა.შ.).

ფისკალური სისტემის ვერტიკალური გაწონასწორება. გადასახადების დანიშნულება: კონცეპტუალური საკითხები. ურთიერთობა არასაბიუჯეტო ორგანიზაციებთან.

საბიუჯეტო დეცენტრალიზაციის თეორემა. ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები. მუნიციპალური მეურნეობა და მუნიციპალური საკუთრება.

ტერიტორიული ბიუჯეტების ფუნქციები. ტერიტორიული ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები. საბიუჯეტო გრანტები.

ეფექტიანობისა და სამართლიანობის პრობლემები რეგიონულ პოლიტიკაში. ჩამორჩენილ რეგიონებისადმი დახმარება.

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული სტანდარტები.

## XII თავი. ეკონომიკური უსაფრთხოება სახელმწიფო რეზერვების სისტემაში

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების ხარისხის განმარტებელი მაჩვენებელი. ეკონომიკური უსაფრთხოების არსი და უზრუნველყოფა. პრობლემის აქტუალობა. ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი კომპონენტები. ორგანიზაციის პრინციპები. უზრუნველყოფის მექანიზმები.

ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორები.

ეკონომიკური უსაფრთხოების ორგანული კავშირი ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან. სახელმწიფოს ენერგეტიკული პროგრამები. ენერგოწარმოებისა და ენერგომომარების ეფექტიანობის ამაღლება. უცხოური გამოცდილება.

ეკონომიკური უსაფრთხოების ორგანული კავშირი ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან. ეკოლოგიური წონასწორობის სახელმწიფო რეგულირება. ეკოლოგია და ბაზარი. ეკოლოგიური რეგლამენტაციის ძირითადი პარამეტრები. ეკონომიკური მექანიზმების ადაპტაცია. პიგუს (ეკოლოგიური) გადასახადი.

გარემოს დაცვის ნეოკეინზიანური და ინსტიტუციური თეორიები.

ეკონომიკური უსაფრთხოება და საინვესტიციო მოთხოვნა.

ეკონომიკური უსაფრთხოება და ფინანსური სისტემის განვითარება. ფინანსური უსაფრთხოების ძირითადი ინსტრუმენტები. ეკონომიკური უსაფრთხოების კავშირი საგადასახადო პოლიტიკასთან. ინსტიტუციური გარდაქმნები დაკავშირებული სახსრების გადანაწილებასთან ეკონომიკის სექტორებსა და სამეურნეო სუბიექტებს შორის.

საშინაო და საგარეო ვალის გავლენა ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. თანამედროვე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარების ტენდენციები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.

სასურსათო უსაფრთხოების მსოფლიო პრობლემა.



**XIII თავი. კეთილდღეობის პროგრამები და  
შემოსავლების გადანაწილება**

კეთილდღეობისა და შემოსავლების დიფერენციაცია. შემოსავლების დიფერენციაციის შეფასების კრიტერიუმები.

კეთილდღეობის სახელმწიფო პოლიტიკა. სახელმწიფოს მიერ შემოსავლების გადანაწილება ფულადი ფორმით. გადანაწილება ნატურით და მისი არაეფექტიანობა. შეუცვლელი უთანაბრობის პარადოქსი.

სიღარიბის პრობლემა და მინიმალური სოციალური გარანტიები. სიღარიბის მახასიათებლები და საარსებო მინიმუმი. მინიმალური სამომხმარებლო კალათა. მინიმალური ხელფასი. სიღარიბის დონე და სიღრმე. სიღარიბესთან ბრძოლის სახელმწიფო ღონისძიებების სისტემა. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკა.

ინფლაცია და მოსახლეობის შემოსავლების გაუფასურების პრობლემა. მოსახლეობის სოციალური დაცვის ეკონომიკური ბუნება და მოდელები საბაზრო ეკონომიკაში. სახელმწიფო სექტორის როლი სოციალური დაცვის სისტემაში.

სახელმწიფო სოციალური გარანტიები. სოციალური ტრანსფერები და მათი მექანიზმი. შინამეურნეობების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი სახელმწიფო დახმარება.

გარე ეფექტები როგორც გადანაწილების ერთ-ერთი წყარო. გადანაწილების ხარჯები. ეფექტიანობა და სამართლიანობა.

საგანმანათლებლო მომსახურების წარმოება და მაკროეკონომიკური რეგულირება. სახელმწიფოს მიერ განათლების დაფინანსების აუცილებლობა. განათლებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო სახსრების გადანაწილება. კერძო სკოლების სახელმწიფო მხარდაჭერა. საგადასახადო შეღავათები. სასკოლო ვაუჩერი. უმაღლესი სასწავლებლების დახმარება. სუბსიდიები განათლებაზე.

სახელმწიფო, ბაზარი და ფუნდამენტური მეცნიერება. სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი. პროგრამების რეალიზაცია. ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსების წყაროები და ფორმები. სახელმწიფოს მიერ ფუნდამენტური მეცნიერების სტიმულირების ბერკეტები.

**XIV თავი. დეფიციტი, ეკონომიკური  
სტაბილურობა და ზრდა**

დეფიციტი და ეკონომიკური სტაბილურობა. მზარდი მოხმარება. ინვესტიციების სტიმულირების მექანიზმები. დეფიციტი და ინვესტიციები. სავალტვირთი. დეფიციტი ღია ეკონომიკაში.

სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა. კეინზიანელებისა და ნეოკლასიკოსების შეხედულებები. მონეტარისტები და სახელმწიფო პოლიტიკა. ანტიკრიზისული პროგრამების ლაგი.

ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა. ინოვაციები. პატენტის ეფექტი. საგადასახადო შეღავათები.

ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკური ზრდა. სახელმწიფო პოლიტიკა და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების სტიმულირება. სიმდიდრის სამართლიანი განაწილება როგორც თაობებს შორის, ისე თაობებს შინით.

ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო პროგრამები.

**XV თავი. საზოგადოებრივი სექტორის  
ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებები საქართველოს  
გარდამავალ ეკონომიკაში**

ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის (კონვერსიის) მაკროეკონომიკური პოლიტიკის არსი. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია როგორც საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების აუცილებელი პირობა. მიკრო-, მაკრო- და მეგაეკონომიკური გარდაქმნები როგორც ეკონომიკის სისტემური გარდაქმნის შემადგენელი ნაწილები. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორგანული კავშირი „შოკურ თერაპიასა“ და გრადუალისტურ მოდელბთან. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ძირითადი ტიპები. ორთოდოქსალური, გეტეროდოქსალური და სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაცია. ეკონომიკური სტაბილიზატორების ე.წ. „ღუზის“ სახეები და ორთოდოქსალური სტაბილიზაციის ორი ვარიანტი.

სახელმწიფო ფუნქციების კლასიფიკაცია გარდამავალ ეკონომიკაში. სისტემაფორმირების ფუნქციები. სისტემადამკვიდრების ფუნქციები. სისტემაკვლავწარმოების ფუნქციები.

საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ორგანული კავშირი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსალური ტიპის პირველ ვარიანტთან. ლიბერალურ-მონეტარისტული ანუ „ძვირი ფულის“ პოლიტიკა.

სახელმწიფოსა და ბაზრის ფუნქციების გამიჯვნის ეფექტიანი მექანიზმის არარსებობა საქართველოში. ინსტიტუციურ-საკანონმდებლო გარემოს სისუსტე.

ადამინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის ნიშნები პოსტკომუნისტური საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის დაპირისპირება. სახელმწიფო ხელისუფლების შერწყმა ბიზნესთან. ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების სისუსტე. მასობრივად უმოქმედო კანონები. კანონების შეუსრულებლობა და კორუპცია. საქართველოს ეკონომიკისაგან საბაზრო სისტემის მნიშვნელოვანი ატრიბუტის – კონკურენციის ჩამოცილება.

დაგვიანების ეფექტი. ლაგი ქართულ ეკონომიკურ პოლიტიკაში. ინფლაციის დამუხრუჭების მოკლევადიანი ეფექტი. საზოგადოებრივი საქონლის კვლავწარმოების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში.

საბიუჯეტო ფედერალიზმის პრობლემა საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. საგადასახადო სისტემის რეფორმირების კონცეპტუალური საფუძვლები.

ეკონომიკური უსაფრთხოება და წინააღმდეგობები საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში.

ეროვნული ეკონომიკის სისტემური კრიზისი. განმაპირობებელი ფაქტორები. ეკონომიკური უსაფრთხოების გავლენა საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე. კაპიტალის გადინება საქართველოდან.

ეკონომიკის ფარული სექტორი და მისი ნეგატიური ზემოქმედება ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა. ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ეკოლოგიური უსაფრთხოების შესუსტება საქართველოში.

სოციალური სტრატეგიკაციის კრიტერიუმები და მათი ცვლილებების თავისებურებები პოსტკომუნისტურ საქართველოში.

ფ. ბიომის „სუსტი სახელმწიფოს“ კონცეფცია. ბაზრის, სახელმწიფოსა და საზოგადოების დამაკავშირებელი ინსტიტუტების არსებობის აუცილებლობა. დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების აუცი-

ლებლობა.

კონკურენციული გარემოს წახალისება. სოციალური თვითრეგულირება სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტების მეშვეობით.

საზოგადოების ეკონომიკური განათლების ამაღლება – დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის მნიშვნელოვანი ამოცანა და სახელმწიფოს ფუნქცია.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ზოგადსაკაცობრიო ამოცანები და მისი განსაკუთრებული როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში.

### III. სასწავლო-მეთოდური მასალები

#### ძირითადი ლიტერატურა

**Joseph E. Stiglitz.** Economics of the public sector. Second Edition. New York-London. “W.W Norton & Company”, 1988; **Anthony B. Atkinson, Joseph E. Stiglitz.** Lectures on public economics. 1980. **Coase R.** The Problem of Social Cost. “Journal of Law and Economics.” Vol. 3, 1996; **Маргарета Рингквист.** Об общественном секторе: что он дает и что берет. Стокгольм, 1995; **Якобсон П.** Экономика общественного сектора. М., «Аспект пресс», 1996; Экономика общественного сектора. Под ред. **Жильцова Е.Н., Лафеев Ж.Д.** М., 1998; **ასათიანი რ.** საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა: არსი, წინამძღვრები, განვითარების პერსპექტივები. „საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის კარიბჭესთან: პრობლემები, პერსპექტივები“. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 2000 წლის 17 მაისი. თბილისი. გამომცემლობა „სიახლე“, 2000; **Asatiani R.** Study of Public Sector Economics as Necessary Condition of Social Orientation. Bulletin of the Georgian Academy of Sciences. Vol. 169, number 2, March-April, 2004; **რ. ასათიანი** საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და სოციალური რეფორმები. „შრომები“. VI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2008; **ასათიანი რ.** საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა და მისი განვითარების თავისებურებები საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე“. თსუ-ის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის მასალები. 28-29 ივნისი. თბილისი, 2013;

#### დამატებითი ლიტერატურა

**კეინზი ჯონ მეინარდ.** დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. თარგმანი ინგლისურიდან. ქუთაისი., 1995; **რიკარდო დ.** პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, 1937; **სმიტი ა.** გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თარგმანი ინგლისურიდან. თბილისი, 1938; **Galbraith J.K.** Economics in the Century Ahead. In: “The Future of Economics.” Oxford, Blackwell, 1992; **Тинберген Я.** Пересмотр международного порядка. Перевод с английского. М., «Наука», 1980; **Гэлбрейт Дж.** Экономические теории и цели общества. Перевод с английского, М., 1979; **Пигу Е.** Экономическая теория благосостояния. Перевод с английского. М., 1985; **Эклунд К.** Эффективная экономика. Шведская модель. Перевод с английского. М., 1991; **Эрхард Л.**

Благосостояние для всех. Перевод с английского. М., 1991; **Friedman M.** Capitalism and Freedom. Chicago. “Univ. of Chicago Press”, 1992; **Портер М.** Конкуренция. Перевод с английского. Санкт-Петербург, Москва, Киев. «Вильямс», 2000; **Тодаро М.** Экономическое развитие. Перевод с английского. М., «Юнити», 1997; **Шумпетер Й.** Теория экономического развития. Перевод с немецкого. М., «Прогресс», 1982; **Фишер С., Сахан Р.** Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки. «Вопросы экономики», 1997, №5; **Хайлбронер Р., Тароу Л.** Экономика для всех. Перевод с английского. Лондон, “Overseas Publications Interchange Ltd”, 1991; **Нуреев Р.** Теории развития: новые модели экономического роста (вклад человеческого капитала). «Вопросы экономики», 2000, №9; **Надель С.** Социальные факторы экономического роста. «МЭиМО», 2005, №5; **საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II** სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ. შემდგენელი გ. შინაშვილი. თბილისი, „გეოკერია“, 2004; **პაპავა ვ.** სახელმწიფოს როლი თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში. „ეკონომიკა“, 1995, №7-9; **პაპავა ვ.** საბაზრო წონასწორობის დოქტრინა. თბილისი, 1999; **პაპავა ვ.** არატრადიციული ეკონომიკის. თბილისი, 2011. **სილაგაძე ა.** ეკონომიკური დოქტრინები. თბილისი, „ინოვაცია“, 2012; **ჩიქავა ლ.** დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012; **ასათიანი რ.** თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012; **ასათიანი რ.** პატარა ქვეყანას დიდი შეცდომების უფლება არა აქვს. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2005; **ასათიანი რ.** საით მიდის საქართველო? სოციალური-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2014; **ჭითანავა ნ.** ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების გაძლიერების აუცილებლობა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“. IV ტომი. თბილისი, 1999; **ჭითანავა ნ, თაკალანძე ლ.** სოციალური ეკონომიკა. I ნაწილი. თბილისი, „ინოვაცია“, 2008; **აბესაძე რ.** მოსახლეობის ცხოვრების დონე, სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში. „შრომები“. XI ტომი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2013; **გველესიანი მ.** რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბილისი, „კომენტარი“, 2008; **კრუგმანი პ.** როგორ მოახერხეს ეკონომისტებმა ყველაფრის არასწორად გაგება? თარგმანი ინგლისურიდან. „საქართველოს ეკონომიკა“, 2009, №10; **მაღლაკელიძე თ.** ეკონომიკური უსაფრთხოება. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2002; **ასათიანი რ.** სოციალური დიფერენციაციის მოდელები და საქართველო. „სოციალური ეკონომიკა“, 2010, №2; **ასათიანი რ.** ახალი მსოფლიო წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 2003, №4; **ასათიანი რ.** გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველო. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი ასათიანი რ. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012.

**web რესურსები:**

- [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)
- [www.economics.ge](http://www.economics.ge)
- [www.nbg.gov.ge](http://www.nbg.gov.ge)
- [www.mof.ge](http://www.mof.ge)
- [http://www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets\\_liabilies\\_of\\_commercial\\_banks\\_totalgeo.xls](http://www.mbg.ge/uploads/depositarycorporeshenqartulad/assets_liabilies_of_commercial_banks_totalgeo.xls)
- [http://www.nbg.gov.ge/nbg.new.geo/banking\\_system/concept](http://www.nbg.gov.ge/nbg.new.geo/banking_system/concept)
- [http://www.cia.gov/library/publications/the\\_world\\_factbook/geas](http://www.cia.gov/library/publications/the_world_factbook/geas)

<http://www.chelt.ru/2001/12/uzbashianz-12.html>

უახლეს ძირითად თუ დამატებით ლიტერატურას სტუდენტენი გაეცნობ-  
იან სასწავლო პროცესში და გამოიყენებენ თემების მიხედვით.

**შინაარსი**

I. დისციპლინის მიზნები და ამოცანები----- 3

II. დისციპლინის შინაარსი ----- 11

I თაზვი. საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის,  
როგორც მენეჯმენტის, საბანი და ამოცანები----- 11

II თაზვი. სოციალური საბაზრო ეკონომიკა  
როგორც ცივილიზაციის თანამედროვე ფორმა -----12

III თაზვი. ბაზრის ნაკოლოვანებათა თეორია  
და საზოგადოებრივი სექტორის არსებობის  
აუცილებლობა -----14

IV თაზვი. კეთილდღეობის სახელმწიფოს  
თეორია -----15

V თაზვი. ფონდსწორება საზოგადოებრივ  
სექტორში -----15

VI თაზვი. ფასწარმოქმნა საზოგადოებრივ  
სექტორში -----16

VII თაზვი. საზოგადოებრივი არჩევანის თეორია -----16

VIII თაზვი. სახელმწიფო სექტორის  
ორბანიზაციის ინსტიტუციური ფორმები -----17

IX თაზვი. სახელმწიფო სექტორის შემოსავლები ----- 18

X თაზვი. საზოგადოებრივი ხარჯები:  
სტრუქტურა და ტენდენციები ----- 19

XI თაზვი. საზოგადოებრივი სექტორი და  
საბიუჯეტო ფედერალიზმი ----- 20

XII თაზვი. ეკონომიკური უსაფრთხოება  
სახელმწიფო რეგულირების სისტემაში -----21

XIII თაზვი. კეთილდღეობის პროგრამები და  
შემოსავლების გადაწოდება ----- 22

XIV თაზვი. დეფიციტი, ეკონომიკური  
სტაბილურობა და ზრდა ----- 24

XV თაზვი. საზოგადოებრივი სექტორის  
ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებები  
საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში ----- 24

III. სასწავლო-მეთოდური მასალები ----- 27

პირითადი ლიტერატურა ----- 27

დამატებითი ლიტერატურა ----- 28

**ROZETA ASATIANI**  
**ECONOMICS OF THE PUBLIC SECTOR**  
**A Teaching Course for Bachelor,**  
**Master and Doctorate programs**  
**In Georgian Language**  
**Publishing house “Siakhle”**  
**Tbilisi 2014**

---

გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი,  
ყოფშიძის ქ. №10. ტელ.: 599530487;  
E-mail: siakhle@gmail.com

---

---

**ინფორმაცია**

\*\*\*

ჟურნალ ეკონომისტის რედაქცია აცხადებს კონკურსს პრემიის მოსაპოვებლად 2013 წელს ჟურნალში გამოქვეყნებული საუკეთესო სტატიისათვის. პრემია მიეკუთვნება სტატიას, რომელსაც გამოავლენს მაღალკვალიფიციური ჟიური, სამეცნიერო სტატიისათვის წაყენებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

პრემიის მფლობელს გადაეცემა შესაბამისი დიპლომი და ფულადი პრემია 300 ლარის ოდენობით.

\*\*\*

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტებისა და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN).
4. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: [economics\\_institute@yahoo.com](mailto:economics_institute@yahoo.com), [nbibilashvili@rambler.ru](mailto:nbibilashvili@rambler.ru)

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**ღამატაპითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**  
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 299-68-53.

**პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის  
გამომცემლობა**

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

**შეღავათიან ფასებში**

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება

**გამოიცემა:**

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)
- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

**მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14**

**293 22 60; 551 10 07 04.**

**ელ.ფოსტა: economics\_institute@yahoo.com**

**ჟურნალ "ეკონომისტიში" სტატიების წარმოდგენის წესები**

1. ჟურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური და რუსული TIMES NEW ROMAN).
4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.
6. ერთი გვერდის ღირებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ჟურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:**

ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ტ.: 293-34-44; 599 97 01 03.



GEL

მიმღები	მიმღები: თსუ/ანგარიში პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტისათვის
	მიმღების IBAN ანგარიშის # GE72 BR00 0001 0405 5894 42
მიმღების ბანკი	ს.ს. ბანკი „რესპუბლიკა“
	ბანკის BIC კოდი: REPLGE22

**THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE  
JOURNAL “ECONOMIST”**

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be sent to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font - AcadNusx, English text font - Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision the data of receiving the final text is regarded as date of submission for consideration.
5. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: **economics\_institute@yahoo.com, tealazarashvili@rambler.ru**

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 293 34 44

USD

<b>BENEFICIARY</b>	Beneficiary's name: TBILISI STATE UNIVERSITY
	Beneficiary's IBAN NO: GE72 BR00 0001 0405 5894 42
<b>BENEFICIARY BANK</b>	BANK “REPUBLIC” Tbilisi, Georgia
	Correspondent Acc. 00195464 SWIFT: REPL GE 22
<b>INTERMEDIARY BANK</b>	SOCIETE GENERALE, N.Y., USA
	SWIFT: SOGE US 33

ჟურნალი “**ეკონომისტი**”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 293 34 44; 599 970103.  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

Journal “**Economisti**”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 293 34 44; 599 970103  
E-mail: economics\_institute@yahoo.com

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

რედაქტორი **ნატო აბესაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics of TSU

Redactor **Nato Abesadze**